# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

7 სექტემბერი **ოთხშაბათი** 2011

№210 (13507) ფასი 80 თეთრი



რეპორტაჟების სპონსორია გერმანული ლუდი ვარშტაინერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# კუნძულელები და ძუნძულელები საქართველოს მალტასთან



# 1:1



↳2

# სტკივა!



ვაჟა სიმონიშვილი კლაიპედიდან

ანდრეი კირილენკო

# საქართველო ქომაგობის ღირსია

↳8


კორესპონდენტების როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

lariwin.com

მეტი ვიდეო თამაში

რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო " ლარივინი "




ბესიკ ჯანგავაძე ქვინზთაუნიდან

# სხვა ზელანდია სად არის?

↳9




## 9 სექტემბერს ლელოსთან ერთად

რაგბის მსოფლიოს თასისადმი მიძღვნილი პოსტერი-კალენდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ევრო 2012 შესარჩევი მატჩი

# ოაზისი და მირაჟი მალტურად და ქართულადაც

## რაღა გვაქვს დასაკარგი?

6.09. ლა ვალეტა. ტა ქალი.
1 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| მალტა | 1 |
| საქართველო | 1 |

0:1 კანკავა (15. თარგამაძის პასით), 1:1 მიფსუდი (25. ბრიფას პასით)

| მალტა 4-4-1-1 | საქართველო 4-2-3-1 |
|---|---|
| ჰოგი | რევიშვილი |
| კარუანა | გ. კაშია |
| აგიუსი | ხიზანიშვილი |
| შკიმბერასი | კალაძე |
| ფაილა | გრიგალავა |
| პატჩისონი | კანკავა |
| ბრიფა | კობიაშვილი |
| რ. ფენეჩი | იაშვილი |
| კოენი | ანანიძე |
| მიფსუდი | თარგამაძე |
| შემბრი | მარცვალაძე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ჯ. ბუტიგიეგი | თ. ქეცბაია |

**მალტა**

60. რ. ფენეჩი - **ბოგდანოვიჩი**
76. შკემბრი - **პეისი**
91. კოენი - **ვუდსი**

*სათადარიგოები:* გაუჩი, მამო, მუსკატი, პ. ფენეჩი

**საქართველო**

61. იაშვილი - **დვალიშვილი**
66. მარცვალაძე - **გრიგალაშვილი**
77. ანანიძე - **კობახიძე**

*სათადარიგოები:* ლორია, კვირკველია, გურული, სირაძე

| სტატისტიკა | | |
|---|---|---|
| 9 | კარისკენ დარტყმა | 14 |
| 4 | კარში დარტყმა | 7 |
| 3 | კუთხური | 10 |
| 11 | ჯარიმა | 11 |
| 1 | გაფრთხილება | 2 |
| 44% | ბურთის ფლობა | 56 |



არაფერი იცვლება ქართულ ფეხბურთში, ყოველ შემთხვევაში, დადებითისკენ. გნებავთ, დაგისაბუთოთ? მოკლედ რომ მოვჭრათ, საამისოდ ნუხელ ჯუჯა სახელმწიფოს საფეხბურთო თვალსაზრისითაც ჯუჯა ნაკრებთან 1:1 დასრულებული ყოვლად უსახური მატჩიც იკმარებს, მაგრამ შორიდან მოვუვლით - დაახლოებით ორი წლის წინ, 2009 წლის აგვისტოში საქართველოს ნაკრები „ტა ქალის" ესტუმრა და მალტას ამხანაგურად ეთამაშა. მაშინ **ექტორ კუპერის** გუნდი 0:2 დამარცხდა. ეს იყო მალტელთა წარსულში დამსახურებული ფეხბურთელის, **ჯონ ბუტიგიეგის** პირველი მატჩი მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ორივე გოლი **მაიკლ მიფსუდმა** გაგვიტანა (ხომ არ გეცნოთ?). გამოხდა ხანი და ის, რაც მალტელებს ოაზისი ეგონათ, მირაჟი ყოფილა - ბუტიგიეგმა ამის შემდეგ ყველა ოფიციალური მატჩი წააგო, მას ვერც კოვერჩანოს საფეხბურთო სკოლამ და პროლიცენზიამ უშველა.

გავიდა ორი წელი და მალტა და საქართველო ახლა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დაპირისპირდნენ. მალტამ საქართველოსთან ფრით პირველი ქულა მოიპოვა ჯგუფში. გოლი ჩვენს კარში ისევ მიფსუდმა გაიტანა. 30 წლის ფორვარდისთვის, აქამდე „კაიზერსლაუტერნში" და „ქოვენთრიში" რომ უთამაშია, **რევიშვილის** კარში შეგდებული მართლაც დიდებული გოლი მისთვის სანაკრებო კარიერაში 30-ე გამოდგა (ხომ ვერ შემახსენებთ რომელიმე ქართველ ფეხბურთელს ანალოგიური მიღწევით?). დამთავრდა თამაში და მასპინძლებმა მცირერიცხოვანი პუბლიკის წინ საპატიო წრე დაარტყეს... არ დაიჯეროთ, მალტელებო! ისევ მირაჟია, ისევე, როგორც ჩვენთვის ყოფილა ხორვატიის დამარცხება დიდი მირაჟი. არ იქნება თქვენი და, ვაი რომ, ჩვენი ფეხბურთის საშველი უახლოეს წლებში. სამწუხაროდ, არ იქნება.

**თემურ ქეცბაიამ** ორი საკადრო ცვლილება განახორციელა, რომელთაგან ერთი იძულებითი იყო — ტრავმირებული **ალექსანდრე ამისულაშვილი გია გრიგალავათი** შეცვალა, ლატვიასთან საბედისწერო შეცდომის დამშვები **გიორგი ლორია** კი **ნუკრი რევიშვილით** ჩაანაცვლა. ქეცბაიამ ისევ 4-2-3-1 ამჯობინა (მალტასთანაც არ ვითამაშეთ ორი თავდამსხმელით), თუმცა გადაადგილებებიც იყო - გრიგალავამ მარცხენა ფლანგზე გადაინია, კაპიტანი **კახა კალაძე** კი ცენტრში დადგა, ეულ ცენტრფორვარდად **ალექსანდრე იაშვილს** აღარ უთამაშია, ეს მისია ახლა **ოთარ მარცვალაძეს** ერგო. იაშვილი და **დავით თარგამაძეც** ხშირად ცვლიდნენ ფლანგებს.

პირველი სახიფათო მომენტი შეიძლებოდა შექმნილიყო მე-8 წუთზე, იაშვილს საჯარიმოდან უკეთ რომ ჩაეწოდებინა. ამას მოჰყვა **ხიზანიშვილის** უხეშობა და პირველი დარტყმა რევიშვილის კარში, რომელიც კუთხურით დასრულდა. ჩვენებმა გოლით უპასუხეს, ცოტა არ იყოს, კურიოზულით - თარგამაძემ მარჯვნიდან ჩააწოდა კუთხური და **ჯაბა კანკავამ** თავით „პარაშუტი" გაუშვა, რომელიც მეტოქის კარის ხარიხას მოხვდა, შემდეგ კარის ხაზს უკან ჩაეშვა და გამოვარდა. საბედნიეროდ, მსაჯები არ შემცდარან და 0:1 დააფიქსირეს.

საპასუხო გოლამდე არაფერი მომხდარა, 25-ე წუთზე კი ნამდვილი ფეხბურთის ერთადერთი ეპიზოდი ვიხილეთ ამ შეხვედრაში კარგად მოთამაშე ერთადერთი ფეხბურთელის შესრულებით: მიფსუდმა საჯარიმოს სიახლოვეს **ბრიფასგან** ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი პასი მიიღო, მაგრამ ერთი შეხებით (თანაც, ქუსლით) მოსწავლესავით მოატყუა კალაძე და მეორე შეხებით ახლო კუთხეში გაიტანა — 1:1.

ტაიმის ბოლომდე ქართველთა უშედეგო დარტყმებს გავიხსენებთ, უფრო სწორად, უბრალოდ ჩამოვთვლით: ჯერ იყო მარცვალაძის ჩაწოდებად ჩაფიქრებული დარტყმა, შემდეგ კუთხურზე გადასული რიკოშეტი, თარგამაძისა და იმავე მარცვალაძის გასროლები (ორივე მეკარის ნადავლი). ამათში ყველაზე სახიფათოს დარტყმასაც კი ვერ ვუწოდებთ, უფრო — სანახევროდ საგოლე მომენტს.

შესვენებამ ისეთი სიახლე ვერ შეიტანა საქართველოს ნაკრებში, გულს რომ გაახარებდა და საიმედოს დაგვანახვებდა. ისევ ის, უფერული და უფანტაზიო შეტევები. საოცრად წუნიანი პასები და ჩაწოდებები (ერთ ეპიზოდში კანკავამ მარცხენა ფლანგიდან ისე ჩააწოდა ბურთი, რომ მარჯვენა ფლანგზე აუტში გადავიდა). აღვნიშნავთ იაშვილის დარტყმასაც და იმასაც, რომ **გურამ კაშიამ ფენეჩს** მხარი ამოუგდო და შესაცვლელი გახადა. ყველაზე სახიფათო კი 73-ე წუთზე შექმნილ მომენტს ეთქმოდა, როცა კაშიამ მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა და შეცვლაზე შესულმა **ლადო დვალიშვილმა** ახლო მანძილიდან ქუსლით სცადა დარტყმა, რაც არ გამოუვიდა. ამის შემდეგ იყო მორიგი შეცვლები და უხიფათო დარტყმები ჰოგის კარისკენ. ლოგიკური ფრე - 1:1. ქოთანს თუ ყურს საჩვენოდ გავუკეთებთ, ვიტყვით, რომ ქეცბაიამ 4-მატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა, საიქითოდ უკვე აღვნიშნეთ (მალტის პირველი ქულა შესარჩევ ციკლში). ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ლოკალური წარმატებები არ ხდება ის ბაზისი, რომელსაც შემდეგ მომდევნო წინგადადგმული ნაბიჯი დაეფუძნება (ხორვატიასთან მოგება, თუნდაც კარგი თამაში დაცვაში, მარცვალაძის გაბრწყინება, ხასიათის გამოვლენა გადამწყვეტ მომენტში, რაც მართლაც იყო ციკლის პირველ ნაწილში). ჩვენ კი უდაბნოში მოხეტიალე ქარავანივით ისევ წრეზე ვბრუნავთ, ისე, რომ ადრე მიღწეული მინიწარმატებები საოცნებოდ გვრჩება.

**P.S.** და რაღა დარჩა დასაკარგი? მე-4 ადგილი, რომელზეც არცთუ მყარად ვდგავართ. აბა, რა დასაკარგავი ეგაა, იფიქრებთ, მაგრამ სულაც არ გამოვრიცხავთ, რომ კიდევ გვითხრან, დასაკარგი სწორედაც რომ გვაქვსო. მირაჟია ეს ყველაფერი, სამწუხაროდ, მირაჟი...

## ეს ცაუნია ვინ ყოფილა!

### რიგაში ხორვატების საქმე გაკეთდა

ლატვიის ნაკრებმა ხორვატთა საქმე გააკეთა - რიგაში 1:1 ეთამაშა ბერძენთა გუნდს, რისი წყალობითაც ჩვენს ჯგუფში ლიდერი შეიცვალა, ახლა ხორვატია 1 ქულით უსწრებს საბერძნეთს. ისევ **ალექსანდრს ცაუნიამ** იყოჩაღა, ფ ჯგუფის ნამდვილად ერთ-ერთმა საინტერესო და არაორდინალურმა ფეხბურთელმა. ცსკას 23 წლის შემტევმა ნახევარმცველმა **მიხალის სიფაკისის** კარში მე-19 წუთზე გაიტანა, მაგრამ ლატვიელებმა ბოლომდე ვერ გაძლეს: მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე „შალკეს" 19 წლის მცველმა **კირიაკოს პაპადოპულოსმა** ელინებს ქულა გადაურჩინა - 1:1. ახლა ამ ჯგუფის მთავარი მატჩი და კვანძის გახსნა 7 ოქტომბერს პირეოსშია მოსალოდნელი, სადაც საბერძნეთის ნაკრები ხორვატიის გუნდს უმასპინძლებს.

„მაქსიმირზე" ხორვატებმა დაგეგმილი სამი ქულა მოიპოვეს, თუმცა თავიდან მათ გვარიანად ანერვიულეს გულშემატკივრები — 44-ე წუთზე **ტომერ ჰემედმა** ისრაელის ნაკრები დააწინაურა. მეორე ტაიმის მე-2 წუთზე **ლუკა მოდრიჩმა** გაათანაბრა, შემდეგ კი შეცვლაზე შესული **ედუარდომ** დუბლი მიითვალა - 3:1.

**F ჯგუფი**

**ლატვია-საბერძნეთი 1:1**

**ლატვია:** ვანინსი, მიჰადიუკსი, კლავა, კრიაუკლისი, ფერტოვსი, ივანოვსი, ლაიზანსი, ვიშნიაკოვსი (83. ზიგაევსი), ლუკიანოვსი, ცაუნია, ვერპაკოვსკისი (68. რუდნევსი).

**საბერძნეთი:** სიფაკისი, პაპადოპულოსი, პაპასტატოპულოსი, ზარადუკასი, ფეტფაციდისი (46. ციოლისი), მაკოსი (81. გეორგიადისი), სალპინგიდისი, კარაგუნისი, ვინტრა (71. მანიატისი), ლიბეროპულოსი, სამარასი.

**გოლები:** 1:0 ცაუნია (19), 1:1 პაპადოპულოსი (84)

**ხორვატია-ისრაელი 3:1**

**ხორვატია:** პლეტიკოშა, სრნა, შიმუნიჩი, ლოვრენი, ჩორლუკა (46. ედუარდო), სტრინიჩი, კრანჩარი, ვუკოევიჩი (46. დუიმოვიჩი), მოდრიჩი, იელავიჩი (87. კალინიჩი), მანძუკიჩი.

**ისრაელი:** ავატე (46. ჰაიმოვი), ტავატა, გერშონი, ხუტაბა, ბენ ჰარუში, ბენაიუნი, კოენი (57. გოლასა), კაიალი, ზაჰავი (68. შეხტერი), ჰემაედი, ბენ ჰაიმი.

**გოლები:** 0:1 ჰემაედი (44), 1:1 მოდრიჩი (47), 2:1 ედუარდო (55), 3:1 ედუარდო (57)

**გაძევება:** ბენ ჰაიმი (53)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 8 | 6 | 1 | 1 | 16-5 | 19 |
| 2. საბერძნეთი | 8 | 5 | 3 | 0 | 10-4 | 18 |
| 3. ისრაელი | 9 | 4 | 1 | 4 | 11-11 | 13 |
| 4. საქართველო | 9 | 2 | 4 | 3 | 6-7 | 10 |
| 5. ლატვია | 8 | 2 | 2 | 4 | 7-10 | 8 |
| 6. მალტა | 8 | 0 | 1 | 7 | 4-17 | 1 |

**დარჩენილი მატჩები**

**7 ოქტომბერი**

ლატვია-მალტა
საბერძნეთი-ხორვატია

**11 ოქტომბერი**

ხორვატია-ლატვია
საქართველო-საბერძნეთი
მალტა-ისრაელი

**ბომბარდირები:** 4 - იოსი ბენაიუნი (ისრაელი), ნიკო კრანჩარი (ხორვატია), მაიკლ მიფსუდი (მალტა)

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

U21. ესპანეთი-საქართველო იქაურ პრესაში


ლუის მილია

# ესპანელებმა მარკა დაგვარტყეს: საქართველო სუსტია

ესპანურ ქალაქ ლუგოს „ანხელ კაროს" სტადიონზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ესპანეთთან მეორედაც დამარცხდა – ამჯერად უფრო "ადამიანური" ანგარიშით — 0:2. ხორვატიასთან თუნდაც სტუმრად მოგების შემდეგ ესპანელებთან ორი წაგება მოულოდნელი არც ყოფილა, მაგრამ საერთო პასივი 2:9 ერთობ დამამცირებელი იყო.

ცხადია, საინტერესოა, როგორი გამოხმაურება მოჰყვა ესპანეთში ქართველთა თამაშს.

### მარკა

ესპანეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა საქართველოსთან მეორედაც მოიგო და ევროპის ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებისკენ მორიგი ნაბიჯი გადადგა.

**ლუის მილიას** გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში დიდ უპირატესობას ფლობდა. ესპანეთი ბევრად უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე სუსტი საქართველო და საბოლოოდ უპირატესობა შედეგშიც აისახა. მასპინძლები სწრაფად გადადიოდნენ მეტოქის მოედანზე და სწრაფადვე ახერხებდნენ მეტოქის დაცვაში ხარვეზების მოძებნას. მაგრამ ხან სიზუსტე არ ჰყოფნიდათ, ხანაც კი ქართველები სირცხვილისგან მეკარე მაკარიძემ იხსნა.

საქართველო მთელი გუნდით იცავდა თავს. სერხიო კანალესმა რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, მაგრამ საბოლოოდ დაცვაში ჩამსხდარი ქართველების რიგების გარღვევა ისევ მან მოახერხა.

მართალია, ლუის მილიას გუნდმა ოთხი დღის წინანდელივით შთამბეჭდავად ვერ გაიმარჯვა, მაგრამ მორიგი 3 ქულით პირველ ადგილი განიმტკიცა.

### სერხიო კანალესი: მთავარი 6 ქულა იყო

*- გარკვეული სირთულეების მიუხედავად, ქართველები ორჯერ დავამარცხეთ, რადგან ესპანელები ერთმანეთს კარგად ვგრძნობთ და ვიცნობთ. დარწმუნებული ვიყავი, ქუთაისის მსგავსი ანგარიშით ვერ გავიმარჯვებდით, რადგან ასეთი დიდი უპირატესობით მოგება მაინც იშვიათია. ჩვენი მთავარი ამოცანა ქართველებთან ორ შეხვედრაში ექვსი ქულის მოპოვება იყო და მიზანს მივაღწიეთ. ახლა კი ხორვატიაშიც უნდა გავიმარჯვოთ.*

*"გუნდმა უმაღლესი კონცენტრაცია გამოავლინა. ჩვენ ვახერხებდით მეტოქის მოედანზე ბურთის სწრაფ გადატანას. სხვათა შორის, კანალესი, რომელმაც ქართველებს ორი გოლი გაუტანა, თამაშამდე ნორმალურად ვერ სუნთქვდა. ქუთაისში 2:7 წაგების შემდეგ ჩვენმა მეტოქემ სწორი დასკვნები გამოიტანა და ჩვენი შეტევების შესაჩერებლად ნახევარდაცვა და დაცვა გააძლიერა.*

*თამაშში უპირატესობას მეტწილად ჩვენ ვფლობდით და გამარჯვება საეჭვო არ გაგვიხდია. საწყის ეტაპზე ორი გამარჯვება თავდაჯერებას შეგვმატებს, რაც ძალიან მახარებს - ამ ახალი გუნდის შემადგენლობა ხომ 20-წლამდელებიდან გადმოყვანილებით შევავსეთ. მხოლოდ მუნიაინი და დავიდ დე ხეა არიან ევროპის ჩემპიონები და მათ შეუძლიათ, ახალგაზრდებზე დადებითი ზემოქმედება მოახდინონ.*

*მიხარია, რომ ასეთი ფეხბურთელები გვყავს. მათ ბავშვობიდან კარგად წვრთნიან, ანათლებენ და ნაკრებში მიწვეულებმა უკვე იციან, გუნდს რა სჭირდება."* – ეს უკვე ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ლუის მილიას** სიტყვებია.


სერხიო კანალესი, ანუ გოლი ქართველთა კარში

საკონტროლო მატჩი

# ჩვე(ევ)ნი ცხოვრება 10 სექტემბერს იწყება

ქუთაისის „ტორპედოს" პრესსამსახურის ცნობით, გუნდმა სანაკრებო პაუზა ნაყოფიერად გამოიყენა და 5 სექტემბერს სალორიის საწვრთნელი ბაზის ხელოვნურსაფრიან მოედანზე ფოთის „კოლხეთს" ამხანაგურ მატჩში უმასპინძლა.

ქუთაისელებს **გივი იოსელიანი** და **თორნიკე თარხნიშვილი** აკლდათ, რომლებიც ახალგაზრდულ ნაკრებს ესპანეთში ახლდნენ. მათ არყოფნაში რიონისპირელთა მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი კიკნაძემ** ახალწვეულები, **დავით გამეზარდაშვილი** და **ბაქარ მირცხულავა** გამოსცადა. ფოთელთა მთავარმა მწვრთნელმა **სოსო ფილიამ** კი გუნდი შერეული შემადგენლობით ათამაშა.

მატჩი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და პირველი ტაიმი მათ მე-9 წუთზე გატანილი ბურთით მოიგეს: **ირაკლი დოლიძის** მიერ საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს **ნიკა საბანაძემ** ზუსტი თავური დაახვედრა — 1:0.

მეორე ტაიმში „ტორპედოს" უპირატესობა უფრო გამოიკვეთა. 55-ე წუთზე **ვაჟა ტაბატაძემ გიორგი კუხიანიძეს** თავისი საჯარიმოდან შორეული და საგოლე პასი თავით გადააწოდა (?!) და ახალგაზრდა ქუთაისელმა ანგარიშში სხვაობა გაზარდა — 2:0.

სტუმრებს ანგარიშის შემცირების საშუალება ორჯერ ჰქონდათ, მაგრამ ორივე შემთხვევაში უზუსტად დაარტყეს. "ტორპედომ" კი თავისი შანსი ერთხელაც გამოიყენა: 87-ე წუთზე მატჩის ყველაზე აქტიურმა გარემარბმა, მეტოქის მეკარესთან პირისპირ გასულმა დოლიძემ ზუსტი დარტყმით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 3:0.

"ტორპედო": **მიგინეიშვილი, ფოფხაძე (46. ტაბატაძე), გამეზარდაშვილი (80. მირცხულავა), ფარულავა, ჩიკვილაძე, დილმელაშვილი, კუხიანიძე (58. ბოლქვაძე), გ. დათუნაიშვილი (62. ხარაბაძე), დოლიძე, საბანაძე (73. გოცირიძე), მეგრელაძე ( 69.კირკიტაძე)**

"კოლხეთი": **ნადირაშვილი, გ. კილასონია, ცხვიტარია, ინწკირველი, ლემონჯავა, გოგონაია, შავგულიძე, დ. კაკულია, ქებაძე, პ. დათუნაიშვილი, ჯანაშია**

**მეორე ტაიმში**: *ბობღიაშვილი, გულუა, ინწკირველი, თედიაშვილი, გელაჭეიშვილი, ლომაშვილი, ცხადაია, წიქარიშვილი, გვალია, მდივნიშვილი, ციცხვაია*

ეროვნული ჩემპიონატი ორკვირიანი პაუზის შემდეგ, 10 სექტემბერს განახლდება, ამ დღეს „ტორპედო" ბოლნისის „სიონს" უმასპინძლებს, "კოლხეთი" კი თბილისში "გაგრას" შეხვდება.


ფოტო: www.fctorpedo.ge

ტრანსფერი

# ფოთელებმა ფანჯარა კარგად დახურეს: +3

ფოთის "კოლხეთმა" სანაკრებო პაუზა კარგად გამოიყენა და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე სამი მოთამაშე დაიმატა: ფოთელი **გიორგი კილასონია**, რომელიც გუნდში ადრეც თამაშობდა, მაგრამ ტრავმის გამო ბოლო წელი გაუცდა; ნახევარმცველი **პავლე დათუნაიშვილი**, რომელიც "კოლხეთში" წინა სეზონშიც გამოდიოდა (კლუბმა ორივესთან ერთწლიანი კონტრაქტები გააფორმა) და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი **დავით კაკულია**, რომელიც მოლდოვის უმაღლესი დივიზიონის "ოლიმპიაში" თამაშობდა.


დავით კაკულია

ფოთელთა მთავარ მწვრთნელ **სოსო ფილიას** თქმით, თავისუფალი აგენტის სტატუსის მქონე 19 წლის პლეიმეიკერ კაკულიასთან ერთწლიანი კონტრაქტი გაფორმდა.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კოლხეთი

# შეწუხდა ქალაქი: ფოთელებმა ფოთში ვერ უნდა ვითამაშოთ?!

## ხან სად და ხან სად ძალიან ძნელია

"ლელო" უკვე წერდა, რომ ფოთის „კოლხეთი" საქართველოს ჩემპიონატის საშინაო მატჩებს შინაურ არენაზე ვერ ატარებს, რადგან მის შინაურ „ფაზისზე" მოედნის საფარი აილეს, ახლის დაგებას კი ჯერ სასიკეთო პირი არ უჩანს.

საქართველოს მთავრობამ გორის, ქობულეთისა და ფოთის სტადიონებზე საფრის დასაგებად ფეხბურთის ფედერაციას 2,5 მილიონი ლარი გამოუყო. „ფაზისზე" საფარი სწორედ ამის შემდეგ გამოცხადებული ტენდერის იმედად აილეს და სათადარიგო მოედანზე გადაიტანეს, მთავარ არენაზე კი წინასწარი სამუშაოებიც წამოიწყეს.

მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი ამბავი: ტენდერის მონაწილე კომპანიებმა პირობები ვერ დააკმაყოფილეს, ასე რომ, ფოთელებმა დღემდე არ იციან, მოედანი როდის მოეწყობა და "კოლხეთსაც" მძიმე დღეები დაუდგა.

ფოთელთა ხელმძღვანელებმა საშინაო მატჩების ლანჩხუთში ან ზუგდიდში გამართვა გადაწყვიტეს, თუმცა ეს იმაზეა დამოკიდებული, დაემთხვევა თუ არა "ზაიასა" და "კოლხეთის" მატჩების დღე; თუ არ დაემთხვევა და, მაშინ ამინდზეც იქნება დამოკიდებული – თუ გაწვიმდა, ზუგდიდის სტადიონი ორ დღეში ორ მატჩს ვერ უმასპინძლებს.

"კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი **სოსო ფილია** მომხდარით შეწუხებულია და ამბობს, მოედნის მოწყობის ვადამ, შესაძლოა, წლის ბოლოსკენ გადაიწიოსო:

*"ფოთის სტადიონზე საფრის დაგებას შემოდგომისთვის ვიმედოვნებდით, მაგრამ ახლა სერიოზულ გაუგებრობაში აღმოვჩნდით. ძველი საფარი აილეს, მაგრამ ჯერ ბოლომდე საფუძვლის ჩაყრაც არ დასრულებულა, ბოლო დღეებში კი მუშაობა შეაჩერეს და წარმოდგენა არ გვაქვს, როდის განაახლებენ.*


სოსო ფილია

*ცხადია, ადრე თუ გვიან ეს სამუშაოები დასრულდება, მაგრამ მეშინია, რომ მეორე წრემდე საშინაო შეხვედრებს ფოთში ვერ გავმართავთ.*

*გარდა იმისა, რომ საკუთარი გულშემატკივრის მხარდაჭერა მოგვაკლდა, ტრანსპორტის ხარჯიც ძალიან გაგვეზარდა. თანაც, ვინაიდან ჯერ ფოთში ვერ ვვარჯიშობთ, რადგან სათადარიგო მოედანი ახალდაგებულია და სამი კვირა მაინც არ შეიძლება მისი დატვირთვა, ამიტომ ყოველდღე ხან სად მივდივართ და ხან სად. ასე კი ძალიან ძნელია მიზნის დასახვა და მიღწევა - საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა. ეს იმ დროს, როდესაც ბიუჯეტს თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდით."* – გვითხრა ფილიამ.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი

# ოქრიაშვილს ძირითადი უთხრეს: კიევის დინამოსთან

უკრაინის ჩემპიონატში უკვე 8 ტური გაიმართა, **თორნიკე ოქრიაშვილმა** კი მარიუპოლის "ილიჩივეცში" მხოლოდ სამი შეხვედრა გამართა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ამბობს, რომ მიზეზი ტრავმა და მწვრთნელის გადაწყვეტილებაა.

*"უთამაშებლობას ორი მიზეზი ჰქონდა: პირველი ის, რომ შეკრებაზე დავშავდი და სანამ ფორმა აღვიდგინე, გარკვეული დრო გამიცდა; მეორე მიზეზი კი ისაა, რომ "ილიჩივეცში" ჩემს პოზიციაზე გამოცდილი ნახევარმცველი, ადრიან პუკანიჩი დაიმატეს, რომელსაც დონეცკის "შახტარში" უთამაშია, ახლა გუნდის კაპიტანია და ჩვენი მწვრთნელი ვალერი იარემჩენკო მას უფრო ენდობოდა. თუმცა, ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე გამომგზავრებამდე მწვრთნელმა მითხრა, რომ დაბრუნდები, შემადგენლობაში დაყენებაზე უნდა დაგელაპარაკოო. საქმე ისაა, რომ პუკანიჩმა მწვრთნელის იმედები ვერ გაამართლა და ძირითადიდან ამოაგდო. იარემჩენკომ მითხრა, შემდეგ ტურში კიევის "დინამოსთან" შენ დაგაყენებო.*

*მე ვიცი, რომ კონკურენტი არ მჯობს, მას გამოცდილების გამო თუ ათამაშებდნენ. უკრაინაში ასეა, გამოცდილს უფრო ენდობიან, მაგრამ პუკანიჩი ან ფორმაში არ არის, ან უკვე კარიერაში დაღმასვლა დაეწყო. ფაქტია, "შახტარის" მოთამაშისგან ბევრად მეტს ელოდნენ და ვერ გაამართლა. მწვრთნელმა სწორედ ეს მითხრა და იმედია, ძირითადში შანსის მოცემის შემთხვევაში თავს გამოვიჩენ. უკრაინის ჩემპიონატში საკმაოდ მაღალი დონეა და ძალიან მინდა, ძირითადში თამაში დავიმსახურო"* – გვითხრა ოქრიაშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**




● საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა. III ტური

### ა ზონა

**სამტრედია–ჩხერიმელა 0:0**

4.09. სამტრედია. „ე. მანჯგალაძე". 300 მაყურებელი

სამტრედია: ი. შენგელია, დ. ჩხიკვაძე, ლ. ხაჭაპურიძე, ზ. მიქელთაძე, ა. გუბელაძე, შ. კერძევაძე, კ. ბროლაძე (90. ბ. ახობაძე), რ. ნინუა, ი. ხვადაგიანი (83. გ. ნემსაძე), ტ. რუხაია, პ. შათირიშვილი.

*სათადარიგოები: ნ. ბანძავა, ი. თევზაძე, ლ. სუთიძე, გ რუხაძე, გ. პერტაია*

*მწვრთნელი: კ. მიქაძე*

ჩხერიმელა: ი. ორბელაძე, დ. ბერუაშვილი, ი. გვეტაძე, ი. გვარჯალაძე, ი. ჭანკვეტაძე (60. გ. თურმანიძე), ა. ქაშაკაშვილი, ლ. მახარაძე, ა. დოლონაძე (54. გ. ბოხუა), გ. ზაქარაშვილი (68. ლ. კირკიტაძე), დ. კოსტავა, ო. გიორგობიანი

*სათადარიგოები: მ. ლომსაძე, ბ. ახალაია, გ. ჭაავა, გ. ივანიშვილი*

*მწვრთნელი: მ. ხუნდაძე*

გაფრთხილება: ტ. რუხაია, ზ. მიქელთაძე; ო. გიორგობიანი, გ. თურმანიძე

არბიტრი: მ. ურუშაძე

**ლოკომოტივი–მერცხალი 1:1**

4.09. საგურამოს საფეხბურთო კომპლექსი. 100 მაყურებელი

1:0 ლ. კვარაცხელია (38), 1:1 ს. გ. ჩიგოგიძე (51)

ლოკომოტივი: ი. ხომერიკი, ნ. ჭანტურია (28. გ. მაისურაძე), ლ. კვარაცხელია (82. ნ. შერაზადიშვილი), დ. მიქავა, გ. გოროზია, დ. ჯიქია, მ. ცინცაძე, დ. დარცმელია (67. დ. ბაქრაძე), გ. ბაქრაძე, გ. შარანგია, გ. კაპანაძე

*სათადარიგოები: გ. გაბაძე, ა. გუგუშვილი. ბ. ტყემალაძე, დ. გუჯაბიძე*

*მწვრთნელი: გ. ჩიტაური*

მერცხალი: გ. გოგუა, გ. ტყეშელაშვილი. მ. ქობულაძე, თ. ვარდუაშვილი. ნ. მაჭავარიანი (46. ზ. ხურციძე), ს. გ. ჩიგოგიძე, ზ. ტულუში, ლ. კალანდაძე, ს.ვ. ჩიგოგიძე. ლ. ათუაშვილი (88. თ. ჩხატარაშვილი), ი. ბაჯელიძე

*სათადარიგოები: ი. მურუსიძე, ლ. კოტრიკაძე*

*მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი*

გაფრთხილება: გ. კაპანაძე; ზ. ტულუში, თ. ვარდუაშვილი, ზ. ხურციძე

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**კოლხეთი (ხ)–მესხეთი 2:0**

4.09. ხობი. ცენტრალური. 200 მაყურებელი

1:0 ბ. ბუკია (20), 2:0 ც. ბუკია (85)

კოლხეთი: დ. ხარძეიშვილი, ვ. ფირცხელავა, ო. ფიფია, გ. გოგენია, ლ. მეფიშვილი, ც. ბუკია, ბ. ბუკია (61. გ. ლომაია), მ. ბესარაშვილი, მ. ჭკადუა, ი. კუტალია (65. პ. გაბრავა), პ. ბაკარანძე (46. კ. ალანია)

*სათადარიგოები: ზ. გელაშვილი, ი. გერგაია, დ. ნარსია, ლ. ჩაჩიბაია*

*მწვრთნელი: კ. ხურცილავა*

მესხეთი: გ. ძამუნაშვილი, დ. ხანიშვილი, დ. ლეკიშვილი, ო. დარჩია (77. გ. ქურდაძე), ზ. ბარძიმაძე, მ. მურმანიშვილი. კ. ხანიშვილი, დ. ინასარიძე (54. ზ. სუდაძე), გ. წინამძღვრიშვილი, დ. ტლაშაძე, ი. ცნობილაძე

*სათადარიგოები: ლ. ოქრომელიძე, გ. მურადაშვილი*

*მწვრთნელი: პ. გოგოლაძე*

გაფრთხილება: ლ. მეფიშვილი

არბიტრი: ა. გუნთაძე

**ჭიათურა–მეშახტე 1:0**

04.09. ჭიათურა. „თ. მაღრაძე". 300 მაყურებელი

1:0 ლ. ცუცქირიძე (90+3)

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ი ტყებუჩავა, ბ. ჭუმბურიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ლ. ცუცქირიძე, გ. ქირია, დ. ქირია, შ. ფირცხალავა, გ. ბრეგვაძე, ზ. ხაჭიპერაძე (90. გ. მეცხოვრიშვილი), დ. სევასტოპულო (17. ზ. ნოზაძე)

*სათადარიგოები: ზ. ჯაფარიძე, ჯ. ლაშხი, ლ. კუჭაშვილი, ნ. ბაირამოვი*

მეშახტე: დ. ოდიშარია, თ. ხარებავა, ზ. ენდელაძე, ნ. ხარაბაძე, მ. კოპალიანი, ი. ლიბრაძე, ა. მეტონიძე ვ. ჭრელაშვილი, გ. უგლავა (89. გ. გვენეტაძე), დ. კუტალია, ჯ. ავალიშვილი

*სათადარიგოები: თ. ჯოხაძე, გ. ხეცურიანი, ა. სახელაშვილი, თ. ჭელიძე, ბ. ჯიშიაშვილი*

*მწვრთნელი: დ. რუხაძე*

გაფრთხილება: ზ. ნოზაძე, ზ. ხაჭიპერაძე; თ. ხარებავა, ზ. ენდელაძე, ა. მეტონიძე

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

**სტუ–დინამო (ბ) 4:1**

04.09. თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი". 50 მაყურებელი

1:0 ა. ბაგაშვილი (17), 2:0 ა. ბაგაშვილი (20), 3:0 ა. ბაგაშვილი (55), 3:1 ა. ბაციკაძე (81), 4:1 მ. კოსტავა (84)

სტუ: დ. მეფარიძე, გ. კვახაძე, ა. ლალაძე, ლ. თვალავაძე, ნ. მაღრაძე, ლ. საბაძე (66. მ. კოსტავა), ნ. ბიწკინაშვილი, გ. ბიბილეიშვილი (75. ლ. ჭყოიძე), ლ. ჯიქიძე, ა. ბაგაშვილი, გ. ჯიშკარიანი (85. გ. კოლუა)

*სათადარიგოები: გ. გოგატიშვილი, ნ. მახვილაძე, ზ. ჭავჭავაძე, ა. აბულაძე*

*მწვრთნელი: გ. ჟორჟოლიანი*

დინამო: თ. კაკალაძე, დ. სამსეიშვილი (57. კ. თოდაძე), ნ. ხუხია, მ. ფარტენაძე, კ. მაკარიანი (41. ლ. რამიშვილი), ა. ბაჯელიძე, ვ. თევდორაძე, თ. ბერიძე, ზ. ლობჟანიძე, ნ. დიასამიძე (46. ა. ბაციკაძე), ლ. გაბრიჭიძე

*სათადარიგოები: შ. მამინაშვილი, მ. ჯორბენაძე, მ. გოგიტიძე, ნ. ნასუაშვილი*

*მწვრთნელი: ი. ნასუაშვილი*

გაფრთხილება: მ. ფარტენაძე

არბიტრი: ხ. გაგნიძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 2. ს.ტ.უ. | 3 | 1 | 2 | 0 | 9-6 | 5 |
| 3. მერცხალი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 5 |
| 4. კოლხეთი (ხ) | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 5. ჭიათურა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 6. მეშახტე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 7. მესხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 8. ჩხერიმელა | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 9. ლოკომოტივი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 10. სამტრედია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

**მომდევნო ტური, 9 სექტემბერი**

დინამო (ბ)-მეშახტე
მესხეთი-ჭიათურა
მერცხალი-კოლხეთი (ხ)
ჩხერიმელა-ლოკომოტივი
სტუ-სამტრედია

### ბ ზონა

**ჩიხურა–სქური 4:1**

04.09. საჩხერე. 200 მაყურებელი

0:1 ლ. გაბუნია (7), 1:1 ლ. ბაკურაძე (12, პენალტით), 2:1 ლ. ნოზაძე (21), 3:1, 4:1 თ. მუმლაძე (65, 68)

ჩიხურა: რ. თევდორაძე, ლ. ჭელიძე, ჯ. ბერიანიძე, ი. ზაბახიძე, გ. სალარიძე, ლ. ვაშაკიძე (63. ე. ზივზივაძე), ლ. ნოზაძე, ლ. ბაკურაძე (67. ნ. გუშარაშვილი), გ. სილაგავა, ნ. კვასხვაძე, ა. ივანიშვილი (58. თ. მუმლაძე)

*სათადარიგოები: ზ. მწყერაშვილი, გ. ცარციძე, გ. ქიმაძე*

*მწვრთნელი: ს. ფრუიძე*

სქური: ნ. ჯოლოგუა, ი. ფაცაცია, ა. მიქენაია (88. გ. შელია), ზ. მოლაშხია, ზ. ღარიბაშვილი (46. ლ. შენგელია), შ. გაბუნია, ლ. გაბუნია, ბ. სვანიძე, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია (46. ა. სოხინი), გ. ჭკუასელი

*სათადარიგოები: ტ. ხარჩილავა, ჯ. ყურუა, ზ. გახარია, გ. კვირკვია*

*მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა*

გაფრთხილება: ზ. მოლაშხია

არბიტრი: თ. ხუჭუა

**სამგურალი–ზოოვეტი 1:3**

04.09. წყალტუბო. „26 მაისი". 200 მაყურებელი

0:1 ი. სვანიძე (10), 0:2 გ. ჯოხაძე (45), 1:2 რ. კვერნაძე (53), 1:3 ლ. ლობჟანიძე (61)

სამგურალი: დ. მემარნიშვილი, ბ. ბიბილაშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, კ. ძაგანია, ნ. უგრეხელიძე, ლ. ცხადაძე (67. რ. ჩიხლაძე), გ. გელენიძე (46. ხ. უგრეხელიძე), გ. გორგოძე, ზ. კუხალაშვილი (56. ი. შალიკაშვილი), რ. კვერნაძე, ზ. ქუთათელაძე

*სათადარიგოები: ლ. გორდეზიანი, ლ. ნავერიანი, ზ. ჩიხლაძე, თ. შეყრილაძე*

*მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი*

ზოოვეტი: მ. ძიძიგური, შ. გალეგაშვილი, თ. ჯიმშელეიშვილი, ი. ალასანია, თ. კოშაძე (57. ლ. ლობჟანიძე), თ. მოსიაშვილი, უ. მამულაშვილი (62. ს. ლორთქიფანიძე), ი. ჯოჯიშვილი, ი. სვანიძე (82. გ. კუხალაშვილი), გ. ჯოხაძე, ზ. ტიელიძე

*სათადარიგოები: ი. მღებრიშვილი, მ. მახათაძე, მ. ბაბაიანი*

*მწვრთნელი: ე. გუგუშვილი*

გაფრთხილება: ნ. უგრეხელიძე

გაძევება: ნ. უგრეხელიძე

არბიტრი: შ. ქუხილავა

**გურია–ნორჩი დინამოელი 2:1**

04.09. ლანჩხუთი. ე. შევარდნაძე. 200 მაყურებელი

0:1 ი. ჩახვაშვილი (21, პენალტით), 1:1 ი. დეისაძე (45), 2:1 ი. დეისაძე (49)

გურია: მ. გოგუაძე, ჯ. გოგიბერიძე, რ. კუკულაძე, ა. დვალიშვილი, გ. ნათენაძე, ზ. რაზმაძე (89. გ. შეწირული), გ. მელქაძე, ლ. კობახიძე, ი. კილაძე, გ. კვერენჩხილაძე (80. გ. კვიტაიშვილი), ი. დეისაძე (90. ლ. რუსიეშვილი)

*სათადარიგოები: დ. კეკელიძე, ს. ფირცხალაიშვილი, ნ. ებრალიძე, ს. ბახია*

*მწვრთნელი: გ. იმნაძე*

ნორჩი დინამოელი: ა. ბილიხოძე, ზ. კვარაცხელია (65. მ. ხოკერაშვილი), ა. ჩენსუ, დ. ლომიძე, გ. თანიაშვილი, გ. ქვარაია, ი. ჩახვაშვილი, ბ. შუბითიძე, გ. ოქრუაშვილი, ი. ხელაძე (53. ზ. ქარდავა), ვ. ჭანტურიშვილი

*სათადარიგო: ა. ნონოსი*

*მწვრთნელი: რ. ბარამიძე*

გაფრთხილება: ზ. რაზმაძე, ი. დეისაძე; ზ. კვარაცხელია, გ. თანიაშვილი

არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

**ადელი–სულორი 4:0**

04.09. ბათუმი. ადელი. 200 მაყურებელი

1:0 გ. სირაბიძე (50), 2:0ა. აბუსელიძე (66), 3:0 ა. აბუსელიძე (70), 4:0 ა. ლორია (89)

ადელი: თ. ცინცაბაძე, მ. ფუტკარაძე, ს. კახიძე (77. გ. რომანაძე), გ. ხაჩიძე, ვ. ხიდეშელი, გ. ფალავანდიშვილი. ლ. მამეიშვილი (68. ლ. კვანტალიანი), ა. ლორია, ა. აბუსელიძე, დ. ჯალალანია (4. ა. დევაძე), გ. სირაბიძე

*სათადარიგოები: ჯ. მერაბიშვილი, ნ. დავითაძე, ნ. წულუკიძე, გ. ქოქოლაძე*

*მწვრთნელი: გ. ჯორბენაძე*

სულორი: დ. ხურციძე, ლ. გაბუნია (55. ბ. დვალიშვილი), ვ. ნუცუბიძე, ა. ქებულაძე, პ. ბელთაძე, ნ. გიორგაძე თ. მალლაკელიძე, გ. ნიკოლეიშვილი (46. გ. ბრეგვაძე), გ. ორბელაძე, ბ. სულაბერიძე (72. ბ. ბელქანია), გ. დიაკონიძე

სათადარიგოები: ი,. დვალიშვილი, ნ. ბრეგვაძე, კ. კვიმსაძე, მ. დვალიშვილი

მწვრთნელი: გ. ბრეგვაძე

არბიტრი: კ. ჭაჭუა

**აეტი–იმერეთი 1:0**

05.09. თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი" 50 მაყურებელი

1:0 გ. ნარსია

*47-ე წუთზე ბ. ჩხეტიანმა (იმერეთი) ვერ გამოიყენა პენალტი.*

აეტი: ლ. ეზიეშვილი, ლ. ბიწაძე, გ. ნიჟარაძე (53. თ. მეტრეველი), გ. ყულიჯანიშვილი. გ. ბაგალიშვილი, ნ. მამრაში (76. ნ. ზაქარიაძე), ვ. ჭაბუკიანი, გ. ნარსია, გ. მალაზონია, თ. ქართლელიშვილი, გ. გრიგალაშვილი (61. გ. ბაკურაძე

*სათადარიგოები: ლ. ჩიქოვანი, გ. ვასაძე, ლ. ჩუხუა, ლ. გაბელაია*

მწვრთნელი: ო. სოხაძე

იმერეთი: გ. ნიქაბაძე, ვ. ბრეგვაძე, გ. ხელაძე (46. რ. კეჭაყმაძე), ლ. გაჩეჩილაძე, რ. კაშია, დ. გოდერიძე (46. დ. სულაბერიძე), გ. ცაგარეიშვილი, გ. გოდერიძე. დ. კუხალაშვილი, ბ. ჩხეტიანი, ნ. ჩიხლაძე

*სათადარიგოები: ს. მეძველია, ნ. ჩაჩიბაია, გ. გენძეხაძე, დ. ქუთათელაძე*

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

გაფრთხილება: გ. ყულიჯანიშვილი. ვ. ჭაბუკიანი, ნ. ზაქარიაძე, გ. მალაზონია, ლ. ეზიეშვილი; ბ. ჩხეტიანი, რ. კეჭაყმაძე

გაძევება: გ. ყულიჯანიშვილი

არბიტრი: ი. ურუშაძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. ნ. დინამოელი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. იმერეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 4. სქური | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 5. ზოოვეტი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 6. გურია | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 7. სამგურალი | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 8. სულორი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 9. ადელი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 10. აეტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

**მომდევნო ტური, 9 სექტემბერი**

სქური-სამგურალი
ზოოვეტი-ადელი
სულორი-გურია
იმერეთი-ნ. დინამოელი

**10 სექტემბერი**

აეტი-ჩიხურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული

# უფასო ყველის ეფექტი

**სტატია "ლივერპულის" სატრანსფერო პოლიტიკის შესახებ მერსისაიდელთა ერთ-ერთმა ფანკლუბმა თავის საიტზე გამოაქვეყნა. ის საკმაოდ საინტერესო გვეჩვენა. გადავწყვიტეთ, ის თქვენთვისაც შემოგვეთავაზებინა.**

წელს "ლივერპულის" მენეჯერმა **კენი დალგლიშმა** გუნდის გასაძლიერებლად 110 მილიონი ფუნტი დახარჯა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კლუბმა დაასრულა "თავისუფალი აგენტების ეპოქა". ამან გუნდის მიერ ნაჩვენებ შედეგებზე უკვე დიდი გავლენა მოახდინა. წინა სეზონის მეორე ნახევარი და მიმდინარეს საწყის ტურებს გუნდი ისეთ დონეზე ატარებს, რომ წლების წინ ამაზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა. როგორც ცნობილია, თამაშის ხარისხი დიდადაა დამოკიდებული შემსრულებელთა დონეზე. ასეთები კი ყოველთვის ძალიან ძვირი ღირს. კიდევ უფრო იშვიათია შემთხვევა, როცა კარგი ფეხბურთელის გადაბირებას გუნდი უფასოდ ახერხებს. თავისუფალი ტრანსფერი, რაც უნდა ლამაზად იყოს ის შეფუთული, რალაც წილად ყოველთვის რისკია და მენეჯერისგან განსაკუთრებულ ალღოს მოითხოვს. ასეთი ალღო კი ძირითადად ისეთი გუნდების მენეჯერებს უვითარდებათ, რომელთა კლუბები არ არიან ფინანსურად წელში გამართულნი.

**ტომ ჰიკსისა** და **ჯორჯ ჯილეტის** ეპოქაში "ლივერპულს" დროდადრო უხდებოდა თავისუფალ აგენტთა ბაზარზე მუშაობა. არა, მერსისაიდელები შემადგენლობის გასაძლიერებლად ფულს ხარჯავდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო 4 წელიწადში "წითლებმა" 7 თავისუფალი ფეხბურთელი გადაიბირეს. ასეთებს "დიდი ოთხეულის" სხვა წარმომადგენლებიც ეძებდნენ, მაგრამ არა ამ მასშტაბებით. "არსენალმა", "მანჩესტერ იუნაიტედმა" და "ჩელსიმ" ამავე პერიოდში 8 ასეთი მოთამაშე გადაიბირეს. ანუ ერთით მეტი, ვიდრე მარტო "ლივერპულმა". მაგალითად "ჩელსიმ" **სტივ სიდუელი, ტალ ბენ-ჰაიმი, კლაუდიო პისარო** და **როს ტერნბული** მიიყვანა გუნდში, მაგრამ მხოლოდ უკანასკნელი გამოადგა გუნდს, როგორც კარგი სათადარიგო მეკარე. სამეულმა კი თავი ვერაფრით გამოიჩინა და "სტემფორდ ბრიჯი" მალე დატოვა. "არსენალს" დღემდე არაფერში ადგება **მარუან შამახი**, ხოლო **მაიკლ ოუენისგან** "ოლდ ტრეფორდზე" **ალექს ფერგიუსონი** თავიდანვე ბევრს არაფერს ელოდა. არც "ლივერპულს" გაუმართლა, მაგრამ უფრო დიდი მასშტაბებით. ქვემოთ რამდენიმე იმედგაცრუებაზე მოგიყვებით.



ერთ დროს ინგლისური ფეხბურთის ოქროს ბიჭუნა ჯო კოული ლივერპულს არ გამოადგა

*ანდრეი ვორონინი.* **თავდამსხმელი. 40 თამაში, 7 გოლი.**

**ანდრეი ვორონინი** თავდამსხმელი ამ ჯაჭვში პირველი რგოლი იყო. ანდრეის კარგი რეპუტაცია ჰქონდა ბუნდესლიგაში, სადაც 10 წლის განმავლობაში ასპარეზობდა. **რაფა ბენიტესის** "ლივერპული" მყარი დაცვით გამოირჩეოდა, მაგრამ აშკარად აკლდა კარგი თავდამსხმელი. დიახ, ვორონინი კარგი შემსრულებელი იყო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სუფთა ბომბარდირი. მალე კლუბის ამერიკელმა მფლობელებმა გუნდში **ფერნანდო ტორესი** მოიყვანეს. ანდრეის კი მეორე და ხანდახან მესამე თავდამსხმელის როლი უნდა ეკისრა. თავიდან ყველაფერი კარგად დაიწყო. უკრაინელმა რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა და... ზუსტად ამ დროს მძიმე ტრავმამ ის გუნდს ხანგრძლივად დააშორა. ამ დროს გუნდი შეთამაშდა, ანდრეი კი ბენიტესის გეგმებიდან ამოვარდა.

**დასკვნა**: ვორონინი კარგად შეეწყო გერმანულ ფეხბურთს და ინგლისურ ტალღებზე გადართვა ვერაფრით მოახერხა. საკუთარ ცუდ ფორმას ის ყველაფერს აბრალებდა საკუთარი თავის გარდა, რამაც გულშემატკივრებთან მისი ურთიერთობა ზედმეტად დაძაბა.

*ფილიპ დეგენი.* **მარჯვენა მცველი. 12 თამაში, 0 გოლი.**

წარუმატებელი 2007/08-ის სეზონის შემდეგ რაფა ბენიტესმა დაცვის ფლანგებზე "რევოლუცია" მოაწყო - გუნდიდან გაუშვა **სტივ ფინანი** და **იონ არნე რიისე**, ფეხბურთელები, რომლებიც გულშემატკივართა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. მათი შეცვლა **ალვარო არბელოას, ანდრეა დოსენასა** და **ფილიპ დეგენს** დაევალათ. ამ უკანასკნელზე გუნდი დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ საქმე ისე წავიდა, რომ "ლივერპულის" შემდეგ მისი კარიერა დაღმა წავიდა. ფილიპი ტრავმის გამო პრაქტიკულად არ თამაშობდა. მან თასის თამაშზე ჯერ **სამი ჰიიპიასთან** შეჯახებისას გაიტეხა ორი ნეკნი, გამოჯანმრთელებიდან ძალიან მალე კი, ტერფის ძვლები, რისი წყალობითაც პრემიერლიგაში დებიუტს წელიწადზე მეტხანს ელოდა.

**დასკვნა**: მძიმე ტრავმების გამო დეგენი გუნდს არ გამოადგა და როცა ითამაშა, დასამახსოვრებელი არაფერი გაუკეთებია.

*მაქსი როდრიგესი.* **შემტევი ნახევარმცველი. 54 თამაში, 12 გოლი.**

**მაქსი როდრიგესი** მთელმა მსოფლიომ 2006 წლის მუნდიალზე არგენტინის ნაკრებში ფანტასტიკური თამაშით გაიცნო. 2010 წლის იანვარში მაქსი იმ ძველის აჩრდილიღა იყო. "ატლეტიკოში" მან უმოკლეს დროში განვლო როლი კაპიტნიდან იმ ფეხბურთელამდე, ვისი გუნდიდან გაშვებაც ეჩქარებოდათ. არგენტინელს კლუბის ხელმძღვანელობასთან სერიოზული კონფლიქტი ჰქონდა, რის გამოც ძირითადად სკამზე იჯდა. კონტრაქტის ამოწურვამდე 6 თვით ადრე მხარეები ერთმანეთს მშვიდობიანად დაშორდნენ – კლუბმა ფეხბურთელს თავისუფალი აგენტის სტატუსი უბოძა. მანაც დაადო თავი და "ლივერპულში" გადაბარგდა. დებიუტი შთამბეჭდავი იყო: 2 საგოლე გადაცემა ფერნანდო ტორესის მისამართით. რის შემდეგაც ის "ჩაქრა". ფეხბურთელი ძირითადად უმისამართო გადაცემებითა და ალოგიკურ სიტუაციებში კარში დარტყმებით გვამახსოვრებდა თავს. **როი ჰოჯსონის** გუნდში მან "თავი გაიგიჟა". 3 შეხვედრაში ზედიზედ გადამწყვეტი გოლები გაჰქონდა, ასევე მიჯრით 3 თამაშში 7 გოლი შეაგდო, მათ შორის 2 ჰეთთრიკი. **კენი დალგლიშის** მოსვლის შემდეგ კი ის ისევ სათადარიგოთა შორის ზის.

დასკვნა: იქამდე, სანამ მაქსი "ლივერპულშია", მას პერსპექტივა არ აქვს. განსაკუთრებით მას მერე, რაც გუნდმა სტაბილურად მაღალ დონეზე მოასპარეზე **სტიუარტ დაუნინგი** შეიძინა. ყველაზე მეტად რაც მაქსის აკლია, ეს გუნდურობაა. ინგლისში კი ამის გარეშე არაფერი გამოდის.

*ჯო კოული.* **შემტევი ნახევარმცველი. 32 თამაში, 3 გოლი.**

მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე **ჯო კოული** ინგლისში ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად მიიჩნეოდა. მიუხედავად **ჟოზე მოურინიოს** პრეტენზიულობისა, მან მოახერხა პორტუგალიელისთვის თავის მოწონება და "ჩელსიში" კარგად ათამაშდა. არადა, ჯო თავისი ტექნიკით, სიჩქარით, პასის კულტურით კლასიკური გამთამაშებელია. ჟოზემ მისგან მარჯვენა ნახევარმცველი გამოადნო. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კოულს ტრავმები მიეძალა, რამაც მის სათამაშო ფორმაზე დამღუპველად იმოქმედა. ლონდონელებმა ფეხბურთელთან თანამშრომლობის გაგრძელება აღარ ისურვეს. ჰოჯსონმა მას ლივერპულში თავის გამოჩენის შანსი მისცა. დებიუტი თასზე დიდებული გამოდგა, მაგრამ პრემიერლიგაში "არსენალთან" პირველივე შეხვედრაში წითელი ბარათი დაიმსახურა. ამის შემდეგ ძველი ჯო კოული აღარავის უნახავს. დალგლიშს ასეთი კოული არ აძლევდა ხელს და არენდით "ლილში" გაუშვა.

**დასკვნა**: კოული ნოემბერში სულ რაღაც 30 წლის ხდება, მაგრამ უკვე თამამად შეიძლება თქმა, რომ მისი საუკეთესო წლები უკვე ჩავლილია.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები




## სანტიაგო ბერნაბეუს ვეღარ იცნობთ

**ფლორენტინო პერესი** ახალ რევოლუციას იწყებს - ახლა „სანტიაგო ბერნაბეუზე", უახლოეს დღეებში ის პუბლიკას წარუდგენს სტადიონის მოდერნიზების პროექტს, რომლის მიხედვითაც მთლიანად შეიცვლება არენის ინფრასტრუქტურა, რომელიც 80 ათასზე მეტ ადამიანს იტევს. „რეალი" მალე ლა კასტელიანას გამზირზე 30 ათას კვადრატულ მეტრ ტერიტორიას დაეუფლება, რომელსაც სტადიონის გაფართოებისთვის გამოიყენებს, იქ კი დაახლოებით პეკინის ოლიმპიური სტადიონის მსგავს სათავსებს მოაწყობს, აშენდება უამრავი მაღაზია და ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, რომლის ნომრებიდანაც მატჩის ყურება იქნება შესაძლებელი. ახლა სტადიონს კლუბის მოგების 25% შემოაქვს, ამ იდეის განხორციელების შემდეგ მოგების წილი გაიზრდება.

## სტატისტიკოსთა დასკვნა: ჩელსი, ბარსა, ინტერი, ბაიერნი და პსჟ გაჩემპიონდებიან

**სტატისტიკის** მოყვარულებმა, კერძოდ კი „ევროპული ფეხბურთის ობსერვატორიამ" და „რანინგბოლმა" გამოიკვლიეს მოწინავე ჩემპიონატების სტატისტიკური მახასიათებლები, რომელთა საფუძველზეც ივარაუდეს, თუ სად რომელი გუნდი გახდება ჩემპიონი. მაშ ასე, სტატისტიკოსთა აზრით „დიდ ხუთეულში" ეს გუნდები იმარჯვებენ: „ჩელსი" ინგლისში, „ბარსელონა" ესპანეთში, „ინტერი" იტალიაში, „ბაიერნი" გერმანიაში და „პარი სენ ჟერმენი" საფრანგეთში.

## შაჰინი: მალე დავბრუნდები

**მადრიდის** „რეალის" თურქი ახალწვეული **ნური შაჰინი** იმედოვნებს, რომ მოედანს მალე დაუბრუნდება. წინასასეზონო შეკრებაზე მიღებული ტრავმის გამო, 23 წლის ნახევარმცველი სავარაუდოდ ნოემბრამდე იუქმებს. შაჰინი კი მიიჩნევს, რომ გამოჯანმრთელების პროცესი კარგად მიდის და ის სავარაუდოზე ადრე დაუბრუნდება მოედანს. ამასობაში კი თურქი ესპანური ენის შესწავლით არის დაკავებული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ქოლესტერინის საზომი აპარატი
~~69~~ ლარი
35 ლარი
გლუკომეტრები
35-99 ლარი
შპს „კონტრასტი"
მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 234 74 03; 599 19 60 55
ჩააბარე ძველი, დაამატე 27 ლარი და მიიღე
ახალი გლუკომეტრი + 10 ტესტ-ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ევრო 2012 საკვალიფიკაციო მატჩები

# იტალია და ესპანეთი გავიდნენ!

## სომხეთის ნაკრებს ისტორიული შანსი აქვს

**გერმანიის ნაკრების შემდეგ, ევროპის ჩემპიონატის საგზურები ესპანეთმა და იტალიამ გაიფორმეს. პოლონეთ-უკრაინის საგზური ფაქტობრივად განაღდებული აქვთ ჰოლანდიას და ინგლისსაც. საფრანგეთმა რუმინეთში უგოლო ფრე გაათამაშა, რის შემდეგაც ფრანგებს ბოსნიელთა სუნთქვა ესმით, ხოლო შვეიცარიის ნაკრებმა ბულგარეთთან გამარჯვების შემდეგ ევრო 2012-ზე მოხვედრის შანსი შეინარჩუნა.**

ამ ყველაფრის გარდა, გუშინდელი დღის მთავარი მოვლენა ის არის, რომ სომხეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე გასვლის ძალიან კარგი შანსი აქვს! გუშინ, სომხებმა სლოვაკეთს სტუმრად არც მეტი, არც ნაკლები, 4:0 მოუგეს (!), B ჯგუფში მესამე ადგილამდე ალზევდნენ და ლიდერ რუსეთს მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩებიან. წინ კი ორი ტურია: სომხეთის ნაკრები ჯერ მაკედონიას მასპინძლობს, მერე კი ირლანდიაში ჩადის და თუ ორივე მატჩი მოიგო, საკმაოდ დიდია იმის შანსი, რომ ევროპის ჩემპიონატზე ითამაშოს. რაც მთავარია, სომხების ბედი მათსავე ხელშია და თუ ორივე თამაშს მოიგებენ, მინიმუმ მეორე ადგილზე აუცილებლად გავლენ!

ჯგუფში მეორე ადგილის დაკავებასთან ძალიან ახლოსაა ბოსნიის ნაკრებიც, რომელმაც გუშინ ბელარუსი **ზვიეზდან მიშიმოვიჩის** გოლით დაამარცხა. ბოსნიელები ლიდერ საფრანგეთს ერთი ქულით ჩამორჩებიან, მესამე ადგილზე მყოფ რუმინეთს კი ოთხით უსწრებენ.

H ჯგუფში დანიამ ნორვეგია 2:0 დაამარცხა და ქულებით ლიდერ პორტუგალიას გაუთანაბრდა. ნორვეგიასაც 13 ქულა აქვს, მაგრამ ერთი მატჩით მეტი აქვს გამართული.



სომხეთი ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსს ინარჩუნებს

### A ჯგუფი

#### აზერბაიჯანი-ყაზახეთი 3:2

**აზერბაიჯანი:** აგაიევი, სადიგოვი, შუკუროვი, ნაბიევი (13. იუნისოღლუ), ჰუსეინოვი, ჩერტოგანოვი (46. შუბაშიჩი), ამირგულიევი, ისმაილოვი (87. ავიშოვი), ბუდაკი, ჯავადოვი, რ. ალიევი.

**ყაზახეთი:** მოკინი, როჟკოვი (78. ევსტიგნეევი), ნურდაულეტოვი, კიროვი, გორმანი, ლოგვინენკო, კუკეიევი (59. ხაირულინი), კონისბაევი, ოსტაპენკო, შახმეტოვი (70. შახმეტოვი), გრიდინი.

**გოლები:** 0:1 ოსტაპენკო (20), 1:1 რ. ალიევი (53), 2:1 შუკუროვი (62-პენ), 3:1 ჯავადოვი (67), 3:2 ევსტიგნეევი (78)

#### ავსტრია-თურქეთი 0:0

**ავსტრია:** გრიუნვალდი, პოგატეცი, შიმერი, ფუხსი, შარნერი, დაგი, ბაუმგარტლინგერი, ალაბა, როიერი (67. ჰოფერი), ჰარნიკი, არნაუტოვიჩი (90. მაიერჰოფერი).

**თურქეთი:** ვოლქან დემირელი, სარიოღლუ, ქორქმაზი, ბალთა, ჩეთინი, თურანი, ს. შაჰინი, ტოპალი, ქურთულუში, ბ. ილმაზი (90. ტიორე), ბულუთი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 8 | 8 | 0 | 0 | 28-5 | 24 |
| 2. თურქეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-8 | 14 |
| 3. ბელგია | 8 | 3 | 3 | 2 | 16-11 | 12 |
| 4. ავსტრია | 8 | 2 | 2 | 4 | 12-16 | 8 |
| 5. აზერბაიჯანი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-21 | 7 |
| 6. ყაზახეთი | 8 | 1 | 0 | 7 | 5-20 | 3 |

მომდევნო ტური

7 ოქტომბერი

ბელგია-ყაზახეთი
აზერბაიჯანი-ავსტრია
თურქეთი-გერმანია

### B ჯგუფი

#### რუსეთი-ირლანდია 0:0

**რუსეთი:** მალაფეევი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, ანიუკოვი, ჟირკოვი (76. ბილიალეტდინოვი), სემშოვი, შიროკოვი, ზირიანოვი, არშავინი, კერჟაკოვი (54. პავლიუჩენკო).

**ირლანდია:** გივენი, ოდი, დანი, უორდი, კელი, მაკგიდი, დაფი (67. ჰანტი), უელანი, ენდრიუსი, კ. დოილი (59. კოქსი), კინი.

#### მაკედონია-ანდორა 1:0

**მაკედონია:** ბოგატინოვი, შიკოვი, პოპოვი, მოისოვი, გეორგიევსკი, შუმილიკოვსკი, იბრაიმი (46. ტრაიკოვსკი), მუარემი (77. უსეინი), ჰასანი (68. ფაზლი), ივანოვსკი, ტრიჩკოვსკი.

**ანდორა:** გომესი, რუბიო (26. ა. მარტინესი), ბერნაუსი, ემილი გარსია, კ. მარტინესი, ხოსეპ აიალა, სონეხე, ვიეირა (83. მარკ გარსია), მარკ ვალესი, მორენო, ფერნანდო სილვა (74. ს. გომესი).

**გოლი:** 1:0 ივანოვსკი (59)

#### სლოვაკეთი-სომხეთი 0:4

**სლოვაკეთი:** მუჩა, მ. ჩეხი (78. იენდრიშეკი), შკრტელი, პეკარიკი, დურიცა, გუედე (55. იეჟი), მ. კარჰანი, ჰამშიკი, შტოხი, ვაისი (71. შესტაკი), ჰოლოშკო.

**სომხეთი:** ბერეზოვსკი, ჰოვსეპიანი, ალექსანიანი, არტურ იედიგარიანი (90. იუსპაშიანი), მკოიანი, ლაზარიანი, მხითარიანი, მკრტჩიანი, ჰაირაპეტიანი, პიცელი (73. მანუჩარიანი), მოვსესიანი (85. სარქისოვი).

**გოლები:** 0:1 მოვსესიანი (57), 0:2 მხითარიანი (70), 0:3 ლაზარიანი (80), 0:4 სარქისოვი (91)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 10-4 | 17 |
| 2. ირლანდია | 8 | 4 | 3 | 1 | 11-6 | 15 |
| 3. სომხეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 17-7 | 14 |
| 4. სლოვაკეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 6-8 | 14 |
| 5. მაკედონია | 8 | 2 | 1 | 5 | 6-9 | 7 |
| 6. ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 1-17 | 0 |

მომდევნო ტური

7 ოქტომბერი

სომხეთი-მაკედონია
ანდორა-ირლანდია
სლოვაკეთი-რუსეთი

### C ჯგუფი

#### სერბეთი-ფარერები 3:1

**სერბეთი:** იორგაჩევიჩი, ივანოვიჩი, ბიშევაცი (45. ტომოვიჩი), სუბოტიჩი, კოლაროვი, სტანკოვიჩი (46. პეტროვიჩი), კუჟმანოვიჩი, ნინკოვიჩი (82. ფეისა), ტოშიჩი, პანტელიჩი, იოვანოვიჩი.

**ფარერები:** ტორგარდი, გრეგერსენი, დავიდსენი, დანიელსენი, ნაესი, სამუელსენი (73. იუსტინუ სენი), ბენჯამინსენი, ბალდვინსონი, ჰოლსტი (78. მოურიტსენი), ედმუნდსონი, ელტორი.

**გოლები:** 1:0 იოვანოვიჩი (6), 2:0 ტოშიჩი (23), 2:1 ბენჯამინსენი (37), 3:1 კუჟმანოვიჩი (69)

#### ესტონეთი-ჩრდ. ირლანდია 4:1

**ესტონეთი:** პარეიკო, კლავანი, პიიროხა, იეეგერი, რანი, კრუგლოვი, პური (63. პურიე), ვუნკი, ვასილიევი, აპიუპერა (52. ზენჟოვი), კინკი (88. საავი).

**ჩრდ. ირლანდია:** კემპი, ა. ჰიუზი, ბეირდი, მაკალეი, ქეთქერთი, დევისი, ბრანტი, მაკანი, კლინგანი, მაკგინი (65. ფინი), ჰილი (65. მაკუოიდი).

**გოლები:** 1:0 ვუნკი (28), 2:0 კინკი (32), 2:1 პიიროხა (40-საკ. კარში), 3:1 სენჟოვი (59), 4:1 საავი (92)

#### იტალია-სლოვენია 1:0

**იტალია:** ბუფონი, კასანი, რანოკია, კიელინი, ბალძარეტი, დე როსი, პირლო, ტიაგო მოტა (46. მარკიზიო), მონტოლივო (76. ბალოტელი), როსი, კასანო (61. პაცინი).

**სლოვენია:** ჰანდანოვიჩი, სესარი, ილკიჩი, ბრეჩკო, შულერი, ვრშიჩი (76. პეჩნიკი), კორენი, კირმი (86. დედიჩი), რადოსავლიევიჩი, ბირსა (57. ილიჩიჩი), ნოვაკოვიჩი.

**გოლი:** 1:0 პაცინი (85)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 8 | 7 | 1 | 0 | 16-1 | 22 |
| 2. სერბეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-10 | 14 |
| 3. ესტონეთი | 9 | 4 | 1 | 4 | 13-13 | 13 |
| 4. სლოვენია | 9 | 3 | 2 | 4 | 10-7 | 11 |
| 5. ჩრდ. ირლანდია | 8 | 2 | 3 | 3 | 8-8 | 9 |
| 6. ფარერები | 10 | 1 | 1 | 8 | 6-26 | 4 |

მომდევნო ტური

7 ოქტომბერი

ჩრდ. ირლანდია-ესტონეთი
სერბეთი-იტალია

### D ჯგუფი

#### ბოსნია-ბელარუსი 1:0

**ბოსნია:** ბეგოვიჩი, პაპაცი, პანჯა (45. მიშიმოვიჩი), მუიჯა, მედუნჯანინი, რაჰიმიჩი, სალიჰოვიჩი (19. სტილიჩი), ლულიჩი, იბრიჩიჩი (64. ჟეცი), ზაჰიროვიჩი, ჯეკო.

**ბელარუსი:** ჟევნოვი, ტრუბილა, შიტოვი, ვერხოვცოვი, მარტინოვიჩი, კულჩი, პუცილა, სიტკო (77. ვარანკოვი), კალაჩევი, კისლიაკი, კორნილენკო (72. დრაჰუნი).

**გოლი:** 1:0 მიშიმოვიჩი (87)

#### ლუქსემბურგი-ალბანეთი 2:1

**ლუქსემბურგი:** ჟობერი, შნელი, ბუკვიჩი, ბლაისი, მუტში, გერსონი, ლევეკი (68. იოახიმი), პაიალი (88. პედრო), იენიში, ბეტმერი, და მოტა (70. ბენსი).

**ალბანეთი:** უიკანი, ვენგჯელი, ტელი, ველიუ (62. ბულკუ), ლალა, სკელა, აგოლი, დურო (46. ბაკაი), ბოგდანი, სალიჰი, კაპლანი (46. მუზაკა).

**გოლები:** 1:0 ბეტმერი (27), 1:1 ბოგდანი (64), 2:1 იოახიმი (78)

#### რუმინეთი-საფრანგეთი 0:0

**რუმინეთი:** ტატარუსანი, გოიანი, რაცი, საპურანუ, ჩირიჩესი, ნიკოლიტა, კოკისი, ლაზარი (43. სტანჩი), ტანასე, ბურჩეანუ, მარიკა (90. ბუკური).

**საფრანგეთი:** ლორისი, აბიდალი, სანია, ევრა, რამი, რიბერი, ვალბუენა (71. რემი), კაბაიე (75. ნასრი), მვილა, მარტინი, ბენზემა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 11-3 | 17 |
| 2. ბოსნია | 8 | 5 | 1 | 2 | 11-7 | 16 |
| 3. რუმინეთი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-6 | 12 |
| 4. ბელარუსი | 9 | 3 | 3 | 3 | 6-5 | 12 |
| 5. ალბანეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 6-10 | 8 |
| 6. ლუქსემბურგი | 9 | 1 | 1 | 7 | 3-16 | 4 |

მომდევნო ტური

7 ოქტომბერი

ბოსნია-ლუქსემბურგი
საფრანგეთი-ალბანეთი
რუმინეთი-ბელარუსი

### E ჯგუფი

#### ფინეთი-ჰოლანდია 0:2

**ფინეთი:** ჰრადეკი, პასანენი (78. რაიტალა), არკივუო, მოისანდერი, ტოივიო, ა. ერიომენკო, ჰემელეინენი, ჰეტემაი, რინგი, პუკი (61. ვეირინენი), ფორსელი (86. სიოლუნდი).

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი, ჰეიტინგა, მატიისენი, პიეტერსი, ვან დერ ვილი, სნეიდერი, ვან ბომელი, სტროოტმანი, კუიტი, ვან პერსი (68. ელია), ჰუნტელაარი (68. დე იონგი).

**გოლები:** 0:1 სტროოტმანი (29), 0:2 დე იონგი (93)

#### მოლდოვა-უნგრეთი 0:2

**მოლდოვა:** გაიდუჩევიჩი, ეპურეანუ, გოლოვატენკო, არმასი, სავინოვი, ჩებოტარუ, ზმეუ (46. ბუგაევი), სუვოროვი, ჩეპტინე (62. დოროში), ბორეტი, ალექსეევი (73. ტიგირლაში).



იტალიამ პაცინის გოლით მინიმალურად მოიგო და უკრაინა-პოლონეთის საგზური მოიპოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევრო 2012 საკვალიფიკაციო მატჩები



ესპანეთმა ლიხტენშტაინი გაანადგურა

**უნგრეთი:** კირალი, ჯუჰასი, ვანშაკი, პინტერი (64. შანდორი), კორჩმარი (69. ლაშკო), ჰაინალი, კომანი, ვარგა, ელეკი, რუდოლფი, საბიჩი (81. ვადოში).

**გოლები:** 0:1 ვანშაკი (7), 0:2 რუდოლფი (83)

**სან მარინო–შვედეთი 0:5**

**სან მარინო:** ვალენტინი, ფ. ვიტაიოლი, სიმონჩინი, ბაჩოკი, ჩერველინი, ბოლინი (83. გასპერონი), ვანუკი, კოპინი (71. ანდრეინი), მარანი (56. ბენედეტინი), სელვა, მ. ვიტაიოლი.

**შვედეთი:** ისაკსონი, ოლსონი, გრანკვისტი, მაისტროვიჩი, ლუსტიგი, კალსტრიომი, ვილჰელმსონი, ელმი (65. სვენსონი), იბრაჰიმოვიჩი, ელმანდერი (67. ჰისენი), ტოივონენი (57. ლარსონი).

**გოლები:** 0:1 კალსტრიომი (64), 0:2 ვილჰელმსონი (70), 0:3 ოლსონი (81), 0:4 ჰისენი (89), 0:5 ვილჰელმსონი (93)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 8 | 8 | 0 | 0 | 34-5 | 24 |
| 2. შვედეთი | 8 | 6 | 0 | 2 | 26-8 | 18 |
| 3. უნგრეთი | 9 | 6 | 0 | 3 | 22-14 | 18 |
| 4. ფინეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 15-14 | 9 |
| 5. მოლდოვა | 8 | 2 | 0 | 6 | 8-15 | 6 |
| 6. სან მარინო | 9 | 0 | 0 | 9 | 0-49 | 0 |

**მომდევნო ტური**

**7 ოქტომბერი**

ჰოლანდია-მოლდოვა
ფინეთი-შვედეთი

**G ჯგუფი**

**შვეიცარია–ბულგარეთი 3:1**

**შვეიცარია:** ბენალიო, ჯურუ, სენდეროსი, ლიხტშტაინერი, ციგლერი, ჯემალი, ინლერი, შაქირი (90. ბენ ხალიფა), შაკა (88. ფერნანდესი), დერდიოკი, მეჰმედი (83. ემეგარა).

**ბულგარეთი:** მიჰაილოვი, მილანოვი, ილიევი, ივანოვი, ზანევი, ს. პეტროვი, მ. პეტროვი (60. გაძევი), გეორგიევი, სარმოვი, პოპოვი, გენკოვი (70. ბოდუროვი).

**გოლები:** 0:1 ივანოვი (9), 1:1 შაქირი (45+2), 2:1 შაქირი (62), 3:1 შაქირი (90)

**ინგლისი–უელსი 1:0**

**ინგლისი:** ჰარტი, კეჰილი, სმოლინგი, ტერი, ე. კოული, დაუნინგი (79. ჯონსონი), ლემპარდი (73. პარკერი), იანგი, ბერი, მილნერი, რუნი (89. კეროლი).

**უელსი:** ჰენესეი, ბეილი, განტერი, ტეილორი, ვილიამსი, ბლეიკი, კოლისონი (85. კინგი), ლედლი, კროფტსი, რამსი, მორისონი (68. ერნშოუ).

**გოლი:** 1:0 იანგი (35)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 7 | 5 | 2 | 0 | 15-3 | 17 |
| 2. მონტენეგრო | 6 | 3 | 2 | 1 | 5-3 | 11 |
| 3. შვეიცარია | 6 | 2 | 2 | 2 | 10-8 | 8 |
| 4. ბულგარეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 3-12 | 5 |
| 5. უელსი | 6 | 1 | 0 | 5 | 3-10 | 3 |

**მომდევნო ტური**

**7 ოქტომბერი**

უელსი-შვეიცარია
მონტენეგრო-ინგლისი

**H ჯგუფი**

**დანია–ნორვეგია 2:0**

**დანია:** სიორენსენი, აგერი, კვისტი, კიაერი, იაკობსენი, ბოილესენი, კრონ-დელი (70. შიონე), ციმლინგი, ერიკსენი, რომედალი (65. ზილბერბაუერი), ბენდტნერი (90. პედერსენი).

**ნორვეგია:** იარშტაინი, რიისე (61. ბრაატენი), ჰანგელანდი, რუუდი, ველერი (46. დემიდოვი), ნორდტვეიტი, ჰოგლი, ტეტეი, გრინდჰეიმი, ჰუსეკლეპი (69. კარეუ), აბდელაუ.

**გოლები:** 1:0 ბენდტნერი (24), 2:0 ბენდტნერი (44)

**ისლანდია–კვიპროსი 1:0**

**ისლანდია:** ჰალდორსონი, სიგურდსონი, ვალგარდსონი, იონასონი, სევარსონი, ბიარნასონი, იონსონი, დანიელსონი, გუდიონსენი, სიგტორსონი (84. ფინბოგასონი), გუდმუნდსონი (88. ვილჰიალმსონი).

**კვიპროსი:** გეორგალიდესი, პურსაიტიდისი, ხრისტუ, მერკისი, ხარალამბიდესი (83. პავლოუ), სატსიასი, დემეტრიუ, ავრაამი, ოკასი (46. მაკრიდისი), ალექსანდრუ (61. ეფრემი), ხრისტოფი.

**გოლი:** 1:0 სიგტორსონი (5)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალია | 6 | 4 | 1 | 1 | 15-7 | 13 |
| 2. დანია | 6 | 4 | 1 | 1 | 9-4 | 13 |
| 3. ნორვეგია | 7 | 4 | 1 | 2 | 7-6 | 13 |
| 4. ისლანდია | 7 | 1 | 1 | 5 | 3-9 | 4 |
| 5. კვიპროსი | 6 | 0 | 2 | 4 | 5-13 | 2 |

**მომდევნო ტური**

**7 ოქტომბერი**

პორტუგალია-ისლანდია
კვიპროსი-დანია

**I ჯგუფი**

**შოტლანდია–ლიტვა 1:0**

**შოტლანდია:** მაკგრეგორი, კოლდუელი, ბერა, უაითეკერი, ბარდსლი (70. კრაინი), მორისონი (79. დორენსი), ფლეტჩერი, კოუვი, ბენანი (84. სნოდგრასი), ნეისმიტი, გუდვილი.

**ლიტვა:** კარჩემარსკისი, ზალიუკასი, კლიმავიჩუსი, კიიანსკასი (61. დანილევიჩუსი), ჩესნაუსკასი, მიკოლიუნასი (77. ბენიუსისი), შემბერასი, პილიბაიტისი, რადავიჩუსი, ლაბუკასი (46. ნოვიკოვასი), შერნასი.

**გოლი:** 1:0 ნეისმიტი (50)

**ესპანეთი–ლიხტენშტაინი 6:0**

**ესპანეთი:** კასილიასი, სერხიო რამოსი (55. ტიაგო ალკანტარა), ალბიოლი, არბელოა, ინიესტა, ჩაბი ალონსო, ჩავი (46. ფაბრეგასი), ბუსკეტსი, ვილია, ნეგრედო (62. ლორენტე), მატა.

**ლიხტენშტაინი:** იელე, რიტცბერგერი, მარტინ შტოკლასა, მიხაელ შტოკლასა, რეხშტაინერი, ბურგმაიერი, ბიუხელი (80. კიბერი), ვაისერი, ფრიკი, ბეკი (88. ჰანსელმანი), ჰასლერი.

**გოლები:**L 1:0 ნეგრედო (33), 2:0 ჩავი (44), 3:0 ჩავი (44), 4:0 სერხიო რამოსი (52), 5:0 ვილია (60), 6:0 ვილია (79)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 21-5 | 18 |
| 2. ჩეხეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-5 | 10 |
| 3. შოტლანდია | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| 4. ლიტვა | 7 | 1 | 2 | 4 | 3-9 | 5 |
| 5. ლიხტენშტაინი | 7 | 1 | 1 | 5 | 3-16 | 4 |

**მომდევნო ტური**

**7 ოქტომბერი**

ჩეხეთი-ესპანეთი
ლიხტენშტაინი-შოტლანდია

**ბომბარდირები:**

10 - **კლაას-იან ჰუნტელაარი** (ჰოლანდია).
9 - **მიროსლავ კლოზე** (გერმანია).
7 - **მიკაელ ფორსელი** (ფინეთი).
6 - **რობინ ვან პერსი** (ჰოლანდია), **დავიდ ვილია** (ესპანეთი), **გერგელი რუდოლფი** (უნგრეთი).
5 - **ტიმ მატავჟი** (სლოვენია), **დირკ კუიტი** (ჰოლანდია), **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (ჰოლანდია), **რობი კინი** (ირლანდია)
4 – **შერდან შაქირი** (შვეიცარია), **გევორგ ლაზარიანი** (სომხეთი), **ჰენრიკ მხითარიანი** (სომხეთი), **ადამ სალაი** (უნგრეთი), **მარიო გომესი** (გერმანია), **იოსი ბენაიუნი** (ისრაელი), **მარვინ ოგუნჯიმი** (ბელგია), **ნიკო კრანჩარი** (ხორვატია), **კასპერ ჰამალაინენი** (ფინეთი), **კრიშტიანო რონალდო** (პორტუგალია), **მარკო არნაუტოვიჩი** (ავსტრია), **არდა თურანი** (თურქეთი), **ანტონიო კასანო** (იტალია), **მესუთ იოზილი** (გერმანია).

**გოტფრიდ ლენცი**



ფინეთი-ჰოლანდია 0:2. დე იონგის გოლი

## ლა ლიგა. კლუბების წარდგენა. რეალი (მადრიდი)



# ბრძოლა ტახტის დასაბრუნებლად

## ჟოზე უკვე მზადაა, მეტისმეტად ადრე ხომ არაა?

**ჟოზე მოურინიო** ძალზე სერიოზულად მიუდგა სეზონისწინა შეკრებას, „რეალი" უკვე შესანიშნავ ფორმაშია და პორტუგალიელი მეორედ შეეცდება „ბარსელონას" ჰეგემონიის დამხობას. თავად სახელი - მადრიდის „რეალი" უკვე ასოცირდება მოგებებთან. ამიტომაც, „სამეფო კლუბის" გულშემატკივრებს სურთ, რომ გუნდმა ტიტული ტიტულზე მოიგოს. მაგრამ ეს არ ხდება. „რეალის" პრეზიდენტი **ფლორენტინო პერესი** ბოლომდე ენდობა მოურინიოს, რომელსაც გრანდის არსებობის ისტორიაში ყველაზე მეტი თავისუფლება მიეცა - არასდროს, „რეალის" არც ერთ მწვრთნელს არ ჰქონია ამხელა გავლენა კლუბში და უფლებები, რაც მოურინიოს. თუმცა არასდროს არავისგან იმდენი არ მოუთხოვიათ, რასაც „განსაკუთრებულს" სთხოვენ.

უნდა ითქვას, რომ პორტუგალიელიც ყველაფერს აპირებს საიმისოდ, რომ „ბარსელონას" აჯობოს და იმაზე მნიშვნელოვანი ტიტულები წაართვას, ვიდრე ესპანეთის თასია. სხვათა შორის, სტატისტიკის მიხედვით, ჟოზე მოურინიო წარმატებას კლუბში მეორე სეზონში აღწევს ხოლმე.

„რეალმა" ხუთი მნიშვნელოვანი შენაძენი გააკეთა, აქედან „ჰითი" ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელის, **ნური შაჰინის** ყიდვაა. ნური ჯერჯერობით ტრავმირებულია და „რეალში" დებიუტი არ ჰქონია, მოურინიო არც ახლა დარჩენილა თანამემამულის დამატების გარეშე და **ფაბიო კოენტრაო** იყიდა, რომელიც **ანხელ დი მარიას** კონკურენციას გაუწევს. **ხოსე კალეხონი** და **რაფაელ ვარანი** უფრო მომავლის გათვლით არიან შეძენილები. აი, **ჰამით ალთინთოპის** ტრანსფერის მიზანშეწონილობაზე ბევრი კამათი შეიძლება, თუმცა თურქის სანაცვლოდ „რეალს" ევროც კი არ გადაუხდია.

გუნდი მზადაა ითამაშოს სწრაფად, ეგრევე გადავიდეს კონტრშეტევებზე, რაც განსაკუთრებით წაადგება „რეალს" „ბარსელონას" წინააღმდეგ, „ბარსა" ხომ უფრო პოზიციური თამაშის ოსტატია. გუნდში დიდებული განწყობაა, პროგრესი აშკარაა და ის, თუნდაც, „ბარსასთან" სუპერთასის ნაგებულ დაპირისპირებაში გამოჩნდა. გულშემატკივრები იმედით უყურებენ ახალ სეზონს, რომელიც „რეალმა" 6:0 მოგებით დაიწყო. ერთია, ადრე ხომ არ შევიდა ფორმაში „სამეფო კლუბი", ხომ არ გადაიწვება სანამ სეზონი დასრულდება?

**ციტატები**

**კრიშტიანო რონალდო:** *„კოენტრაო უნივერსალია და ამით ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია".*

**მარტინ ვასკესი** („რეალის" ყოფილი ფეხბურთელი): *„რეალში" ცვლილებები ჯერ კიდევ გასულ სეზონში დაიწყო, ეს კი უკვე ამ ცვლილებების დაგვირგვინებაა".*

**ჟოზე მოურინიო:** *„ესპანეთის სუპერთასის მატჩებში ყველას ვანახეთ, რომ უკეთ ვთამაშობთ, ვიდრე გასულ წელს".*

### სეზონის მიზანი ჩემპიონობა

ჯერ ერთხელაც არ ყოფილა, რომ „რეალისთვის" სეზონის წინ ჩემპიონობის გარდა სხვა რამე დაეგეგმოთ. სხვა საქმეა, შეძლებს კი „სამეფო კლუბი" „ბარსელონას" ტახტიდან გადმოგდებას? კი, „რეალი" აშკარად უკეთ თამაშობს, მაგრამ „ბარსელონაც", რომ გაძლიერდა, ფაქტია. პროგნოზს კი ასეთს გავაკეთებთ - ვინ მოიგებს ამ დუელში, არ ვიცით, მაგრამ ერთი ცხადია - გულშემატკივრებს დიდი სანახაობა ელით.

**ტრანსფერები**

მიიღნენ: **ჰამით ალთინთოპი** („ბაიერნი", თავ. აგენტი), **ხოსე მარია კალეხონი** („ესპანიოლი", 5 მლნ. ევრო), **ფაბიო კოენტრაო** („ბენფიკა", 30 მლნ), **ნური შაჰინი** („დორტმუნდი", 10 მლნ), **რაფაელ ვარანი** („ლანსი", 10 მლნ).

წავიდნენ: **გარაი, დუდეკი, პედრო ლეონი, დრენტე, გაგო, კანალესი, მატეოსი.**

**დოსიე**

**რეალ მადრიდ კლუბ დე ფუტბოლ**



**დაარსდა:** 1902 წ.

**სტადიონი:** სანტიაგო ბერნაბეუ, 80 350

**პრეზიდენტი:** ფლორენტინო პერესი

**მწვრთნელი:** ჟოზე მოურინიო

**კლუბის წევრი:** 65 000

31-გზის ჩემპიონი (1932, 1933, 1954, 1955, 1957, 1958, 1961, 1962, 1963, 1964, 1965, 1967, 1968, 1969, 1972, 1975, 1976, 1978, 1979, 1980, 1986, 1987, 1988, 1989, 1990, 1995, 1997, 2001, 2003, 2007, 2008), თასის 18-გზის მფლობელი (1905, 1906, 1907, 1908, 1917, 1934, 1936, 1946, 1947, 1962, 1970, 1974, 1975, 1980, 1982, 1989, 1993, 2011), სუპერთასის 8-გზის მფლობელი (1988, 1989, 1990, 1993, 1997, 2001, 2003, 2008), ესპანეთის ლიგის თასი (1985), ჩემპიონთა თასი (1956, 1957, 1958, 1959, 1960, 1966, 1998, 2000, 2002), უეფას თასი (1985, 1986), უეფას სუპერთასი (2002), საკონტინენტთაშორისო თასი (1960, 1998, 2002)

**მეტსახელი:** ლოს ბლანკოსი, ლოს მერენგესი, ლოს ვიკინგოსი, გალაქტიკო

**გასულ სეზონში:** მე-2 ადგილი

**ოფიციალური საიტი:** hppt://www.realmadrid.com/

**ყველაზე მეტი თამაში 2010/11:** იოზილი (36), კასილიასი (35), დი მარია (35), კრიშტიანო რონალდო (34), ჩაბი ალონსო (34).

**ყველაზე მეტი გოლი 2010/11:** კრიშტიანო რონალდო (40), ბენზემა (15), იგუაინი (10), კაკა (7), იოზილი (6).

**გუნდი 2011/12**

**მეკარეები**

1. **იკერ კასილიასი** 20.05.1981
13. **ანტონიო ადანი** 13.05.1987
25. **ტომას მეხიასი** 30.01.1989

**მცველები**

| | |
|---|---|
| 2. **რიკარდო კარვალიო** (პორტ.) | 18.05.1978 |
| 3. **კაპლერ ლიმა პეპე** (პორტ.) | 26.02.1983 |
| 4. **სერხიო რამოსი** | 30.03.1986 |
| 12. **მარსელო ვიეირა** (ბრაზ.) | 12.05.1988 |
| 15. **ფაბიო კოენტრაო** (პორტ.) | 11.03.1988 |
| 17. **ალვარო არბელოა** | 17.01.1983 |
| 18. **რაულ ალბიოლი** | 04.09.1985 |
| 19. **რაფაელ ვარანი** (საფრან.) | 25.04.1993 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 5. **ნური შაჰინი** (თურქეთი) | 05.09.1988 |
| 6. **სამი ხედირა** (გერმანია) | 04.04.1987 |
| 8. **რიკარდო კაკა** (ბრაზილია) | 22.04.1982 |
| 10. **მესუთ იოზილი** (გერმანია) | 15.10.1988 |
| 11. **ესტებან გრანერო** | 02.07.1987 |
| 14. **ჩაბი ალონსო** | 25.11.1981 |
| 16. **ჰამით ალთინთოპი** (თურქ.) | 08.12.1982 |
| 22. **ანხელ დი მარია** (არგენტინა) | 14.02.1988 |
| 24. **ლასანა დიარა** (საფრანგეთი) | 10.03.1985 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 7. **კრიშტიანო რონალდო** (პორტ.) | 05.02.1985 |
| 9. **ქარიმ ბენზემა** (საფრანგეთი) | 19.12.1987 |
| 20. **გონსალო იგუაინი** (არგენ.) | 10.12.1987 |
| 21. **ხოსე მარია კალეხონი** | 11.02.1987 |
| 29. **ალვარო მორატა** | 23.10.1992 |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით ნარწერა მაისურზე*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რეპორტაჟების სპონსორია გერმანული ლუდი ვარშტაინერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორესპონდენტების როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

ევრობასკეტი 2011. ექსკლუზიური ინტერვიუ ანდრეი კირილენკოსთან

# კირილენკო საქართველოს ქომაგობს

კლაიპედის სასტუმრო „ამბერტონის“ კარიდან საქართველოს ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია წითელ ფორმაში გამოწყობილ კალათბურთელთან ერთად გამოვიდა, მალევე დაემშვიდობა და ავტობუსში ავიდა. წითელმაისურიანი კი წიგნებით ხელში სასტუმროს კიბეზე ჩამოჯდა.

ზაზას სიტყვები გამახსენდა: ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ ეძლევა შანსი, რომელიც უნდა გამოიყენოსო... ჰოდა, კიბესთან მივედი და „იუტა ჯაზის“ რუს ფორვარდ ანდრეი კირილენკოს გასაუბრება ვთხოვე. სალაპარაკო თემა უხვად იყო – იგი არაერთ ქართველ კალათბურთელს იცნობს, 1 სექტემბერს ჩვენს გუნდთან კინაღამ წააგო...

- არაერთ ქართველ მოთამაშესთან მაქვს კარგი ურთიერთობა. მე და ზაზა ფაჩულია ძალიან ახლოს ვართ. დიდი ხანია ერთ ლიგაში ვთამაშობთ, ჩვენი მეუღლეებიც კარგად იცნობენ ერთმანეთს. იგი „ჰოქსში“ კარგად მოეწყო და როცა ატლანტაში ჩავდივარ, ზაზა ყოველთვის რესტორანში მპატიჟებს, როცა ის იუტაში მოდის, მე ვუმასპინძლდები. ნიკა ცქიტიშვილი ამერიკაში რომ ჩამოვიდა, ბევრს მუშაობდა ჩემს ნაცნობ რუს მწვრთნელთან. მას მერე სკიტასთან კავშირი მაქვს. სამწუხაროდ, იგი ევროპაში დაბრუნდა და აქ აგრძელებს კარიერას. კარგად მახსოვს მანუჩარ მარკოიშვილის თამაში 2003 წელს, როცა იგი ტრევიზოს კემპზე იყო. იტალიაში NBA-დან მე, დირკ ნოვიცკი, ზაზა ფაჩულია და ტონი პარკერი ვიყავით. მაშინ მანუჩარი ძალიან ახალგაზრდა იყო, თუმცა მისი თამაში ძალიან მომწონდა. 1 სექტემბერს მანუჩარმა რუსეთის ნაკრებთანაც კარგად ითამაშა. სასიამოვნოა, როცა ხედავ, რომ ესა თუ ის ახალგაზრდა სწრაფ პროგრესს განიცდის და მთავარ როლს თამაშობს როგორც ნაკრებში, ასევე კლუბებში. სსრ კავშირის პერიოდიდან მოყოლებული ქართველები და რუსები ერთმანეთთან მეგობრობდნენ. მეც დიდ პატივს ვცემ ქართველებს.

**- მაინტერესებს თქვენი მოსაზრება ვიქტორ სანიკიძეზე, რომლის თამაში ანდრეი კირილენკოსას მაგონებს.**

- სანიკიძეს ნაკლებად ვიცნობ. იგი შედარებით ახალგაზრდაა და ჩვენი გზები პირველად აქ, ლიტვაში გადაიკვეთა. თუმცა რამდენიმე მატჩის მიხედვით შემიძლია ვთქვა, რომ შესანიშნავი კალათბურთელია, კარგი მონაცემები აქვს და ევროპაშიც მაღალ დონეზე ასპარეზობს. ცოტასაც მოუმატებს და თავისუფლად შეძლებს NBA-ში თამაშს.

**- საქართველოს ნაკრებთან მატჩს როგორ გაიხსენებთ?**




- ველოდი, რომ ქართველებთან რთული მატჩი გველოდა, რადგან საკალათბურთო მასშტაბები გაიზარდა. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ფიბა საზღვრებს აფართოებს და ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობას ზრდის. გადავხედოთ ევრობასკეტს, თამაშს იოლად ვერც ერთი გუნდი ვერ იგებს, ყველა იბრძვის. თუნდაც დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია, ფინეთი, რომლებიც მანამდე ელიტაში არ შედიოდნენ, კარგ თამაშს უჩვენებენ. ეს მისასალმებელია, რადგან მეტ კარგ კალათბურთელსა და საინტერესო თამაშს ვნახულობთ.

**- ჩემი აზრით, რუსეთის ნაკრებმა საქართველო გამოცდილების ხარჯზე დაამარცხა...**

- დაგეთანხმებით. გამოცდილებამ მართლაც დიდი როლი ითამაშა. რუსეთის ნაკრებმა ბოლო წუთებზე კონცენტრირება მოახერხა და ითამაშა ის კალათბურთი, რასაც შედეგი უნდა მოეტანა. ქართველებს კი მოგება იმდენად უნდოდათ, იმდენად ემოციურად თამაშობდნენ, რომ როცა დაგვეწივნენ, ცოტა დაიბნენ და შეცდომები დაუშვეს. ალბათ ეგონათ, რომ ყველაფერი უკვე გააკეთეს... ასეთ სიტუაციებში კი უფრო და უფრო მეტი კონცენტრაციაა საჭირო. მაქსიმალურად დიდი ყურადღება უნდა დაუთმო დაცვას, რადგან ეს თამაშის მოგების მთავარი გზაა. ქართველებს ბოლო წუთებზე ეს ყველაფერი არ გამოუვიდათ, რაც ჩემთვის სავსებით მისაღებია. ურთიერთშეხვედრის შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე ქართველებს ვუქომაგებ. ნიჭიერი კალათბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი გყავთ და წარმატებას გისურვებთ.

**- ევროპის ჩემპიონატის წილისყრისას თქვით, რომ რუსეთის ნაკრების მთავარი მიზანი ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებაა. როგორ ფიქრობთ, სადღეისოდ, არის რუსეთი ევრობასკეტის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი?**

- ამ პირველობას ერთი გამოკვეთილი ფავორიტი არ ჰყავს. არც რუსეთის ნაკრები შეიძლება ჩაითვალოს ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად. ევროპაში 8-9 თანაბრად ძლიერი ნაკრებია, მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ ერთურთის დამარცხება. ამიტომ, ყველაფერი დამოკიდებული იქნება ერთ თამაშზე, ერთ ტყორცნაზე. ვფიქრობ, ეს საუკეთესო რვა გუნდი მეოთხედფინალში ითამაშებს, თუმცა არც სენსაციას გამოვრიცხავ. ოღონდ, მოულოდნელობა მხოლოდ ერთი შეიძლება მოხდეს. წინასწარ პროგნოზების გაკეთება რთულია, ყველაფერს თამაშები გვიჩვენებს. ჩემპიონიც ღირსეული გუნდი გახდება და ოლიმპიადის ლიცენზიასაც ის მიიღებს, ვინც ყველაზე მეტად დაიმსახურებს.

# ვილნიუსში, ისტორიის გადასაწერად

კლაიპედა დაცარიელდა. ერთი დღის წინ მჩქეფარე ქალაქი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა, აღარც „შვიტურის არენასთან“ ისმის ქართული საყვირების ხმა, არც მთავარ მოედანზე - ჩვენებური ჰანგები. პირველებმა გუდა-ნაბადი ბელგიელებმა აიკრეს, შემდეგ ბულგარელებმა, უკრაინელები კი ყველაზე გვიან დატოვებენ ქალაქს. ისინი შინ ბრუნდებიან. რუსები, სლოვენიელები და ქართველები კი წინ წავიდნენ - დედაქალაქ ვილნიუსისკენ, სადაც მეორე ჯგუფური ეტაპი გაიმართება. ქართველებს მაკედონიასთან, ფინეთთან და საბერძნეთთან მოუწევთ ბრძოლა და ორი მოგების შემთხვევაში მეოთხედფინალში გასვლა შეიძლება...

როგორც ხედავთ, მადა ჭამაში მოვიდა - საქართველოს ნაკრებისგან უკვე მეოთხედფინალს ვითხოვთ. მაკედონიასა და ფინეთთან ხომ წინა წლებში არაერთი ბრძოლა გადავიტანეთ და კარგად ვიცით, მათი ძლევა შეიძლება, მაგრამ ამისთვის ჯერ დასვენებაა საჭირო. ყველამ დაინახა, რომ საქართველოს ნაკრები ბულგარეთთან ბოლო მატჩს გადაღლილი შეხვდა, როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად. ეს კარგად მოეხსენებათ ნაკრების მწვრთნელებს და მათ გუშინ ოთხსაათიანი მგზავრობის შემდეგ (კლაიპედადან ვილნიუსისკენ) კალათბურთელებს დასვენების საშუალება მისცეს - არ უვარჯიშებიათ. ისინი „სიმენს არენადან“ 20 კილომეტრის მოშორებით, სასტუმრო „მერიდიანში“ დაბინავდნენ. იქვეა ჩვენი ჯგუფის ყველა წარმომადგენელიც.

ვილნიუსში ქართველები პირველ ვარჯიშს დღეს 10 საათზე ჩაატარებენ. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ჯგუფის მატჩები 8 აგვისტოს დაიწყება. მანამდე კი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ბესიკ ლიპარტელიანს** მოვუსმინოთ:

- ადრეც ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ - ურთულესი მატჩები გვქონდა. ძლიერი მეტოქეები გვყავდა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია: ექვს დღეში ჩატარებული ხუთი თამაშის შემდეგ გუნდი დაიღალა. სწორედ ეს იყო ბულგარეთთან წაგების მთავარი მიზეზი. ამასთან კალათბურთელებზე მეტად უარყოფითად იმოქმედა ზაზას გამოკლებამ, რომელმაც ტრავმა მიიღო. ასეა თუ ისე, ჩვენმა ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და ყველაფერი გააკეთეს ჯგუფიდან გასასვლელად. ამიერიდან კიდევ უფრო მძიმე ბრძოლები გველის. ფინეთსა და მაკედონიას ვიცნობთ და ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ უძლეველი გუნდებია. ბიჭები ყველაფერს გააკეთებენ გამარჯვებისთვის.

გახარებულია ლეგენდარული **ნიკოლოზ დერიუგინი,** რომელიც 1983 წლის შემდეგ ბოლო ქართველი იყო, ევროპის ჩემპიონატზე რომ ითამაშა. თუმცა დღევანდელი ფორმაციის საქართველოს ნაკრებმა ისტორია ხელახლა გადაწერა:

- ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატზე პირველად მოხვდა. იბრძოლა და მომდევნო ეტაპზე გავიდა. მაშინ, როცა ეს ვერ მოახერხეს ხორვატიამ, იტალიამ და სხვა ძლიერმა გუნდებმა. მოკლედ, წლევანდელ ევრობასკეტზე გამოსვლა ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართული სპორტის ისტორიაში, - ამბობს ნიკოლოზ დერიუგინი.

**ვაჟა სიმონიშვილი**
კლაიპედიდან






lariwin.com the better way to play
მეტი ვიდრე თამაში
რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო "ლარივინი"

● რაგბი. მსოფლიოს თასი

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი ბესიკ ჯანგავაძე ქვინზთაუნიდან

# სხვა ზელანდია სად არის?

## თუ ისევე თამაშობთ, როგორც მღერით, მსოფლიოს ჩემპიონები გახდებითო



კივი ჰაკა მაორების შესრულებით



საქართველოს ნაკრები ველკომ ფართიზე

მსოფლიოს თასის წლევანდელი გათამაშების მასპინძელი ახალი ზელანდია მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული, ეგზოტიკური და იმავდროულად ძალიან თანამედროვე, სტუმართმოყვარე და კეთილშობილი ხალხით დასახლებული ქვეყანა აღმოჩნდა. ამას საქართველოს ნაკრების მორაგბეები, რომლებიც ორი დღეა ამ ულამაზეს ქვეყანაში იმყოფებიან, ყოველი ფეხის ნაბიჯზე გრძნობენ.

"ბორჯღალოსნებმა" პირველი ბანაკი ახალი ზელანდიის სამხრეთში, საკურორტო ქალაქ ქვინზთაუნში დასცეს. თუმცა მანამდე საკმაოდ მომქანცველი, გრძელი გზა გაიარეს. ახალზელანდიელების გამორჩეულობას, განსაკუთრებულ დამოკიდებულებას თავისი ქვეყნისადმი, მიწა-წყლისადმი, უცხოელი სტუმარი საზღვრის გადაკვეთისთანავე იგრძნობს.

საოცარია, მაგრამ ოფიციალურადაა აკრძალული ქვეყანაში კვების პროდუქტების, ცხოველების საკვებისა და... ჭუჭყიანი, ტალახიანი ფეხსაცმლის შეტანა. თუ ზემოთ ჩამოთვლილიდან ქვეყანაში რაიმეს შეტანას აპირებთ, ის აუცილებლად დეკლარაციაში უნდა შეიტანოთ, თუ არადა, ან დიდი ჯარიმის გადახდა მოგიწევთ, ან სულაც ციხეში ჯდომა.

რატომ იკრძალება ახალ ზელანდიაში ჭუჭყიანი ფეხსაცმელი? ცნობილია, რომ ეს ქვეყანა ერთადერთია დედამიწაზე, სადაც რეპტილიების რამდენიმე სახეობის გარდა, ქვეწარმავლები არ ბინადრობენ. ერთი სიტყვით, სუფთა მიწაა და ადგილობრივი მოსახლეობა ყველანაირად ცდილობს ეს სისუფთავე შეინარჩუნოს, რომ ვინმემ რაიმე ახალი მიწის სახეობა არ შეიტანოს, რომელიც ათასგვარი ბინძური ცხოველისა თუ მწერის სახეობის გაჩენას გამოიწვევს.

საინტერესოა, რომ, რაც უნდა საოცარი იყოს, ახალზელანდიელები ბევრი რამით ჰგვანან ქართველებს. სტუმართმოყვარეობის შესახებ უკვე გითხარით. მათ, განსაკუთრებით კი აბორიგენ მოსახლეობას, მაორებს, ძალიან უხარიათ თუ მათ ენაზე რამეს ეტყვით. ისინი ყველას უსვამენ ერთ კითხვას - როგორ მოგწონთ ჩვენი ქვეყანა? როცა პასუხობ, რომ გარშემო ყველაფერი ფანტასტიკურია, თვალებში ნაპერწკალი უკრთით, სახე უბრწყინავთ და კმაყოფილნი ათას მადლობას გიხდიან.

ჰო, და რაც მთავარია, ყველა ახალზელანდიელს ღრმად სწამს, რომ მათზე ჭკვიანი და ძლიერი ამ ქვეყანაზე არავინ არის. მათ სამშობლოზე უკეთესი ქვეყანა არ არსებობს. ერთი სიტყვით, სხვა ზელანდია სად არის... ცხადია, ყოველივე ეს, ახალზელანდიელებს, ისევე როგორც ჩვენ, ქართველებს, საკუთარი ქვეყნის მიმართ ასე უსაზღვრო სიყვარულის გამო ჰგონიათ.

საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა და პატივს სცემენ ტრადიციებს, წინაპრების ხსოვნას. ეს კი ეროვნული თვითშეგნების გარდა, მათ ცხოვრების თავისებურ, ყველასაგან გამორჩეულ წესს უნარჩუნებს. შრომისმოყვარეობა, თითოეული ახალზელანდიელის ერთ-ერთი ყველაზე დადებითი თვისებაა. ქვეყანა ძირითადად, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის ხარჯზე ცხოვრობს.

თუმცა, როგორც გაირკვა, ბოლო ხანს ახალზელანდიელებს თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების შექმნასა და დახვეწაში დიდი წვლილი მიუძღვით. ამ სფეროში, განსაკუთრებით კინოინდუსტრიასთან თანამშრომლობაში, მათ მსოფლიოში წამყვანი პოზიციები უჭირავთ. მაგალითისთვის, ისიც კმარა, რომ ბოლო დროს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ბიუჯეტით მრავალმილიონიანი ფილმის "ავატარის" სპეცეფექტები, სწორედ ახალ ზელანდიაშია დამზადებული. ასე რომ, ჩვენთვის (და არა მარტო ჩვენთვის) ეს შორეული ქვეყანა ყველანაირად ცდილობს მსოფლიოს განვითარების რიტმს არ ჩამორჩეს, რასაც მხოლოდ მუხლჩაუხრელი, ბეჯითი შრომის წყალობით აღწევს კიდეც.

ქართველები, ძალიან ცოტა, მაგრამ მაინც ცხოვრობენ ახალ ზელანდიაში. ყველაზე ცნობილი მათ შორის დედა-შვილი **მზია და მარინა კანდელაკები** არიან, რომლებიც ოქლენდში სახლობენ და ყველსა და სულგუნს აწარმოებენ.

ქვინზთაუნში მასპინძლებმა კიდევ ერთი ქართველი, სანდომიანი ქალბატონი **მზია ხმალაძე** გაგვაცნეს, რომელიც მსოფლიოს თასზე ჩვენი გუნდისთვის თარჯიმნად დაუქირავებიათ. ის მეუღლესთან ერთად ველინგტონში ცხოვრობს და ამ ქალაქის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს.

პირველი დღიდან მოყოლებული ქალბატონი მზია გუნდს გვერდიდან არ სცილდება და ადგილობრივებთან ურთიერთობაში ეხმარება. თუმცა დასახმარებელიც ბევრი არაფერია. აქ მზად არიან ყველას, განსაკუთრებით კი მორაგბეებს, რომლებსაც გასაგები მიზეზების გამო უდიდეს პატივს სცემენ, ნებისმიერი პრობლემა უსწრაფესად მოუგვარონ.

ჩვენი გუნდის ვიზიტი ქვინზთაუნში, როგორც უკვე ვწერდით, ადგილობრივების საკმაოდ ამაღელვებელი დახვედრით დაიწყო. ბიჭები დადებითი ენერგიით დაიმუხტნენ, მიხვდნენ, რომ აქ, ამ შორეულ ქვეყანაში, მათ გულშემატკივრები ჰყავთ. თუმცა, სასტუმროში მისულებს ერთი უსიამოვნო სიურპრიზი მაინც ელოდათ. სამწუხარო გაუგებრობის გამო ავსტრალიური კომპანია „კუგას" მიერ შეკერილი სპორტული ფორმა (სათამაშო, სავარჯიშო) ადგილზე არ დაგვხდა. არადა, კომპანიის წარმომადგენლები ირწმუნებოდნენ, რომ ყველაფერი მოგვარებულია და ეკიპირებას სასტუმროში მიიღებთო. მოგვიანებით, საქართველოს ნაკრების მენეჯერთა მცდელობით პრობლემა მოგვარდა და ტვირთი ქვინზთაუნში მოიძიეს.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო "ბორჯღალოსანთა" ახალ ზელანდიაში ყოფნის მეორე დღე. ჩვენს გუნდს ოფიციალური მიღება - "ველქამ ფართი" გაუმართეს. „ბორჯღალოსნებს" ადგილობრივმა ხელისუფლებამ და IRB-ის დიდმოხელემ, **სიდ მილარმა** უმასპინძლა.

მიღება საკმაოდ საინტერესო ცერემონიალით - მაორების საბრძოლო ცეკვით, "კივი ჰაკათი" გაიხსნა. ამ ტრადიციას, აბორიგენი მოსახლეობის კულტურას, შეხვედრაზე საკმაოდ დიდი დრო დაეთმო. მასპინძლებმა ტრადიციის თანახმად თავიანთი ხალხის მოკლე ისტორია სიმღერით გაგვაცნეს. არსებული წესის მიხედვით, ჩვენს გუნდს სიმღერითვე უნდა ეპასუხა.

"ბორჯღალოსნებმა" ქართული დელეგაციის ერთ-ერთ წევრთან, "ქართული ხმების" მომღერალ **გივი ჭიჭინაძესთან** ერთად, "ჩიტი გვრიტი მოფრინავდა" იმღერეს. რამაც, ცხადია, დამხვდურებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

სიდ მილარმა, რომელიც მსოფლიოს თასის გათამაშების დირექტორია, ისიც კი თქვა, "თუ ისევე თამაშობთ, როგორც მღერით, მსოფლიოს ჩემპიონები გახდებითო."

საქართველოს ნაკრებს სიტყვით მიმართა მაორების ადგილობრივი ტომის ბელადმა:

*"ვიცით, რომ ქვეყანას, საიდანაც თქვენ ჩამოხვედით, ევროპაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს. იმედი გვაქვს, რომ მოგწონთ ჩვენი ქვეყანა. ჩვენი წინაპრები აქ ექვსასი წლის წინ მოვიდნენ და დასახლდნენ. ცუდი გემოვნება არ ჰქონიათ. დამეთანხმებით, ფანტასტიკური ადგილია.*

*ჩვენ ბევრი საერთო გვქონია. თანაბარი გვყოლია ქვეყნის მოსახლეობა. ქართველები, ისევე როგორც ჩვენ, ლუდით თურმე მხოლოდ მტრების სადღეგრძელოს ამბობენ. ერთი სიტყვით, რაც უფრო მეტს ვკითხულობ ვიკიპედიაში საქართველოს შესახებ, მით უფრო მომწონს ეს ქვეყანა. დარწმუნებული ვარ, ჩვენი წინაპრები ახლა, აქ ჩვენთან ერთად არიან, გვიცქერენ და ჩვენთან ერთად ხარობენ.*

*იმედი მაქვს მსოფლიოს თასის გათამაშებაში, ერთი გუნდის გარდა, ყველას მოუგებთ. განსაკუთრებით კარგად უნდა დაუხვდეთ ავსტრალიელებს. ინგლისი კი, პატივი დაგვდეთ და აუცილებლად დაამარცხეთ".*

უხუცესმა მაორმა საქართველოს ნაკრების კაპიტანს, ირაკლი აბუსერიძეს, სუვენირად ადგილობრივი მადნეულისგან დამზადებული სკულპტურა გადასცა, რომელიც იქვე აკურთხეს. როგორც ბელადმა თქვა, საჩუქარი იმ მასალისგანაა დამზადებული, რომელსაც მხოლოდ ახალ ზელანდიაში მოიპოვებენ.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ** ახალზელანდიელებს მადლობა გადაუხადა გულთბილი მასპინძლობისთვის:

*"ერთს ნამდვილად გპირდებით. ჩვენი გუნდი ყველაფერს ილონებს, რათა ისე ითამაშოს, რომ ქართველმა ერმა მისით იამაყოს. ასევე ამაყნი იქნებით თქვენც, რადგან დღეიდან, მიგვაჩნია, რომ ჩვენც თქვენი ნაწილი ვართ".*

**ირაკლი აბუსერიძე:**

"ძალიან კარგი, სასიამოვნო შეხვედრა იყო. ნელ-ნელა ვეცნობით ადგილობრივების კულტურას, რაც ჩვენსას ბევრ რამეში ჰგავს, თუნდაც სტუმართმოყვარეობა ავიღოთ. შესანიშნავი ბუნება აქვთ.

რაც შეეხება ჩვენს ნაკრებს, ყველაფერს ვილონებთ, რომ მსოფლიოს თასზე წარმატებულად ვიასპარეზოთ და ეროვნული ნაკრების კვართი ღირსეულად ვატაროთ."

**დავით კაჭარავა:**

"ახალზელანდიური კულტურის შესახებ კი გვსმენია, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ყველანი გაკვირვებული დავრჩით.

ხვალიდან ვარჯიშს დავიწყებთ, მალე პირველი თამაშიც გვექნება და ყველაფერს ვილონებთ, რომ გულშემატკივრები გავახაროთ".

სადილის შემდეგ საქართველოს ნაკრებს ფოტოსესია ჰქონდა. საღამოს კი გუნდმა ძალოსნობის დარბაზში ივარჯიშა. მოედანზე პირველ ვარჯიშს "ბორჯღალოსნები" დღეს გამართავენ.

**მსოფლიოს თასი**

14 სექტემბერი
**საქართველო-შოტლანდია**

18 სექტემბერი
**საქართველო-ინგლისი**

28 სექტემბერი
**საქართველო-რუმინეთი**

2 ოქტომბერი
**საქართველო-არგენტინა**

ავტორის ფოტოები



ეროვნული ბიბლიოთეკა



მეტოქეები

# არგენტინელი პუმები

2011 წლის მსოფლიო თასის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი მეტოქე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, 2007 წლის მსოფლიო თასის მთავარი სენსაციის შემოქმედი და ბრინჯაოს პრიზიორი არგენტინის ნაკრებია.

სანამ არგენტინული რაგბის ისტორიის შესახებ გიამბობთ, უპრიანი იქნება, გავიხსენოთ ბოლო მსოფლიო თასის პერიპეტიები, რაც საშუალებას მოგვცემს, თვალნათლივ წარმოვიდგინოთ, რა ძალის სარაგბო გუნდთან გვაქვს საქმე.

არგენტინელი „პუმები" საფრანგეთში გამართულ მსოფლიო რაგბის უდიდეს ფორუმზეც საქართველოს ნაკრებთან მოხვდნენ ჯგუფურ ეტაპზე. პირველ ტაიმში „ბორჯღალოსნებმა" მრისხანე მეტოქეს ტოლი არ დაუდეს და მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩნენ - 3:6. სამწუხაროდ, ტრავმა მიიღო და მეორე ტაიმში თამაში ველარ შეძლო შერკინების ბურჯმა **დავით ზირაქაშვილმა**. მისი არყოფნა ჩვენი მორკინალების თამაშს აშკარად დაეტყო და „პუმებმაც" გაილაღეს. შეხვედრა არგენტინელებმა - 33:3 მოიგეს.



არგენტინამ მერე მსოფლიო თასის მასპინძელი საფრანგეთიც დაამარცხა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. მეტიც, მეოთხედფინალში შოტლანდიას 19:13 სძლია და საუკეთესო ოთხეულში შეაღწია. ნახევარფინალში „პუმები" მომავალ ჩემპიონთან სამხრეთ აფრიკასთან დამარცხდნენ - 13:37. მესამე ადგილისთვის მატჩში კი კიდევ ერთხელ სძლიეს საფრანგეთის ეროვნულ გუნდს. მსოფლიო თასზე ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის მისსავე მოედანზე ორჯერ დამარცხება იოლი საქმე როდია. არგენტინამ ამით დაამტკიცა, რომ მესამე ადგილი ღირსეულად მოიპოვა და ეს სულაც არ იყო შემთხვევითობა.

ოვალური ბურთით თამაში არგენტინაში ბრიტანელმა ემიგრანტებმა შეიტანეს. რაგბის პირველი მატჩი ბუენოს-აირესში 1873 წელს გაიმართა. 1899 წელს არგენტინის დედაქალაქის ოთხმა კლუბმა არგენტინის რაგბის კავშირი დააფუძნა.

არგენტინელებმა პირველი საერთაშორისო შეხვედრა 1910 წლის 12 ივნისს გამართეს. მოწინააღმდეგე რამდენიმე შოტლანდიელით გაძლიერებული ოქსფორდის უნივერსიტეტის გუნდი იყო. არგენტინელებმა მოწინააღმდეგე „გაერთიანებულ ბრიტანელებად" მონათლეს და ბუენოს-აირესში დაუპირისპირდნენ. რაგბიში ახალფეხადგმული სამხრეთამერიკული ქვეყნის ნაკრები - 3:28 დამარცხდა.

მას შემდეგ არგენტინული რაგბი ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ მიიწევდა წინ და საგრძნობლად ვითარდებოდა. საკმაოდ საინტერესოა გუნდის მეტსახელის ისტორია. „პუმები" გუნდს ჟურნალისტის შეცდომის შედეგად დაერქვა. 1965 წელს არგენტინის ნაკრები მორიგ სამხრეთაფრიკულ ტურნეში იმყოფებოდა. რეპორტიორები ცდილობდნენ, გუნდისთვის რაიმე ეფექტური სახელი შეერჩიათ, ისე, როგორც ეს რაგბის სამყაროშია მიღებული. ერთ-ერთი ჟურნალისტის ყურადღება არგენტინელთა ლოგოზე გამოსახულმა ცხოველმა, იაგუარმა მიიპყრო, თუმცა მას საბედისწერო შეცდომა მოუვიდა- იაგუარი პუმაში აერია და რეპორტაჟებში არგენტინელებს პუმებად მოიხსენიებდა. შეცდომით შერჩეული მეტსახელი სხვებმაც აიტაცეს და ნელ-ნელა საბოლოოდ დამკვიდრდა. საინტერესოა, რომ ამის მიუხედავად, არგენტინის რაგბის კავშირი ჯიუტად არ ცვლის ლოგოზე გამოსახულ იაგუარს.

არგენტინაში დღესდღეობით რაგბი ნახევრად პროფესიული სპორტის სახეობაა. 450 კლუბში 210 000 ოფიციალურად რეგისტრირებული მორაგბეა. საუკეთესოთა შორის საუკეთესოები უკეთესი მერმისისა და პროფესიული კარიერის ასაწყობად ევროპულ, ძირითადად, ფრანგულ გუნდებში მიდიან სათამაშოდ.

არგენტინული რაგბის აღმასვლა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასასრულს დაიწყო. „პუმებმა" აქამდე გამართულ მსოფლიო თასის ყველა გათამაშებაში მიიღეს მონაწილეობა. პირველი გამარჯვება მსოფლიო თასზე მათ 1987 წელს მოიპოვეს, როცა ქრაისთჩერჩში იტალიის ნაკრები დაამარცხეს.

მომდევნო ორ მსოფლიო თასზე, 1991 და 1995 წლებში, არგენტინელებმა უაღრესად წარუმატებლად იასპარეზეს, თუმცა მათი შერკინების ხაზის სიძლიერემ სპეციალისტთა ყურადღება უმალვე მიიპყრო. დღესაც „პუმების" ყველაზე მრისხანე იარაღი ღონიერი და საკმაოდ მობილური მორკინალები არიან.

მას შემდეგ, რაც 1995 წლიდან რაგბი პროფესიული გახდა, არგენტინელებს შანსი გაუჩნდათ, სათამაშო დონე ევროპაში აემაღლებინათ, რაც კარგად გამოიყენეს კიდეც. ბოლო მსოფლიო თასზე მათ მიერ მიღწეულ წარმატებაზე უკვე ვთქვით. ამან IRB-ის დიდმოხელეები საგონებელში ჩააგდო.ვინაიდან ნაკრების მოთამაშეთა უმრავლესობა ევროპაში ასპარეზობდა, არგენტინელები ექვსი ერის გათამაშებაში თამაშის უფლებას ითხოვდნენ.

IRB-მა გადაწყვეტილება ორწლიანი ფიქრისა და სჯა-ბაასის შემდეგ მიიღო. 2012 წლიდან „პუმები" სამი ერის გათამაშებას მეოთხე ერად დაემატებიან და შინაური რაგბის უფრო მეტად განვითარების მიზნით IRB-ი ერთჯერადად ორი მილიონი გირვანქა სტერლინგით დაეხმარება.

არგენტინის ნაკრებში, რომელიც დღესდღეობით 78,40 ქულით მსოფლიო რეიტინგში მე-9 ადგილზეა, თაობათა ცვლის პროცესი მოხდა, თუმცა ძირითადი ბირთვი, რომელიც ბოლო წლებში გუნდის მამოძრავებელ, მთავარ ძალას წარმოადგენდა, ისევ მწყობრშია. ესენი არიან: მეორეხაზელი **ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე,** მგეზავი **ფელიპე კონტეპომი,** პირველხაზელები **მარიო ლედესმა** და **როდრიგო რონსერო.** შარშანდელი სეზონის აღმოჩენად შეიძლება მივიჩნიოთ შუამარბი **მარტინ როდრიგესი,** რომელმაც ბრწყინვალე თამაშით თავი ნოემბრის ტესტებისას გამოიჩინა. როდრიგესი უმალვე გადაიბირა ფრანგული რაგბის „მონსტრმა", პარიზულმა „სტად ფრანსემ".

არგენტინის ნაკრები საშინაო შეხვედრებს რამდენიმე სტადიონზე ატარებს, თუმცა ძირითად სანაკრებო არენად მიიჩნევა 1947 წელს აშენებული ბუენოს-აირესის „ველეს სარსფილდის" სტადიონი, რომელიც 50 ათას მაყურებელს იტევს.

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრები არგენტინელ „პუმებს" ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრაში 2 ოქტომბერს დაუპირისპირდება. თამაში პალმერსტონის თვრამეტათასიან „არენა მანავატუზე" გაიმართება.

### არგენტინა

**შერკინება:** პატრისიო ალბასეტე, ნიკოლას ვერგალო, მარკოს აიერსა, მაქსიმილიანო ბუსტოსი, ავგუსტინ კრევი, ხუან ფიგალო, ალეხანდრო კამპოსი, მარტინ სკელსო, მანუელ კარისა, ხულიო კაბელო, ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე, მარიანო გალარსა, ალვარო გალინდო, მარიო ლედესმა, ხუან მანუელ ლეგუსამონი, როდრიგო რონსერო, ლეონარდო სენატორე.

**უკანა ხაზი:** ორასიო აგულა, მარსელო ბოსხი, გონსალო კამაჩო, ფელიპე კონტეპომი, გონსალო ტიესი, მარტინ როდრიგესი, სანტიაგო ფერნანდესი, ლუკას გონსალეს ამოროსინო, ავგუსტი ხოსიო , ხუან იმჰოფი, ალფრედო ლალანე, ფედერიკო სანჩესი, ტომას ვალეხოსი.

# რუმინელი მუხის ფოთლები

რუმინული რაგბი 2013 წელს ას წლისთავს იზეიმებს. ბოლო დროს საქართველოს ნაკრების მუდმივი მეტოქე, რუმინეთის ნაკრები, ოდესღაც მსოფლიოს ელიტის სრულუფლებიანი წევრი იყო და ბობოლა სარაგბო ქვეყნების გუნდებს წარმატებით უმკლავდებოდა.

ოვალური ბურთით თამაში რუმინეთში პარიზიდან დაბრუნებულმა სტუდენტებმა შეიტანეს. პირველი კლუბი 1913 წელს დაარსდა და მალე, ბუქარესტში კლუბები სოკოებივით სწრაფად გამრავლდნენ. მომდევნო წელიწადს რუმინეთის დედაქალაქში ერთბაშად 17 გუნდი დაარსდა.

პირველი საერთაშორისო შეხვედრა რუმინელებმა 1919 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან გამართეს. მეტიც, 1924 წლის ოლიმპიადზე პარიზში, რაგბიში ერთმანეთს ოქროს მედლებისთვის სამი გუნდი ეჯიბრებოდა, მათგან ერთი რუმინეთის ეროვნული ნაკრები იყო. „სტეუარიმ" მაშინ საფრანგეთის ნაკრებთან 3:59 წააგო, ხოლო მერე ამერიკელებთანაც დამარცხდა მშრალი ანგარიშით 0:39, თუმცა ბრინჯაოს მედლის მფლობელი მაინც გახდა.

ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ, რუმინულმა რაგბიმ დიდი პროგრესი განიცადა. კომუნისტებისთვის სპორტი იდეოლოგიური ბრძოლის იარაღი იყო. როცა სოცქვეყნები სპორტის სხვადასხვა სახეობაში წარმატებებს აღწევდნენ და „ლპობად კაპიტალისტურ" ქვეყნებს უგებდნენ, ეს იმის დამამტკიცებელი საბუთი იყო, რომ კომუნისტური იდეოლოგია კაპიტალისტურს სჯობდა. ამიტომ სოცქვეყნებში და მათ შორის რუმინეთშიც სპორტს დიდი ყურადღება ეთმობოდა.

თუმცა, რუმინული რაგბის წინსვლა პირდაპირ კავშირში მაინც კაპიტალისტური სამყაროს წარმომადგენლებთანაა. გასული საუკუნის ორმოციან და ორმოცდაათიან წლებში რუმინელებმა ფრანგი სპეციალსტები მიიწვიეს და ოვალური ბურთის ბედი ამ ქვეყანაში მათ მიანდეს. არჩევანმა, ცხდია, გაუმართლათ. მალე „სტეუარიმ" თვით საფრანგეთის ნაკრებსაც სძლია, რომელიც ევროპის ხუთი წამყვანი სარაგბო ერის ერთ-ერთი ლიდერი იყო.



პარადოქსია, მაგრამ ამდენი წლის მერე, რუმინეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ფრანგი **რობერ ანტონენია** და, ცხადია, მწვრთნელთა შტაბის წევრთა უმრავლესობაც ამ ქვეყნიდანაა.

რუმინეთის ნაკრებმა ფრანგებს პირველად 1960 წელს მოუგო, 1976 წელს კი „მუხის ფოთლებმა" ტურნე მოაწყო ახალ ზელანდიაში. ნელ-ნელა გუნდი ძალებს იკრებდა. 1979 წელს კარდიფში, „მილენიუმზე" „სტეუარიმ" მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით დათმო მატჩი უელსის საკმაოდ ძლიერ გუნდთან 12:13.

მომდევნო წელიწადს კი რუმინელებმა საფრანგეთის ნაკრები ბუქარესტში მშრალი ანგარიშით 15:0 დაამარცხეს, ხოლო დუბლინში, ლეგენდარულ „ლენსდაუნ როუდზე" ირლანდიის ნაკრებთან მატჩში ფრეს მიაღწიეს - 13:13.

კიდევ უფრო დიდ წარმატებას მიაღწია რუმინეთის ეროვნულმა გუნდმა 1983 წელს. „სტეუარიმ" ბუქარესტში უელსის ნაკრები საკმაოდ დამაჯერებლად 24:6 დაამარცხა, მომდევნო წელს კი პირველად სძლია შოტლანდიის ნაკრებსაც - 28:22.

„მუხის ფოთლებმა" აქამდე გამართულ მსოფლიოს თასის ყველა გათამაშებაში იასპარეზეს, თუმცა რაიმე მეტ-ნაკლებად სერიოზული წარმატებისთვის არ მიუღწევიათ. გასული საუკუნის 90-იან წლებში კი სულაც კრიზისი დაეწყოთ და მის ნაცვლად ევროპელმა ბობოლებმა მეექვსე ერად იტალიის ნაკრები მიიღეს.

2000 წლიდან „სტეუარი" ევროპის ერთა თასის გათამაშებაში, ანუ მეორე ექვს ერში თამაშობს. პირველივე ტურნირი მათ იოლად მოიგეს, თუმცა მომდევნო წელს ერთა თასი საქართველოს ნაკრებმა წაართვა, რომელიც იმ დროისთვის მზარდი, ახალი სარაგბო ქვეყანა იყო.

მას შემდეგ რუმინეთის ნაკრებთან ჩვენს გუნდს ყოველ წელიწადს უწევს ასპარეზობა. საქართველოს ნაკრებს „სტეუარისთან" სულ თოთხმეტჯერ უთამაშია და მხოლოდ ექვსჯერ მოუგია.

რუმინეთის იმ ნაკრებში, რომელიც მსოფლიოს თასზე იასპარეზებს, რამდენიმე გამოცდილი მოთამაშეა. მათ შორის ყველაზე მაღალი დონის და შესაბამისად ყველაზე საშიშნი, შერკინების კვაჭი **მარიუს ტინკუ** და მესამეხაზელი **ოვიდიუ ტონიცა** არიან.

საკმაოდ სერიოზული ძალაა „მუხის ფოთლებისთვის" მეორეხაზელი **კრისტიან პეტრე** და ფულბეკი **იულიან დუმიტრაში.** აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუმინელებს საგრძნობლად დაეტყობათ მესამეხაზელის, **ალექსანდრუ მანტასა** და მეორეხაზელის **სორინ სოკოლის** არყოფნა. მანტამ ნაკრებში თამაშზე უარი თქვა, სოკოლს კი კონფლიქტი აქვს ნაკრების მწვრთნელ **რომეო გონტინიაკთან.**

ახლახან ცნობილი გახდა, რომ ახალ ზელანდიაში გამგზავრებაზე ბოლო მომენტში უარი განაცხადა გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა, გარემარბმა **კატალინ ფერკუმ,** რის მიზეზადაც თვითმფრინავით ფრენისადმი შიში დაასახელა.

რუმინეთისა და საქართველოს ნაკრებების დაპირისპირება 28 სექტემბერს პალმერსტონში გაიმართება.

### რუმინეთის ნაკრები

**შერკინება:** ნიკოლაე ნერე, მიჰაიტა ლაზარი, სილვიუ ფლორეა, დრაგოშ დიმა, პაულიკა იონი, მარიუს ტინკუ, ბოგდან ზებეგა, ანდრე რადოი, ვალენტინ ურსაკე, კრისტიან პეტრე, ვალენტინ პოპირლანი, კოსმინ რატიუ, ოვიდიუ ტონიცა, მიჰაი მაკოვეი, დანიელ კარპო, დანიელ იანუსი, სტელიან ბურეა.

**უკანა ხაზი:** ლუჩან სირბუ, ვალენტინ კალაფეტეანუ, დანიც დუმბრავა, იონუც დიმოფტე, ჩაბა გალი, კონსტანტინ გეარა, იონელ კაზანი, ადრიან აპოსტოლი, მადალინ ლემნარუ, სტეფან ჩუნტუ, ფლორინ ვლაიკუ, იულიან დუმიტრაში, კატალინ ნიკოლაე.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტენდო სროლა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# მესტენდურები ბელგრადში მსოფლიოსთვის ისვრიან




ბელგრადში დაიწყო მსოფლიოს პირველობა სასტენდო სროლაში, რომელშიც ოთხი ჩვენებურიც იასპარეზებს. კაცთაშორის სასანგრე სტენდზე ტრადიციულად სრული გუნდით გამოვალთ და ასევე ტრადიციულად უცვლელი სამეულით, რადგან მეტი სპორტსმენი ფიზიკურად არ გვყავს. ესენი არიან **დავით ქვათაძე, გივი შენგელია** და მოსკოვში მცხოვრები **პავლე ლაკია**. ისინი ცეცხლის ხაზზე 12 აგვისტოს დადგებიან, ხვალ კი მრგვალ სტენდზე **მაია გუბიევა** ისვრის. ბელგრადში ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გაიცემა, თუმცა ჩვენებისგან ამ ეტაპზე მისი მოპოვება არარეალური გვეჩვენება.

ვიდრე მესტენდურები მსოფლიოზე იბრძვიან, ტყვიის სროლაში ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** თბილისში ვარჯიშობს და მსოფლიოს სუპერთასისთვის ემზადება. თავდაპირველი გეგმით ეს შეჯიბრება ოქტომბრის ბოლოს მიუნხენში უნდა გამართულიყო, მაგრამ სექტემბერში გადმოიტანეს და ჩატარების ადგილიც შეუცვალეს - 18-დან 24-ის ჩათვლით პოლონურ ვროცლავში გაიმართება. სალუქვაძე ორივე დისციპლინაშია მიწვეული - სპორტულშიც და პნევმატურშიც. სუპერთასზე მონაწილეობა მან მარტში სიდნეიში, მსოფლიოს თასის რიგით პირველსავე ტურნირში გაინაღდა, სადაც პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში გაიმარჯვა. ამით ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიაც მოიპოვა და კარიერაში მეშვიდედ გამოვა თამაშებზე, რაც მსოფლიოს რეკორდია. მართალია, მაშინ სპორტულში წააგო, მაგრამ მსოფლიოს სუპერთასზე ამ დისციპლინაშიც მიიწვიეს, როგორც წარმატებული მსროლელი, თუმცა თავისი უნიკალური შედეგით ის უკვე ამ წოდებაზეც ამაღლდა და თამამად შეიძლება ლეგენდა ეწოდოს. მით უფრო, ოლიმპიადებსა თუ სხვა რანგის ტურნირებზე მხოლოდ მონაწილეობისთვის არ მიდის და ზურგს მედლების იმდენად მდიდარი კოლექცია უმაგრებს, ბარეათს არ მოუგროვდება - არის სამივე სინჯის ოლიმპიური და მსოფლიოს პირველობების მედლის მფლობელი, ევროპის სამგზის ჩემპიონი, 9-ჯერ მოუგია მსოფლიოს სუპერთასი (ამ ნომინაციაში უახლოესი მდევრები 3-3 ჯილდოთი ჩამორჩებიან), 17-ჯერ მოუგია მსოფლიოს თასის სხვადასხვა ეტაპები, 19-ჯერ დაუმყარებია მსოფლიოს რეკორდი... ასეთი სპორტსმენი მსოფლიოს სპორტს ბევრი მართლაც არ ჰყავს.

**ირაკლი თავაძე**

ფარიკაობა



# მსოფლიოზე ხმალშიც, დაშნაშიც

**თბილისის ფარიკაობის დარბაზში ერთ კვირაზე მეტია, ვარჯიშები განაახლეს ქართველმა მუშკეტერებმა, რომლებიც წლის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებისთვის - მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგნენ. ეს ასპარეზობა იტალიურ კატანიაში 8-16 ოქტომბერს გაიმართება.**

მოხმალავენი მსოფლიოზე გუნდურ პირველობაშიც მოსინჯავენ ძალებს **კახაბერ მაღრაძის**, კადეტებში წლევანდელი მსოფლიოს პირველობის მესამე პრიზიორის **მიხეილ მარდალეიშვილის, ბექა** და **სანდრო ბაზაძეების** შემადგენლობით. სამმა მათგანმა წლეულს ევროპის ჩემპიონატზეც იასპარეზა. მარდალეიშვილმა პირადში პირველი ეტაპი ორი მოგებით გადალახა, მაგრამ შემდეგ ფრანგ ნიკოლას ლოპესთან დამარცხდა. ეს ფრანგი კი გუნდურში პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონია, ხოლო ინდივიდუალურში მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო მასპინძელ სონ მენთან.

> **გერმანიაში 5 წელიწადია სწავლობს და იქვე ვარჯიშობს ქართველი მოფარიკავე სპარტაკ რაზმაძე. დაშნაში მან რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა**

- გუნდურ პირველობაში ორი შეხვედრა წავაგეთ - ბოლო ორი ოლიმპიადის ჩემპიონ ფრანგებთან და მსოფლიოს რეიტინგით მე-5 ადგილზე მყოფ ბელარუსებთან, - გვითხრა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მერაბ ბაზაძემ**. - ამის მიუხედავად, 44-გუნდიან რეიტინგში 26-ე ადგილზე ვართ. ვეცდებით, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ საგრძნობლად წავიწიოთ წინ. 21-წლიანების 400-კაციან რეიტინგში 18 წლის სანდრო ბაზაძე მეთოთხმეტეა, ხოლო 16 წლის მარდალეიშვილს 22-ე ადგილი უკავია. თანაც, ჩვენმა ბიჭებმა ამ შედეგებს სამი ტურნირის ჯამში მიაღწიეს, მათ მეტოქეებს კი ბევრად მეტ შეჯიბრებაში აქვთ ნაასპარეზევი.

**- მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებაზე რას იტყვით?**

- ჯერჯერობით თბილისში ვვარჯიშობთ, ამჯერად მეტ ყურადღებას ფიზიკურ წრთობას ვაქცევთ. დაფინანსება თუ იქნა, 26 სექტემბრიდან კიევში გვინდა გამგზავრება უკრაინის ნაკრებთან ერთობლივი წვრთნის ჩასატარებლად. ასეთი მნიშვნელოვანი პაექრობების წინ სპარინგპარტნიორების გარეშე სათანადოდ მომზადება ძალიან ძნელია.

**- ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოპოვების შანსი თუ გაქვთ?**

- იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატი მხოლოდ სალიცენზიო ქულებს იძლევა. საბოლოოდ კი გაისად აპრილში გაირკვევა 40-ვე საგზურის მფლობელის ვინაობა.

- გვაქვს ორი სიახლეც, - ჩაერია საუბარში ფარიკაობის ფედერაციის გენერალური მდივანი **დავით სახვაძე**. - ორი წლის წინათ ჩვენმა მოფარიკავე ანზორ ალბრეხტმა რუს ეკატერინა ჟუიკოვაზე იქორწინა. ეს უკანასკნელი ევროპის ჩემპიონატის პრიზიორია გუნდურ დაშნაში. პირად პირველობებშიც მრავალ შეჯიბრებაზე უსახელებია თავი. წელიწადი გავიდა, რაც შვილი შეეძინა. ორი თვის წინათ კი ვარჯიში განაახლა და წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს სახელით იასპარეზებს. ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის დაფინანსებით გაემგზავრება იგი იტალიაში ჯერ 10-დღიან საწვრთნელ შეკრებაზე და შემდეგ საპრიზო ადგილებისთვის საბრძოლველად. ეკატერინა უწინდელი სპორტული ფორმის აღდგენას თუ მოასწრებს, შესაძლოა, 2012 წლის ოლიმპიადის საგზურსაც გამოჰკრას ხელი.

გერმანიაში 5 წელიწადია სწავლობს და იქვე ვარჯიშობს ქართველი მოფარიკავე სპარტაკ რაზმაძე. დაშნაში მან რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ასე რომ, გამოცდილება აქვს, ამიტომ გადავწყვიტეთ, კატანიაში ისიც გამოვცადოთ. ამჟამად სპარტაკი ალემანთა ნაკრებთან ერთად იმაღლებს ოსტატობას. მსოფლიოს ჩემპიონატზე კიდევ ერთი დებიუტანტი გვეყოლება - მოხმალავე თეოდორა კახიანი. მსგავსი შეჯიბრებისთვის იგი ძალიან ახალგაზრდაა და განსაკუთრებულ იმედებს არ ვამყარებთ, მაგრამ პერსპექტიული სპორტსმენია და აქედანვე გვინდა, გამოცდილება მიიღოს.

**ვაჟა დანელია**

ლელობურთი



# ყოჩაღ, სენაკელებო!

## სენაკში ლელობურთის ფედერაცია დაფუძნდა

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სპორტის ხალხური სახეობებისა და თამაშობების მასობრიობა აადვილებს ინტეგრაციას სპორტის საერთაშორისო სახეობებში. ისიც კარგადაა ცნობილი თუ რაოდენ დიდ ინტერესს იჩენდა ოდითდგანვე ქართველი კაცი სპორტის ძირძველი სახეობების მიმართ. ცხენოსნობა, ჭიდაობა, ლელობურთი მათი ცხოვრების სულიერი საზრდო და ყოფის მუდმივი თანამდევი იყო. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით დასაფასებელია ბოლო დროს რამდენიმე რაიონის ხელმძღვანელთა დაინტერესება ჩვენი ეროვნული საუნჯისადმი.

სენაკში მუნიციპალიტეტის გამგეობის თაოსნობით დაფუძნდა ლელობურთის ფედერაცია. შეგახსენებთ, რომ საქართველოში ლელობურთს 2500-წლიანი ისტორია აქვს. დამფუძნებელ სხდომას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის, სასწავლო დაწესებულებების, ლელობურთის გუნდების, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი **გურამ მისაბაშვილი,** ვიცე-პრეზიდენტად სამეგრელოს რეგიონის რაგბის კავშირის თავმჯდომარე **დავით კილასონია.** ჩამოყალიბდა გუნდები, რომლის წევრებიც დავით კილასონიას მეთვალყურეობით დგამენ პირველ ნაბიჯებს.

ამ ღირსეული საქმით საფუძველი ჩაეყარა ტრადიციული სახეობებისადმი ზრუნვას და ახალგაზრდებში სასკოლო ასაკიდან ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას.

როგორც ფედერაციის დამფუძნებლებმა განაცხადეს, უახლოეს მომავალში რამდენიმე ღონისძიების ჩატარება იგეგმება. დევიზი: „სპორტის ეროვნული სახეობები ქართული სპორტის სამსახურში!“ უკვე რეალურად ამოქმედდება.

კარგი იქნება თუ ტრადიციულ სახეობებს სხვა რეგიონებში, ქალაქებსა და რაიონებშიც მიექცევა ყურადღება, ეს მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული სულისკვეთების გაძლიერებას და ქართული სპორტის განვითარებას შეუწყობს ხელს.

**ბესიკ გვაზავა**
სენაკიდან

შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა:** ვვარჯიშობ თბილისის სარაგბო კლუბ „ლოკომოტივის“ ბავშვთა სექციაში. მეამაყება ჩვენი კლუბის მიღწევები. ბევრი რამ გამიგია ლოკომოტიველთა ადრინდელ წარმატებებზეც. დიდი სურვილი მაქვს უფრო მეტი ვიცოდე ამ გუნდის წარსულზე. თუ შეგიძლიათ, იქნებ მოკლედ მაინც გვიამბოთ ამ სახელოვანი გუნდის წარმატებებზე.

**ბექა რაზმაძე**
თბილისი

**პასუხი:** „ლოკომოტივი“ ქართული რაგბის ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი გუნდია. კლუბი ჯერ კიდევ 1963 წელს ჩამოყალიბდა თბილისში. 1990-იან წლებში გამოდიოდა „ელმავლის“, „ვესტას“, „თბილისის“, „ქორების“, „ექსპრესის“ სახელწოდებით. პირველი დიდი წარმატება კლუბმა მოიპოვა 1978 წელს - დაეუფლა სსრ კავშირის თასს, მანამდე კი, 1976 წელს ფინალისტი იყო. გახდა სსრ კავშირის ჩემპიონატის ოთხგზის მესამე პრიზიორი - 1968, 1972, 1978, 1981 წლებში. „ლოკომოტივი“ არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, თასის მფლობელი და ფინალისტი. ლოკომოტიველი მორაგბეები ყოველთვის მრავლად იყვნენ და არიან წარმოდგენილნი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. ამ კლუბის აღზრდილები წარმატებით თამაშობენ უცხოეთშიც. ასე რომ, თქვენ და თქვენი თანატოლები სახელოვანი ქართული სარაგბო კლუბის მემკვიდრეები ხართ, რითაც შეგიძლიათ იამაყოთ.



1978 წელი. საბჭოთა კავშირის თასს თბილისის „ლოკომოტივის“ მორაგბეთა გუნდი დაეუფლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

# პასი ამერიკიდან

ბრაზილია. სერია A. XXI ტური



რაფაელ მოურას გამარჯვების გოლი „ატლეტიკოს“ კარში

## კორინთიანსი ლიდერობას გაჭირვებით ინარჩუნებს

### ფლუს საოცარი გამარჯვება

ბრაზილიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა სულ უფრო საინტერესო ხდება. „კორინთიანსმა“ ულმერთოდ გაანიავა ლიდერობა და ბოლო ტურში „ვასკუ და გამას“ ბედოვლათობას უნდა უმადლოდეს, რომ კვლავ პირველ ადგილზეა. თუმცა „კორინთიანსის“ პირველობას სრულყოფილი ალარ ეთქმის, „ბოტაფოგო“ მას 3 ქულით კი ჩამორჩება, მაგრამ რეზერვში მატჩი აქვს.

**ფლუმინენსე–ატლეტიკო გ. 3:2**

**გოლები:** 0:1 ბიდა (10), 0:2 მარსიო (62-პენ), 1:2 რაფაელ სობისი (83), 2:2 რაფაელ სობისი (87), 3:2 რაფაელ მოურა (90)

**ატლეტიკო მ.–ავაი 2:0**

**გოლები:** 1:0 არლანი (27 ს.კ.), 2:0 დანი კარვალიო (80)

**ფიგეირენსე–სან პაულუ 1:2**

**გოლები:** 0:1 სისერო (42), 1:1 ჟოაო პაულუ (48), 1:2 რივალდო (60)

**პალმეირასი–კრუზეირო 1:1**

**გოლები:** 1:0 ლუანი (69), 1:1 მონტილიო (85)

**ფლამენგო–ბაია 1:3**

**გოლები:** 0:1 ტიტი (22), 1:1 რენატო (29), 1:2 დოდო (33), 1:3 სოუზა (45)

**გრემიო–ატლეტიკო პ. 4:0**

**გოლები:** 1:0 ესკუდერო (19), 2:0 ანდრე ლიმა (32), 3:0 ანდრე ლიმა (60), 4:0 ანდრე ლიმა (66-პენ)

**კორიტიბა–კორინთიანსი 1:0**

**გოლი:** 1:0 ჟონასი (73)

**შენიშვნა:** ანდერსონ აკინო (კორიტიბა) 55-ე წუთზე შეცვალეს, გააფრთხილეს

**ამერიკა–ვასკუ და გამა 4:1**

**გოლები:** 1:0 ანდრე დიასი (19), 1:1 ჟუნინიო (21), 2:1 კემპესი (42-პენ), 3:1 მარკოს როჩა (59), ანდრე დიასი (85)

**სეარა–ინტერნასიონალი 1:1**

**გოლები:** 1:0 ვაშინგტონი (36-პენ), 1:1 ჟო (46)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კორინთიანსი | 21 | 12 | 4 | 5 | 33-21 | 40 |
| 2. სან პაულუ | 21 | 11 | 5 | 5 | 33-26 | 38 |
| 3. ვასკუ და გამა | 21 | 11 | 5 | 5 | 30-26 | 38 |
| 4. ბოტაფოგო | 20 | 11 | 4 | 5 | 32-20 | 37 |
| 5. ფლამენგო | 21 | 9 | 9 | 3 | 36-27 | 36 |
| 6. პალმეირასი | 21 | 8 | 9 | 4 | 27-18 | 33 |
| 7. ფლუმინენსე | 21 | 10 | 1 | 10 | 27-25 | 31 |
| 8. კორიტიბა | 21 | 8 | 5 | 8 | 34-27 | 29 |
| 9. ფიგეირენსე | 21 | 8 | 5 | 8 | 26-28 | 29 |
| 10. ინტერნასიონ. | 21 | 7 | 8 | 6 | 32-28 | 29 |
| 11. კრუზეირო | 21 | 8 | 4 | 9 | 29-25 | 28 |
| 12. ატლეტიკო გ. | 21 | 8 | 4 | 9 | 27-25 | 28 |
| 13. სეარა | 21 | 7 | 5 | 9 | 29-32 | 26 |
| 14. გრემიო | 20 | 6 | 6 | 8 | 24-26 | 24 |
| 15. ბაია | 21 | 5 | 9 | 7 | 24-28 | 24 |
| 16. სანტოსი | 19 | 6 | 5 | 8 | 26-31 | 23 |
| 17. ატლეტიკო მ. | 21 | 6 | 3 | 12 | 27-38 | 21 |
| 18. ავაი | 21 | 5 | 5 | 11 | 24-44 | 20 |
| 19. ატლეტიკო პ. | 21 | 4 | 6 | 11 | 20-33 | 18 |
| 20. ამერიკა | 21 | 3 | 8 | 10 | 26-38 | 17 |

**ბომბარდირები:** 14 - ბორჟესი (სანტოსი); 12 - რონალდინიო (ფლამენგო); 11 - მონტილიო (კრუზეირო); 9 - ლეანდრო დამიაო (ინტერნასიონალი), რაფაელ მოურა (ფლუმინენსე); 8 - ელკესონი (ბოტაფოგო), დეივიდი (ფლამენგო).

**მომდევნო ტური**

დღეს: ავაი-სანტოსი, ბოტაფოგო-სეარა, ინტერნასიონალი-ამერიკა, სან პაულუ-ატლეტიკო მ, ატლეტიკო გ-ფიგეირენსე, ატლეტიკო პ-პალმეირასი, კრუზეირო-ფლუმინენსე.

ხვალ: ბაია-გრემიო, ვასკო და გამა-კორიტიბა, კორინთიანსი-ფლამენგო.

„კორინთიანსი“ რუსთავის „ოლიმპის“ ყოფილი ლიდერის, **ანდერსონ აკინოს** „კორიტიბასთან“ სტუმრად 0:1 დამარცხდა. საქართველოს ჩემპიონატის 2010 წლის ბომბარდირმა და საუკეთესო ფეხბურთელმა ლიდერთან დაპირისპირების პირველი 55 წუთი გაატარა მოედანზე, სტუმართა კარში გოლი კი მისი გაყვანის შემდეგ გავიდა. მიუხედავად ამისა, 25 წლის აკინოს ბრწყინვალე სეზონი აქვს, 14 თამაშში 5 გოლი გაიტანა სერია A-ში.

„კორიტიბას“ შეტევებს გამოცდილი **ჩეკუ** ხელმძღვანელობდა, მაგრამ მის პასებს ვერ იყენებდნენ აკინო და სხვები. სტუმრები კონტრშეტევებზე ცდილობდნენ თამაშის აგებას. **ემერსონმა** ორჯერ სახიფათო შეტევა განახორციელა მასპინძელთა კართან. მეორე ტაიმში შეტევაში ჩართულმა **ჟონასმა** გამარჯვების გოლი გაიტანა, ლიდერს თამაშის გადარჩენისთვის კიდევ 20 წუთი ჰქონდა, მაგრამ შეცვლაზე შესულმა **ალექსმა** ბურთი ძელს გაარტყა. ახლა „კორინთიანს“, კიდევ უფრო ძნელი დაპირისპირება ელის - „ფლამენგოს“ წინაალმდეგ.

„ფლუმინენსე“, რომელიც ალბათ ვერ შეინარჩუნებს ჩემპიონის ტიტულს, გოიანსეს „ატლეტიკოს“ მასპინძლობდა და ორი გოლის გაშვება „მოახერხა“. მაშინ, როცა ყველას ეგონა ჩემპიონი ქულასაც ვერ გადაარჩენდა, „ფლუმინენსეს“ ორმა რაფაელმა მოაგებინა. 83-ე წუთზე **რაფაელ სობისმა** ლამაზი შორეული დარტყმით გაიტანა, ხუთ წუთში მან მეკარის მოგერიებულს დაამატა, **რაფაელ მოურამ** კი ბოლო წუთზე „ფლუს“ 3 ქულა მოუტანა. **აბელ ბრაგას** გუნდს ლიბერტადორესის თასის საგზურისთვის ბრძოლა ძალუძს.

ჩემპიონობისთვის მებრძოლ „სან პაულუს“ ძალიან გაუჭირდა „ფიგეირენსესთან“. სტუმრებს 1:1-ზე სამი ქულა 39 წლის **რივალდომ** გადაურჩინა, რომელმაც **კაზემიროს** ბრწყინვალე პასი გამოიყენა. ამ მოგებით „სან პაულუ“ მეორე ადგილზე გადავიდა და ლიდერს 2 ქულითღა ჩამორჩება.

როგორ ვერ ისარგებლა „ვასკუმ“ ლიდერის წაფორხილებით, საოცარია, მდევარმა ხომ ჩემპიონატის ბოლოადგილოსან „ამერიკასთან“ წააგო, თან როგორ - 1:4. **ჟუნინიოს** გოლი საბოლოოდ პრესტიჟისა გამოდგა. დამარცხდა „ფლამენგოც“, რომელიც შინ „ბაიასთან“ ვერას გახდა - 1:3. მაგრამ „რუბრო-ნეგროს“ გასამართლებლად ის მაინც აქვს, რომ ბრაზილიის ნაკრების გამოძახებული კაპიტანი **რონალდინიო** არ ჰყავდა. ლიდერთა ჯგუფში მყოფმა კიდევ ერთმა გუნდმა წაიფორხილა, „პალმეირასმა“ „კრუზეიროს“ ვერ აჯობა. მოკლედ, „კორინთიანსს“ ძალიან გაუმართლდა.

„სანტოსის“ და „ბოტაფოგოს“ მატჩი ოქტომბრისთვის გადაიტანეს, რადგან „სანტოსს“ ნაკრებში სამი ფეხბურთელი ჰყავდა მივლენილი.



რივალდოს სამქულიანი

ბრაზილიის ნაკრები

## ლეანდროს პირველი, განსოს ტრავმა, დინიოს შანსი და... უფერული მატჩი

ლონდონში, „კრეივენ კოტეჯზე“ ბრაზილიის ეროვნულმა ნაკრებმა ამხანაგური დაპირისპირება მოუგო განის ნაკრებს - 1:0. მატჩის ერთადერთი გოლი „ინტერნასიონალის“ 22 წლის ფორვარდმა **ლეანდრო დამიაომ** გაიტანა. საერთო შეფასებით, „სელესაომ“ ძალიან ცუდად ითამაშა და მხოლოდ იმიტომ დაამარცხა მეტოქე, რომ „შავი ვარსკვლავები“ კიდევ უფრო ცუდად თამაშობდნენ. ლონდონური პუბლიკაც უკმაყოფილო დარჩა.

ლეანდრომ 44-ე წუთზე გაიტანა, სამხრეთამერიკელები რიცხობრივ უპირატესობაში თამაშობდნენ, განელთა მეკარე **ადამ კვარასეი** კი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი იყო.

განას ორი საუკეთესო ფეხბურთელი არ ჰყავდა, **ასამოა გიანი** და **ანდრე აეუ. მანო მენეზესმა** კი სასტარტოში **რონალდინიო** და **მარსელო** ათამაშა. 34-ე წუთზე მსაჯს ყელში ამოუვიდა **დანიელ ოპალეს** უხეშობები და როცა ამ უკანასკნელმა **ლუსიოც** არ დაინდო, წითელი ბარათი უჩვენა. დამიაომ ასეთი სადებიუტო გოლი გაიტანა ნაკრებში: მან პასი „შახტარის“ ლეგიონერ **ფერნანდინიოსგან** მიიღო და აუღელვებლად გადაგზავნა აფრიკელთა კარში.

მეორე ტაიმში ყველაზე კარგი შანსი **პატოს** ჰქონდა, თუმცა რონალდინიოს პასის შემდეგ მისი თავური მეკარის ნადავლი გახდა. „ფლამენგოს“ ვეტერანს საერთო ჯამში არაფერი დაეწუნებოდა, რონალდინიო ისევ იმკვიდრებს ადგილს „სელესაოში“.

აი, რა აზრისაა მანო მენეზესი რონალდინიოს ნაკრებში დაბრუნებაზე: *„ეს არ არის დროებითი გადაწყვეტილება. მან ფეხბურთის თამაშის დიდი წყურვილი და კარგი ფიზიკური მომზადება გამოავლინა. რონალდინიო კარგი მაგალითია ახალგაზრდებისთვის და ნამდვილი ლიდერი. ითამაშებს რონალდინიო მუნდიალზე? ვნახოთ“*, - განაცხადა ბრაზილიელთა თავკაცმა.

მე-10 წუთზე „სანტოსის“ ახალგაზრდა ნახევარმცველმა **განსომ** ფეხი იტკინა და შესაცვლელი გახდა, მის ნაცვლად **ელიასი** გამოვიდა.

**ბრაზილია:** *ჟულიო სეზარი - დანი ალვეში, ლუსიო, ტიაგო სილვა, მარსელო - ფერნანდინიო (46. ჰალკი), ლუკასი, განსო (10. ელიასი) - რონალდინიო, ლეანდრო (78. პატო), ნეიმარი.*

**გოლი:** 1:0 ლეანდრო (44)



არჩევანის წინ

## ნეიმარის საოცნებო არჩევანი: ბარსა ან რეალი

„სანტოსის“ ახალგაზრდა ფორვარდი **ნეიმარი** ისეთი არჩევანის წინაშეა, მსოფლიოს ნებისმიერ ფეხბურთელს შეშურდება - ნეიმარმა განაცხადა, რომ „ბარსელონას“ და „რეალს“, ორივეს სურს მისი შეძენა, მაგრამ იქვე დაურთო, რომ ჯერ არჩევანი არ გაუკეთებია და მედიაში გავრცელებული ხმები, სინამდვილეს არ შეეფერება. ამას წინათ, ითქვა, თითქოს, ნეიმარი „ბარსელონას“ უკვე ყველაფერზე შეუთანხმდა და რომ ის 2012 წლიდან კატალონიაში ითამაშებს. *„რეალი“ და „ბარსელონა“ ცდილობენ ჩემს დაყოლიებას. ეს შემიძლია დავადასტურო, დანარჩენი კი უბრალოდ ჭორია. რა თქმა უნდა, ჩემთვის დიდი პატივია, როცა ასეთ გრანდებს ვაინტერესებ*“, - განაცხადა 19 წლის ნეიმარმა განის ნაკრებთან მატჩის შემდეგ.

ბრაზილიელი ვეტერანი ფეხბურთელი **რონალდო**, რომელსაც ორივე კლუბში უთამაშია, ნეიმარს „რეალში“ გადასვლას ურჩევს: *„რა თქმა უნდა, „ბარსელონა“ და „რეალი“ ორივე დიდებული კლუბია, თუმცა ვიმედოვნებ, რომ ნეიმარი მადრიდში წავა, სადაც 5 სეზონი გავატარე. იქ მისთვის უკეთესი სიტუაცია იქნება და გუნდსაც უკეთ მოერგება. ბრაზილიის ჩემპიონატი მეტისმეტად პატარაა უკვე ნეიმარისთვის. მას საკმარისად აქვს იმის ამბიცია, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს*“, - განაცხადა რონალდომ.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

არგენტინის ნაკრები

**არგენტინა–ნიგერია 3:1**

**გოლები:** 1:0 იგუაინი (24), 2:0 დი მარია (26), 2:1 ობასი (46), 3:1 იგუაინი (64)



ლეო მესიმ ორი საგოლე პასი მიითვალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● პარი სენ-ჟერმენი

# იქნება თუ არა გაჩერება?



"პარი სენ-ჟერმენის" წლევანდელი სატრანსფერო კამპანია მთელი საფეხბურთო ევროპის ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. ახალმა სპორტულმა დირექტორმა **ლეონარდომ** უზარმაზარი სამუშაო გასწია და გუნდში რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი გადაიბირა. სატრანსფერო სეზონის დასრულების მიუხედავად ბრაზილიელი აქტიურ მუშაობას აგრძელებს. იანვრისთვის მას საფუძვლის ჩაყრა აქედანვე სურს. როგორც იტალიური პრესა წერს, პარიზელები "პალერმოსთან" კიდევ ერთი გარიგებასთან ახლოს არიან. სიცილიელთაგან **ხავიერ პასტორესა** და **სალვატორე სირიგუს** შეძენის შემდეგ "პარკ დე პრენსზე" სათამაშოდ შეიძლება კიდევ ერთი ფეხბურთელი გადავიდეს – იტალიის ნაკრების 29 წლის განაპირა მცველი **ფედერიკო ბალცარეტი**. მხარეებს ამ ინფორმაციაზე ჯერ კომენტარი არ გაუკეთებიათ. სპორტული ვებგვერდების ვარაუდით, პსჟ-ს ფეხბურთელის გადაბირება 8-დან 10 მილიონ ევრომდე დაუჯდება.

"პარი სენ-ჟერმენისა" და საფრანგეთის ნაკრების 27 წლის თავდამსხმელი **გიიომ ოარო** ფეხბურთს ორი თვით ჩამოშორდა. ამის მიზეზი მარჯვენა მხრის ტრავმაა, რომელზეც ფეხბურთელს ოპერაცია უკვე ჩაუტარდა. ბედშავ გიიომს ტრავმა რამდენიმე თვე ტანჯავდა. მედიკამენტებმა მას ვერაფერი არგო. საბოლოოდ ექიმები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ქირურგიული ჩარევა გარდაუვალი იყო. რამდენიმე დღის წინ **ლორან ბლანმა** ფეხბურთელის თხოვნას ყური ათხოვა და ალბანეთთან და რუმინეთთან ევრო 2012-ის საკვალიფიკაციო შეხვედრების წინ შეკრებიდან გაათავისუფლა. ოპერაცია მას პარიზში დაბრუნებისთანავე ჩაუტარეს. ოაროს, სავარაუდოდ, ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპის 4 შეხვედრისა და ლიგა 1-ის 8-9 ტურის გამოტოვება მოუხდება.

● ჰოლანდიის ნაკრები

# ჰოლანდიას მოსწონს მარვიიკი

ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას, როგორც ჩანს, მოსწონს 59 წლის **ბერტ ვან მარვიიკის** მუშაობა (ან კიდევ რატომ არ უნდა მოსწონდეს?) და შესაბამისად მასთან კონტრაქტის გახანგრძლივება მოინდომა. ვან მარვიიკი ჰოლანდიას 2008 წლის ზაფხულიდან უდგას სათავეში, კონტრაქტის ვადა კი ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე უმთავრდება. ფედერაციამ მწვრთნელის აგენტს შესასწავლად უკვე გადაუგზავნა ახალი კონტრაქტის ასლი. თუმცა ერთია, რომ თავად ვან მარვიიკს არაერთგზის განუცხადებია, რომ ის არ არის ტიპაჟი, რომელსაც ერთ ადგილზე დიდხანს გაჩერება შეუძლია. მართლაც, მის სამწვრთნელო კარიერას რომ გადავხედოთ, აღმოვაჩენთ, რომ მას შემდეგ, რაც სახელი მოიხვეჭა, 4 წელიწადზე მეტხანს არსად გაჩერებულა. ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კი მას სწორედ 4 წელი გაუხდება ნარინჯისფერთა სათავეში.

დაარღვევს ვან მარვიიკი ერთგვარ ტრადიციას?

**ლევან ბიბილაშვილი**



ბერტ ვან მარვიიკი

● ამბები

## სიტის დირექტორს ბრალს სდებენ

**ანტონია ონუოჰა** "მანჩესტერ სიტის" 25 წლის ამერიკელი ცენტრალური მცველის **ნედუმ ონუოჰას** დედაა. ის გაზეთ "სანს" დაუკავშირდა და "ქალაქელთა" აღმასრულებელი დირექტორის **გარი კუკის** შესახებ გამოცემას სერიოზული სკანდალური ინფორმაცია მიაწოდა. ქალბატონი ანტონია ამჟამად სიმსივნეს ებრძვის. სანერვიულოდ მას თავისი მძიმე მდგომარეობაც ეყოფოდა, როცა ელექტრონულ ფოსტაზე რატომღაც აღნიშნული პიროვნების წერილი მიუვიდა. საინტერესო ის არის, რომ წერილი მას კი არა "სიტის" ადმინისტრაციის წევრ **ბრაიან მარვუდს** ეკუთვნოდა. როგორც ჩანს, კუკმა ანტონია ონუოჰას ფოსტის მისამართი შემთხვევით მიუთითა. წერილში აღმაშფოთებელი ის არის, რომ მისტერ გარი წერილში სასაცილოდ იგდებს ქალბატონი ონუოჰას მდგომარეობას. "სიტის" ხელმძღვანელებმა ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე შიდა გამოძიების დაწყების განკარგულება გასცეს. არ არის გამორიცხული, გარი კუკი ამ სკანდალის გამო უსამსახუროდ დარჩეს.




ნედუმ ონუოჰა

## ბენ არფამ ვარჯიში განაახლა



ჰატემ ბენ არფა

"ნიუკასლის" 24 წლის ფრანგმა გარემარბმა **ჰატემ ბენ არფამ** საბოლოოდ მოირჩინა ფეხის ტრავმა და გუნდთან ერთად ვარჯიში უკვე განაახლა. ჰატემმა "კაჭკაჭებში" გადასვლის შემდეგ სულ რაღაც 4 მატჩი ჩაატარა და შარშან სექტემბერში "მანჩესტერ სიტისთან" შეხვედრაში **ნაიჯელ დე იონგთან** შეჯახებისას დაშავდა. ჩრდილოინგლისელები ფეხბურთელს ჯენტლმენურად მოექცნენ – "მარსელიდან" იჯარით აყვანილი, მძიმედ ტრავმირებული ფეხბურთელის ტრანსფერი სრულად გამოისყიდეს. ბენ არფა ივლისის დასაწყისში გუნდს დაუბრუნდა, მაგრამ ამავე თვეში ამერიკული ტურნეს დროს ტრავმა "კანზას სიტისთან" შეხვედრაში გაიმიზეზა. ჰატემი მას მერე მოედანს აღარ გაჰკარებია. ახლა კი, ექიმების თქმით, ტრავმის რეციდივის შანსი მიზერულია. მართალია ფრანგი გუნდთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ დატვირთვებს ჯერ სრულად ვერ უძლებს. ფიზიოთერაპევტების თქმით, ფეხბურთელის კუნთები ძველებური დატვირთვის ასატანად მზად 3-4 კვირაში იქნება.

## დიდი ტყუილი საფრანგეთიდან

წინა ნომრებში გაცნობდით, რომ "სენტ ეტიენის" 31 წლის ნახევარმცველმა **სტიდ მალბრანკმა** ვაჟიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ფეხბურთელის კარიერა დაასრულა. ცოტა უცნაურია, მაგრამ აღნიშნულმა ინფორმაციამ ბოლოს სწორედ სტიდის ყურამდე მიაღწია, რამაც ის მეტისმეტად აღაშფოთა. ფეხბურთელმა უარყო, რომ კარიერის დასრულებას აპირებს და მეტიც, მან ისიც კი განაცხადა, რომ მას ვაჟიშვილი საერთოდ არ ჰყავს. საიდან მოიტანეს ფრანგულმა გამოცემებმა ეს ინფორმაცია, ძნელი დასადგენია.




სტიდ მალბრანკი

## ვერმაელენი კიდევ ორი თვით

"არსენალის" ვიცე-კაპიტან **ტომას ვერმაელენს** მორიგი ოპერაცია ჩაუტარეს. ამჯერად სტოკჰოლმელმა ქირურგებმა მის ნატკენ კოჭს უწამლეს. მათი თქმით, აღდგენითი პროცედურები დაახლოებით 2 თვეს გასტანს. 26 წლის ცენტრალურმა მცველმა წელს "მეთოფეთა" შემადგენლობაში 5 მატჩი ჩაატარა. ტრავმა კი უდინეში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩისას გაიმიზეზა. **არსენ ვენგერს** იმედი ჰქონდა, რომ ტომასი მწყობრში მალე დაბრუნდებოდა, მაგრამ დაზიანება ძალიან სერიოზული აღმოჩნდა.

შეგახსენებთ, რომ ბელგიელმა ქუსლის ტრავმის გამო თითქმის მთლიანად გამოტოვა შარშანდელი სეზონიც. ტრავმირებულია "არსენალის" კიდევ ერთი ლიდერი **ჯეკ უილშირიც**, ასე რომ, ვენგერს რთული დღეების გადატანა მოუწევს.

**ლევან ბიბილაშვილი**



ტომას ვერმაელენი



ჯეკ უილშირი

● ამბები



ენცო ზიდანი გუშინდელ ვარჯიშზე

## ჟოზეს ჟესტი

მადრიდის „რეალის" თავკაცმა **ჟოზე მოურინიომ ზინედინ ზიდანის** შვილს, ენცოს ნება დართო გუნდის ვარსკვლავებთან ერთად ევარჯიშა. **ენცო ზიდანი** „რეალის" ჭაბუკთა გუნდში თამაშობს. გუშინ მან ვალდებებასის ბაზაზე, ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშზე ამოჰყო თავი, ხოლო მამამისი პორტუგალიელთან ერთად მოედნის კიდიდან ადევნებდა მას თვალს. ასე მოუწია ენცოს **კრიშტიანო რონალდოსთან, მესუთ იოზილთან, კაკასთან** და სხვებთან ერთად ბურთის გაგორებამ და საკმაოდ კარგი წარმოდგენაც დატოვა. ენცო ზიდანი 16 წლისაა, ის ამპლუით ნახევარმცველია. შეგახსენებთ, რომ ზინედინ ზიდანი 2001-2006 წლებში თამაშობდა „რეალში" და ახლა სპორტული დირექტორის თანამდებობით დაბრუნდა მადრიდულ კლუბში.

## ტეტე წავიდა

რუანდის ნაკრებმა მწვრთნელი მოისაკლისა - განელი სპეციალისტი **სელას ტეტე** თანამდებობიდან მას შემდეგ გადადგა, რაც აფრიკის ერთა თასის საკვალიფიკაციო მატჩში რუანდა შინ კოტ დ'ივუართან 0:5 შერცხვა. არადა, რუანდის ფედერაციის პრეზიდენტი **ჟულ კალისა** აცხადებდა, რომ ცუდი შედეგის მიუხედავად, მწვრთნელის გაგდებას არ აპირებდა. ტეტე ის მწვრთნელია, რომელმაც 2009 წელს განის 20-წლამდელთა ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატი მოაგებინა. ტეტემ წასვლის მიზეზად 0:5 კი არა, არამედ, პირადი მიზეზები დაასახელა, ოღონდ დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა.

## ნიანგი ყატარში წავიდა

სენეგალელი ფორვარდი **მამადუ ნიანგი** უეფასგან შერისხულ „ფენერბაჰჩეს" დაშორდა და არაბულ „ალ სადში" გადავიდა. სტამბოლელებმა მის სანაცვლოდ 7,5 მილიონი ევრო მიიღეს ყატარული კლუბისგან. მას შემდეგ, რაც კლუბის დისკვალიფიკაციის შესახებ შეიტყო, 31 წლის თავდამსხმელმა კატეგორიულად დაუყენა ტრანსფერზე დაყენების საკითხი. გასულ სეზონში თურქეთის ჩემპიონთა რიგებში ყოფილმა მარსელელმა 29 თამაშში 15 გოლი გაიტანა. ტრანსფერის შესახებ ინფორმაცია „ფენერბაჰჩეს" ოფიციალურმა საიტმა დაწერა და სატრანსფერო თანხაც არ დაუმალავს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ევრობასკეტი ციფრებში

**ქულა**

| | თ | ქ | ს |
|---|---|---|---|
| 1. დენგი (ბრიტ) | 5 | 123 | 24.6 |
| 2. პარკერი (საფ) | 5 | 116 | 23.2 |
| 3. ბარნიანი (იტა) | 5 | 114 | 22.8 |
| 4. პ. გასოლი (ესპ) | 4 | 87 | 21.8 |
| 5. მაკალები (მაკ) | 5 | 103 | 20.6 |
| 6. ნოვიცკი (გერ) | 5 | 102 | 20.4 |
| 7. როულენდი (ბულ) | 5 | 90 | 18.0 |
| 8. კრსტიჩი (სერ) | 5 | 86 | 17.2 |
| 9. ტომიჩი (ხორ) | 5 | 83 | 16.6 |
| 10. კირილენკო (რუს) | 5 | 82 | 16.4 |
| 20. მარკოიშვილი (საქ) | 5 | 69 | 13.8 |

**მოხსნა**

| | თ | მ | ს |
|---|---|---|---|
| 1. კამანი (გერ) | 5 | 50 | 10.0 |
| 2. ანტიჩი (მაკ) | 5 | 47 | 9.4 |
| 2. დენგი (ბრიტ) | 5 | 47 | 9.4 |
| 4. სანიკიძე (საქ) | 5 | 43 | 8.6 |
| 5. მ. გასოლი (ესპ) | 5 | 40 | 8.0 |
| 6. ნოა (საფ) | 5 | 39 | 7.8 |
| 7. დაშიჩი (ჩერ) | 5 | 38 | 7.6 |
| 8. ბარნიანი (იტა) | 5 | 37 | 7.4 |
| 9. კლარკი (ბრიტ) | 5 | 36 | 7.2 |
| 10. აშიქი (თურ) | 5 | 36 | 7.2 |

**პასი**

| | თ | პ | ს |
|---|---|---|---|
| 1. ტეოდოშიჩი (სერ) | 5 | 38 | 7.6 |
| 2. დრეიპერი (ხორ) | 5 | 35 | 7.0 |
| 3. რანიკო (ფინ) | 5 | 27 | 5.4 |
| 4. პარკერი (საფ) | 5 | 27 | 5.4 |
| 4. ვასილევიჩი (ბოს) | 5 | 27 | 5.4 |
| 6. ხრიაპა (რუს) | 5 | 25 | 5.0 |
| 7. ბერტი (უკრ) | 5 | 24 | 4.8 |
| 8. შაფარციკი (გერ) | 5 | 23 | 4.6 |
| 9. კოშარეკი (პოლ) | 5 | 22 | 4.4 |
| 10. იასიკიავიჩუსი (ლიტ) | 5 | 21 | 4.2 |
| 25. ცინცაძე (საქ) | 5 | 17 | 3.4 |

**ჩაჭრა**

| | თ | ჩ | ს |
|---|---|---|---|
| 1. ბატუმი (საფ) | 5 | 14 | 2.8 |
| 1. კირილენკო (რუს) | 5 | 14 | 2.8 |
| 3. ვ. სტოიანოვსკი (მაკ) | 5 | 12 | 2.4 |
| 4. კელატი (პოლ) | 5 | 10 | 2.0 |
| 4. მაკალები (მაკ) | 5 | 10 | 2.0 |
| 6. ლოურენსი (ბრიტ) | 3 | 6 | 2.0 |
| 7. კოტი (ფინ) | 5 | 9 | 1.8 |
| 7. ფერნანდესი (ესპ) | 5 | 9 | 1.8 |
| 9. ოზბოლტი (სლო) | 4 | 7 | 1.8 |
| 24. მარკოიშვილი (საქ) | 5 | 6 | 1.2 |

**დაფარება**

| | თ | დ | ს |
|---|---|---|---|
| 1. აშიქი (თურ) | 5 | 10 | 2.0 |
| 2. კრავცოვი (უკრ) | 5 | 8 | 1.6 |
| 2. ბარნიანი (იტა) | 5 | 8 | 1.6 |
| 4. პ. გასოლი (ესპ) | 4 | 6 | 1.5 |
| 5. ფოცისი (საბ) | 5 | 6 | 1.2 |
| 5. მბენგა (ბელ) | 5 | 6 | 1.2 |
| 5. კუფოსი (საბ) | 5 | 6 | 1.2 |
| 5. კამანი (გერ) | 5 | 6 | 1.2 |
| 9. ბეგიჩი (სლო) | 5 | 5 | 1.0 |
| 10. გეჩევსკი (მაკ) | 4 | 4 | 1.0 |
| 20. სანიკიძე (საქ) | 5 | 4 | 0.8 |

**შეცდომა**

| | თ | შ | ს |
|---|---|---|---|
| 1. ვიდენოვი (ბულ) | 5 | 20 | 4.0 |
| 2. ლაკოვიჩი (სლო) | 5 | 17 | 3.4 |
| 2. მარკოიშვილი (საქ) | 5 | 17 | 3.4 |
| 4. ფაჩულია (საქ) | 5 | 16 | 3.2 |
| 4. კელატი (პოლ) | 5 | 16 | 3.2 |
| 6. და სილვა (პორ) | 5 | 15 | 3.0 |
| 7. ტელეტოვიჩი (ბოს) | 5 | 14 | 2.8 |
| 7. იასიკიავიჩუსი (ლიტ) | 5 | 14 | 2.8 |
| 7. ბერტი (უკრ) | 5 | 14 | 2.8 |
| 7. აშიქი (თურ) | 5 | 14 | 2.8 |

**წუთი**

| | თ | წ | ს |
|---|---|---|---|
| 1. ილიევსკი (მაკ) | 5 | 195 | 39.0 |
| 2. დენგი (ბრიტ) | 5 | 183 | 36.6 |
| 3. ანტიჩი (მაკ) | 5 | 177 | 35.4 |
| 4. ბარნიანი (იტა) | 5 | 171 | 34.2 |
| 5. მაკალები (მაკ) | 5 | 168 | 33.6 |
| 6. ბატუმი (საფ) | 5 | 167 | 33.4 |
| 7. პარკერი (საფ) | 5 | 167 | 33.4 |
| 8. კუკი (ჩერ) | 5 | 166 | 33.2 |
| 9. კელატი (პოლ) | 5 | 166 | 33.2 |
| 10. როულენდი (ბულ) | 5 | 165 | 33.0 |
| 11. მარკოიშვილი (საქ) | 5 | 163 | 32.6 |
| 12. სანიკიძე (საქ) | 5 | 161 | 32.2 |

**თამაშიდან ჩაგდებული (%)**

| | თ | ზ | ს | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ტომიჩი (ხორ) | 5 | 34 | 46 | 73.9 |
| 2. კრსტიჩი (სერ) | 5 | 30 | 45 | 66.7 |
| 3. პ. გასოლი (ესპ) | 4 | 32 | 49 | 65.3 |
| 4. ფოცისი (საბ) | 5 | 24 | 40 | 60.0 |
| 5. ბატუმი (საფ) | 5 | 27 | 46 | 58.7 |
| 6. ელიაჰუ (ისრ) | 5 | 38 | 65 | 58.5 |
| 7. დიაო (საფ) | 5 | 24 | 42 | 57.1 |
| 8. როულენდი (ბულ) | 5 | 33 | 59 | 55.9 |
| 9. ბლუ (ისრ) | 5 | 24 | 44 | 54.5 |
| 15. სანიკიძე (საქ) | 5 | 23 | 44 | 52.3 |

**ორქულიანი (%)**

| | თ | ზ | ს | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ტომიჩი (ხორ) | 5 | 34 | 46 | 73.9 |
| 2. ბატუმი (საფ) | 5 | 21 | 31 | 67.7 |
| 3. კრსტიჩი (სერ) | 5 | 30 | 45 | 66.7 |
| 4. პ. გასოლი (ესპ) | 4 | 29 | 45 | 64.4 |
| 5. დიაო (საფ) | 5 | 23 | 37 | 62.2 |
| 6. მარკოიშვილი (საქ) | 5 | 20 | 33 | 60.6 |
| 7. კანტერი (თურ) | 5 | 18 | 30 | 60.0 |
| 8. ელიაჰუ (ისრ) | 5 | 38 | 64 | 59.4 |
| 9. ლი (ფინ) | 5 | 22 | 38 | 57.9 |
| 10. პეკოვიჩი (ჩერ) | 5 | 22 | 38 | 57.9 |

**სამქულიანი (%)**

| | თ | ზ | ს | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ფრიძონი (რუს) | 5 | 12 | 18 | 66.7 |
| 2. ჟელაბალე (საფ) | 5 | 11 | 17 | 64.7 |
| 3. ლენზლი (ბრიტ) | 5 | 7 | 11 | 63.6 |
| 4. კეშელი (სერ) | 5 | 16 | 26 | 61.5 |
| 5. პრელჯიჩი (თურ) | 5 | 6 | 10 | 60.0 |
| 6. კუკსიძსი (ლატ) | 5 | 18 | 31 | 58.1 |
| 7. ფოცისი (საბ) | 5 | 11 | 19 | 57.9 |
| 8. ონანი (თურ) | 5 | 8 | 14 | 57.1 |
| 9. იასაიტისი (ლიტ) | 5 | 8 | 14 | 57.1 |
| 10. დომარკანტი (ბოს) | 5 | 13 | 24 | 54.2 |
| 39. ცინცაძე (საქ) | 5 | 4 | 10 | 40.0 |

**საჯარიმო (%)**

| | თ | ზ | ს | % |
|---|---|---|---|---|
| 1. იასიკიავიჩუსი (ლიტ) | 5 | 14 | 15 | 93.3 |
| 1. პოპოვიჩი (ხორ) | 5 | 14 | 15 | 93.3 |
| 1. პნინი (ისრ) | 5 | 14 | 15 | 93.3 |
| 4. ნოვიცკი (გერ) | 5 | 25 | 27 | 92.6 |
| 5. ცისისი (საბ) | 5 | 21 | 23 | 91.3 |
| 6. ნავარო (ესპ) | 5 | 20 | 22 | 90.9 |
| 7. კოლჩენკო (უკრ) | 5 | 17 | 19 | 89.5 |
| 8. მ. გასოლი (ესპ) | 5 | 25 | 28 | 89.3 |
| 9. მაკალები (მაკ) | 5 | 31 | 35 | 88.6 |
| 10. კელატი (პოლ) | 5 | 15 | 17 | 88.2 |
| 14. ფაჩულია (საქ) | 5 | 18 | 21 | 85.7 |

**ერთ მატჩში რეკორდები**

**ქულა**

36 ქულა - ანდრეა ბარნიანი (იტალია)
იტალია-ლატვია 71:62 (FG2P - 9/21; FG3P - 2/4; FT - 12/15)

**მოხსნა**

19 - პერო ანტიჩი (მაკედონია)
მაკედონია-ფინეთი 72: 70 (შეტევაში - 4; დაცვაში - 15)

**პასი**

12 - დანტეი დრეიპერი (ხორვატია)
ხორვატია-ჩერნოგორია 87:81

**ჩაჭრა**

6 - ნიკოლა ბატუმი (საფრანგეთი)
საფრანგეთი-ისრაელი 85:68
6 - ტონი პარკერი (საფრანგეთი)
საფრანგეთი-სერბეთი 97:96

**დაფარება**

4 - კოსტას კუფოსი (საბერძნეთი)
საბერძნეთი-ჩერნოგორია 71:55
4 - ვიაჩესლავ კრავცოვი (უკრაინა)
უკრაინა-ბულგარეთი 67:56
4 - ომერ აშიქი (თურქეთი)
თურქეთი-პორტუგალია 79:56

**შეცდომა**

8 - დანიელ კლარკი (ბრიტ)
ბრიტანეთი-პოლონეთი 88:81



კალათბურთი. ევრობასკეტი 2011



იოსიპ ვრანკოვიჩი

# გასოლი დღეს მწყობრში იქნება

## ევრობასკეტმა ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი შეიწირა

როგორც იცით, ევრობასკეტის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში ესპანეთის ნაკრების რიგებში არ ითამაშა **პაუ გასოლმა.** თავიდან დაწერეს, რომ „ლეიკერსის" ცენტრს მწვრთნელებმა დასვენების საშუალება მისცეს, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ თურქეთთან გასოლის უთამაშებლობის მიზეზი ფეხის მცირე ტრავმა იყო, რომელიც მან ლიტვასთან შეხვედრაში მიიღო.

ესპანეთმა თურქეთთან მატჩი წააგო (57:65), თუმცა ჯგუფში მაინც პირველ ადგილზე დარჩა. ჟურნალისტებმა კი გაარკვიეს, რომ გასოლის ტრავმა სერიოზული არ არის და ის შეძლებს მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაშს. შემდეგ შეხვედრას ესპანეთი დღეს გერმანიის წინააღმდეგ ჩაატარებს.

*„ის ხვალ მწყობრში იქნება. გასოლი საჭირო სამედიცინო დახმარებას იღებს და ექიმები საბოლოო დასკვნას დღეს გადმოგვცემენ",* - აცხადებს ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **სერჯო სკარიოლო.**

■ ■ ■

ევრობასკეტმა უკვე შეიწირა ერთი მწვრთნელი. ხორვატთა ახალგაზრდა დამრიგებელმა **იოსიპ ვრანკოვიჩმა** მთლიანად ჩააგდო კონტინენტის პირველობა: მისმა გუნდმა პირველ ჯგუფურ ეტაპზე სამი თამაში წააგო და მეორე რაუნდში ვერ გავიდა.

*„ჩემი კონტრაქტი კალათბურთის ფედერაციასთან შეწყდა. მინდა მადლობა ვუთხრა მათ, ვინც მე და ჩემს შეგირდებს შანსი მოგვცა",* - განაცხადა ვრანკოვიჩმა.

ხორვატთა აწ უკვე ყოფილმა დამრიგებელმა ეროვნულ ნაკრებთან ორი წელი იმუშავა. შარშან გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გაიყვანა, მაგრამ ამჯერად სრული კრახი განიცადა.

■ ■ ■

ბელგიასთან ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის მატჩის შემდეგ უკრაინის ნაკრების 29 წლის ცენტრმა **სერგეი ლიშჩუკმა** გამოაცხადა, რომ დაასრულა საერთაშორისო კარიერა.

*„ნაკრებში 11 წელი ვითამაშე. მას მთელი ჩემი თავისუფალი დრო და ენერგია შევალიე. ჩემი აზრით, საკმარისად ნიჭიერი ახალგაზრდები გვყავს, რომლებსაც ვეტერანების შეცვლა შეუძლიათ",* - აღნიშნა ლიშჩუკმა.

ევრობასკეტზე ეს კალათბურთელი საშუალოდ მოედანზე 20 წუთს ატარებდა და 7.2 ქულასა და 4.8 მოხსნას აგროვებდა.

ჩოგბურთი

# ნადალი ნახევარფინალს ითამაშებს

დევისის თასის ოთხგზის ჩემპიონის ესპანეთის ნაკრების კაპიტანმა **ალბერტ კოსტამ** მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ნახევარფინალისთვის შემადგენლობა დაასახელა. ესპანეთი 16-18 სექტემბერს, ქალაქ კორდობაში საფრანგეთის ნაკრებს შეხვდება.

ამ მატჩში ესპანელთა ლიდერი იქნება მსოფლიოს მეორე ჩოგანი **რაფაელ ნადალი.** „დიდი სლემის" ტურნირების 10-გზის ჩემპიონის გარდა, მასპინძელთა ღირსებას დაიცავენ: **დავიდ ფერერი, ფერნანდო ვერდასკო** და **ფელისიანო ლოპესი.**

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჯგუფის მეოთხედფინალში ესპანეთმა სტუმრად დაამარცხა აშშ-ის ნაკრები - 3:1, შარშანდელმა ფინალისტმა საფრანგეთმა კი 4:1 გაანადგურა გერმანია.

ესპანეთსა და საფრანგეთს შვიდჯერ უთამაშიათ დევისის თასზე და ჯერჯერობით **ალბერტ კოსტას** გუნდი წინ არის - 5:2. თუმცა მათი ბოლო შეხვედრა 2010 წელს, საფრანგეთში მასპინძლებმა 5:0 მოიგეს. ეს იყო მეოთხედფინალური ეტაპი.

ესპანეთს ოთხივე ტიტული XXI საუკუნეში აქვს მოგებული - 2000, 2004, 2008 და 2009 წლებში.

მეორე ნახევარფინალში მოქმედი ჩემპიონი სერბეთი და არგენტინა ითამაშებენ. მატჩი ბელგრადში გაიმართება.

■ ■ ■

ნახევარფინალების პარალელურად მსოფლიოს ჯგუფში გადასასვლელი მატჩებიც ჩატარდება. ერთ-ერთ შეხვედრაში რუსეთის ნაკრები შინ ბრაზილიას მიიღებს. ამ შეხვედრისთვის რუსების კაპიტანმა **შამილ ტარპიშჩევმა** შემდეგი ჩოგბურთელები გამოიძახა: **მიხაილ იუჟნი, დმიტრი ტურსუნოვი, იგორ კუნიცინი** და **იგორ ანდრეევი.**

ფორმულა 1

# რა დროს წასვლაა?!

„რედ ბულის" პილოტმა **სებასტიან ფეტელმა** საინტერესო განცხადება გააკეთა ერთ-ერთ გერმანულ გაზეთთან ინტერვიუში. გერმანელი ჩემპიონი არ გამორიცხავს ფორმულა 1-დან წასვლას „რედ ბულთან" მიმდინარე კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ. ფეტელის ხელშეკრულება ავსტრიულ საჯინიბოსთან 2014 წლის ბოლოს დამთავრდება. გერმანელმა ჯერ არ იცის, გაახანგრძლივებს თუ არა კონტრაქტს თავის ამჟამინდელ გუნდთან.

„ჩემი კონტრაქტი 2014 წლის ბოლომდე მოქმედებს, - ამბობს სებასტიანი. - ჯერჯერობით არ მაქვს სურვილი მისი ამოწურვის შემდეგ კარიერა გავაგრძელო. შესაძლოა, 4-5 წლის შემდეგ აღარ მომინდეს ბოლიდის საჭესთან ჯდომა და რაიმე სხვა საქმე ავირჩიო".




სებასტიან ფეტელი

■ ■ ■

ინდოეთის გრანპრის ორგანიზატორთა განცხადებით, უკვე გაყიდულია ქვეყნის სადებიუტო რბოლაზე დასასწრები 20 ათასზე მეტი ბილეთი.

„ჩვენ უკვე გავყიდეთ 20 ათასი ბილეთი, ძირითადად, ინტერნეტის საშუალებით. 2500 რუპიის ღირებულების ბილეთები აღარ დარჩა და ახლა უფრო ძვირი ბილეთების რეალიზაცია მიმდინარეობს. ასევე დიდი მოთხოვნილებაა Platinum-სა და Gold-ის კატეგორიის ბილეთებზე - მას მსხვილი კომპანიები და ცნობილი ადამიანები იძენენ, რომლებიც არ ამხელენ თავიანთ ვინაობას", - ამბობს ერთ-ერთი ორგანიზატორი.

ინდოეთის გრანპრიზე ბილეთების ფასი 2.500 (38 ევრო) რუპიადან 35.000 (532 ევრო) რუპიამდე მერყეობს. ეტაპის ორგანიზატორები ბილეთების რეალიზაციიდან დაახლოებით 2 მილიონი ევროს მიღებას ვარაუდობენ.

ამასობაში გაირკვა, რომ ინდოეთის რბოლაში ადგილობრივი პილოტი ნარაიან კართიკეაინი მიიღებს მონაწილეობას. ის HRT-ის ბოლიდის საჭეს მიუჯდება. ასეთი რამ წელს ერთხელ უკვე მოხდა, მაგრამ კართიკეაინმა ძალიან დაბალი შედეგი აჩვენა და ისევ სარეზერვო პილოტად გადაიყვანეს.

■ ■ ■

„მაკლარენის" პილოტმა ჯენსონ ბატონმა ბრიტანეთის ქალაქ ჰაროგეიტში ახალი რესტორანი Victus გახსნა. გახსნის ცერემონიაში, რომელიც 5 სექტემბერს გაიმართა, ქალაქის მერი ლეს ელინგტონი მონაწილეობდა.

„გემრიელი კერძებისა და მსოფლიოს სამზარეულოს მიმართ დიდი ინტერესი მაქვს, ამიტომაც გავხდი რესტორნის პროექტის ნაწილი, რომელშიც გაერთიანებულია ჩემი საყვარელი ელემენტები: გემრიელი კერძები, კარგი ატმოსფერო და გულთბილი პერსონალი. კვებას სიამოვნება უნდა მოჰქონდეს და ვფიქრობ, Victus ამის საშუალებას იძლევა", - განაცხადა ბატონმა.

■ ■ ■

როგორც უკვე ვწერდით, „ტორო როსომ" ახალი სპონსორი იპოვა და, შესაძლოა, 2012 წლიდან ახალ ფერებში გაფორმებული ვიხილოთ მისი ბოლიდები. შეგახსენებთ, რომ იტალიურმა საჯინიბომ სპონსორული ხელშეკრულება გააფორმა ერთ-ერთ ესპანურ სანავთობო კომპანიასთან.

დღეს „ტორო როსოს" ბოლიდებზე „რედ ბული" ლოგოებია გამოსახული.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# კლიჩკოს ზღაპარს ემუქრებიან

10 სექტემბერს, სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონი, უკრაინელი **ვიტალი კლიჩკო** ტიტულს დაიცავს პოლონელი **ტომაშ ადამეკის** წინაალმდეგ. ბრძოლა პრეტენდენტი მოკრივის ტერიტორიაზე, ქალაქ ვროცლავში გაიმართება. გუშინ კი იქ, საქალაქო მუნიციპალიტეტის შენობაში ბრძოლისწინა ფინალური პრესკონფერენცია გაიმართა.

ბრძოლის ჩატარების ადგილია „საქალაქო სტადიონი", რომელიც სპეციალურად ფეხბურთში ევროპის 2012 წლის ჩემპიონატისთვის აშენდა. საერთოდ, პოლონეთში მეტად პასუხისმგებლობით მიუდგნენ საჩემპიონო ბრძოლას და ბევრს ელიან ადამეკისგან. ის, რომ პრესკონფერენცია მუნიციპალიტეტის შენობაში ჩატარდა, სადაც 200 რეპორტიორი შეიკრიბა, პოლონეთის მთავრობისთვის ამ მოვლენის მნიშვნელობას ადასტურებს.

*„ვიცი ყველა იმ საფრთხის შესახებ, რაც ხანგრძლივ კარიერას ახლავს თან,* - ასეთი სიტყვებით დაიწყო პრესკონფერენცია ყოველთვის საკუთარ თავში დარწმუნებულმა კლიჩკომ. - *მაგრამ მე მყავს თანაგუნდელები, რომლებიც მეტყვიან, როდის უნდა გავჩერდე. მე მათ ვენდობი".*

*„მაგრამ 10 სექტემბერს, ტომაშ ადამეკთან ჩხუბში მე არანაირი საფრთხე არ მემუქრება,* - აგრძელებს უკრაინელი ჩემპიონი. - *შესანიშნავ ფორმაში ვიმყოფები, თავი ამაზე უკეთ არასოდეს მიგრძნია, რადგან ზუსტად ვიცი, რას არ ვაკეთებდი სწორად წინა ბრძოლებში. ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, ერთი მიზნისკენ არის მიმართული. რინგზე თითოეული მოძრაობა გათვლილია - არაფერი კეთდება უაზროდ. ამის დადასტურება იქნება შაბათის საკრივო საღამო".*

ადამეკმა, რომელსაც პროფესიულ რინგზე 45 ბრძოლიდან 44 აქვს მოგებული, პასუხი არ დაუგვიანა უკრაინელს.

*„ვიცი როგორ უნდა მოვუგო ვიტალი კლიჩკოს,* - ამბობს პრეტენდენტი. - *ის ჩემპიონია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შაბათ საღამოს საჩემპიონო ქამარს მე გადმომცემენ. დამიჯერეთ, ეს ასე მოხდება. ნებისმიერი დიადი ისტორია, ოდესღაც მთავრდება. მისი საჩემპიონო ზღაპარი შაბათს დასრულდება".*

ბრძოლაზე დასასწრები ყველა ბილეთი გაყიდულია, გარდა VIP-ადგილებისა, რომელთა ღირებულება 1.000 დოლარს შეადგენს. სტადიონი 42 ათას მაყურებელს იტევს და პოლონელ მოკრივეს ადგილობრივი ფანების დიდი მხარდაჭერა გარანტირებული აქვს. სხვათა შორის ქომაგთა უმეტესი ნაწილი საფეხბურთო მატჩებზე გულშემატკივრობაში სპეციალიზდება, კერძოდ, ადგილობრივი კლუბის „შლიონსკის" ქომაგობაში.

*„ჩვენ მზად ვართ. ყველაფერი იდეალურად იქნება,* - აცხადებს „საქალაქო სტადიონის" დირექტორი **ენდი უოში**. - *უკვე დავაგეთ გაზონზე სპეციალური ხალიჩა, განათება და ხმაც მზად არის, რინგს კი პარასკევს აწონის ტრადიციულ ცერემონიამდე ავაწყობთ. ბრწყინვალე სანახაობა გველის".*

კლიჩკო და ადამეკი ცხოვრებაში საკმაოდ კარგად ეწყობიან ერთმანეთს, ამიტომაც პრესკონფერენციაზე სკანდალი გამორიცხული იყო. *„რაღაცნაირად მომწონხარ კიდეც, ტომეკ,* - ან წამოცდა ან სპეციალურად თქვა კლიჩკომ. - *შესაძლოა, ბრძოლის შემდეგ მეგობრებიც კი გავხდეთ. მაგრამ შაბათს ადამეკსა და კლიჩკოს შორის მეგობრობა არ იქნება, რადგან შენ გინდა წამართვა ის, რაც მე მეკუთვნის - WBC-ის ქამარი, რომელსაც მუჰამედ ალის წარწერა ამშვენებს. ეს არ მოხდება. სწრაფი ბრძოლის იმედი მაქვს, რადგან მესმის, რომ ნებისმიერ სხვა ბრძოლაში შეიძლება დავმარცხდე".*

როცა კლიჩკოს ჰკითხეს, რას ფიქრობს იმაზე, რომ 2009 წლის შემდეგ პირველად სუპერმძიმე წონაში WBC-ის სატიტულო ბრძოლას ამერიკული ტელეარხი HBO გადასცემს, უკრაინელმა უპასუხა: *„რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანია. მაგრამ თავიდანვე HBO აყენებდა პირობას - ისინი აჩვენებდნენ ბრძოლას იმ შემთხვევაში, თუ ჩემი მეტოქე მხოლოდ ტომაშ ადამეკი იქნებოდა და სხვა არავინ".*

ვიტალიმ ისიც დაამატა, რომ საკუთარ თავს დაუმარცხებელ მოკრივეს უწოდებს, ხოლო კარიერაში ორი მარცხი - **კრის ბერდისგან და ლენოქს ლუისისგან** იმის მიზეზია, რომ *„ქულებით ვიგებდი, მაგრამ ბრძოლა ჩემი ტრავმის გამო შეწყდა".*

ადამეკს ჰკითხეს, რას ფიქრობს ბუკმეიკერებზე, რომლებსაც საერთოდ არ სჯერათ მისი გამარჯვების. ამ მომენტისთვის კლიჩკოს მოგებაზე კოეფიციენტი მხოლოდ 1,15-ს უდრის, ადამეკზე ფსონმა კი, შესაძლოა, თქვენი კაპიტალი ხუთჯერ გაზარდოს.

*„მე ყურადღებას არ ვაქცევ ბუკმეიკერთა აზრს,* - განაცხადა პოლონელმა. - *რა მნიშვნელობა აქვს ამას? რვა წლის წინ ერთ შანსსაც არავინ აძლევდა კორი სანდერსს, რომელმაც ნოკაუტში ჩააგდო ვლადიმერ კლიჩკო. მაშინ მისი უფრო ნაკლებად სჯეროდათ, ვიდრე დღეს ჩემი. რატომ არ შეიძლება ისტორია განმეორდეს? დიდ პატივს ვცემ ვიტალის, რომელიც 37 წლის ასაკში რინგზე დაბრუნდა და ჩემპიონი გახდა. მაგრამ უკვე გითხარით, რომ ნებისმიერ ზღაპარს აქვს დასასრული. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ WBC-ის ქამარი პოლონეთში დავტოვო".*




მომავალი მეტოქეები

ამბები

მძლეოსნობა

## გებრეს ახალი აღიარება

ლეგენდარული ეთიოპიელი სტაიერი **ჰაილე გებრესელასიე** სპორტული მიღწევების გამო ასტურიის პრინცის პრემიით დაჯილდოვდა. 38 წლის მორბენალს 10 ათას მეტრ დისტანციაზე მოგებული აქვს ოლიმპიადის ორი და მსოფლიოს ჩემპიონატის ოთხი ოქროს მედალი.

პრესტიჟულ პრემიაზე, რომელსაც ესპანეთის ქალაქ ოვიედოში გადასცემენ, ნომინირებულნი იყვნენ „შალკეს" ესპანელი თავდამსხმელი **რაული**, ფრანგი ქალი ველომრბოლი **ჟანი ლონგო** და იტალიელი ალპინისტი **რეინჰოლდ მესნერი**.

კალათბურთი

## ბოგუტი ავსტრალიაში ითამაშებს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი, ავსტრალიელი **ენდრიუ ბოგუტი** ლოკაუტის პერიოდში სამშობლოში გააგრძელებს კარიერას. „მილუოკი ბაქსის" ლიდერზე იქაური ლიგის ხუთი კლუბი აცხადებს პრეტენზიას, მაგრამ განსაკუთრებით აქტიურობენ „პერტ უაილოდკეტსი" და „ადელაიდა 36".

თავდაპირველად ბოგუტის კონტრაქტი შვიდნიშნა რიცხვით ფასდებოდა, მაგრამ ახლა ნაკლებ თანხაზეა ლაპარაკი. შარშან ავსტრალიელმა „მილუოკის" შემადგენლობაში 65 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 12.8 ქულა და 11.1 მოხსნა დააგროვა.

ველოსპორტი

## შლეკები ამერიკელებთან გაერთიანდნენ

საინტერესო გარიგება შედგა ამ დღეებში პროფესიულ ველოსპორტში. გაერთიანდა ორი ძლიერი საჯინიბო - ამერიკული „რედიოშეკი" და ლუქსემბურგული „ლეოპარდ-პარკი", რომლის ლიდერები არიან **ფრანკ** და **ანდი შლეკები**. მომავალი წლიდან ახალი გუნდის სახელწოდება იქნება - RadioShack-Nissan-Trek.

*„ჩვენ ვაპირებთ შედეგების გაუმჯობესებას. თანამედროვე ველოსპორტში შეუძლებელია წინსვლა ძლიერი სპონსორების გარეშე,* - განაცხადა „ლეოპარდ-ტრეკის" მფლობელმა **ფლავიო ბეკმა**. - *ეს არის ჩვენი ახალი პროექტის განვითარების მორიგი ეტაპი. ამ გუნდზე დიდ იმედებს ვამყარებ".*

მომავალ სეზონში გუნდში იქნებიან ძმები შლეკები და შვეიცარიელი **ფაბიან კანჩელარა**. მათ დაემატებათ „რედიოშეკის" საუკეთესო წევრები, ასე რომ, ამ გუნდის დამარცხება ძალიან რთული საქმე იქნება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

ევრო 2012

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-ყაზახეთი | 3:2 |
| ავსტრია-თურქეთი | 0:0 |
| რუსეთი-ირლანდია | 0:0 |
| მაკედონია-ანდორა | 1:0 |
| სლოვაკეთი-სომხეთი | 0:4 |
| ესტონეთი-ჩრ. ირლანდია | 4:1 |
| სერბეთი-ფარერები | 3:1 |
| იტალია-სლოვენია | 1:0 |
| ბოსნია-ბელარუსი | 1:0 |
| ლუქსემბურგი-ალბანეთი | 2:1 |
| რუმინეთი-საფრანგეთი | 0:0 |
| ფინეთი-ჰოლანდია | 0:2 |
| მოლდოვა-უნგრეთი | 0:2 |
| სან მარინო-შვედეთი | 0:5 |
| ხორვატია-ისრაელი | 3:1 |
| ლატვია-საბერძნეთი | 1:1 |
| შვეიცარია-ბულგარეთი | 3:1 |
| ინგლისი-უელსი | 1:0 |
| დანია-ნორვეგია | 2:0 |
| ისლანდია-კვიპროსი | 1:0 |
| შოტლანდია-ლიტვა | 1:0 |
| ესპანეთი-ლიხტენშტაინი | 6:0 |

ევრო 2013

UNDER 21

| | |
|---|---|
| ბელარუსი-გერმანია | 0:1 |
| მალტა-ფინეთი | 1:2 |
| სლოვენია-უკრაინა | 2:0 |
| ჩეხეთი-სომხეთი | 1:1 |
| ჩერნოგორია-უელსი | 3:1 |
| ჩრ. ირლანდია-დანია | 0:3 |
| სერბეთი-ფარერები | 5:1 |
| ალბანეთი-მოლდოვა | 4:3 |
| პოლონეთი-რუსეთი | 0:2 |
| უნგრეთი-იტალია | 0:3 |
| თურქეთი-ირლანდია | 1:0 |
| ბელგია-აზერბაიჯანი | 4:1 |
| ისლანდია-ნორვეგია | 0:2 |
| ყაზახეთი-სლოვაკეთი | 0:1 |
| რუმინეთი-ლატვია | 2:0 |
| ჰოლანდია-ლუქსემბურგი | 4:0 |

მსოფლიოს თასი 2014

აზია. შესარჩევი

| | |
|---|---|
| სინგაპური-ერაყი | 0:2 |
| იორდანია-ჩინეთი | 2:1 |
| ლიბანი-საამიროები | 3:1 |
| ქუვეითი-ს. კორეა | 1:1 |
| ჩრ. კორეა-ტაჯიკეთი | 1:0 |
| უზბეკეთი-იაპონია | 1:1 |
| ტაილანდი-ომანი | 3:0 |
| ს. არაბეთი-ავსტრალია | 1:3 |
| ინდონეზია-ბაჰრეინი | 0:2 |
| კატარი-ირანი | 1:1 |

ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| არგენტინა-ნიგერია | 3:1 |
| ჩეხეთი-უკრაინა | 4:0 |
| ბელგია-აშშ | 1:0 |
| პოლონეთი-გერმანია | 2:2 |
| ეკვადორი-კოსტა რიკა | 4:0 |

UNDER 21

| | |
|---|---|
| მაკედონია-კვიპროსი | 3:1 |

კლუბები

| | |
|---|---|
| ობერჰაუზენი-შალკე | 2:5 |

ინგლისი

League Trophy

| | |
|---|---|
| უიკომბი-როვერსი | 3:1 |
| აკრინგტონი-კარლაილი | 3:2 |

ესპანეთის თასი

| | |
|---|---|
| ალკორკონი-საბადელი | 2:1 |
| მურსია-კორდობა | 0:1 |

გერმანია

რეგიონალლიგა (სამ)

| | |
|---|---|
| ფიურტი A-პფიულენდორფი | 2:1 |
| აინტრახტი A-ინგოლშტადტი A | 1:1 |

პორტუგალია

| | |
|---|---|
| ლეირია-პორტუ | 2:5 |

ჩეხეთის თასი

| | |
|---|---|
| კრომერიჟი-სეზიმოვო | 1:3 |

რუსეთი

II დივიზიონი

| | |
|---|---|
| სკა ენერგია-ლუჩ ენერგია | 0:5 |
| ენისეი-სიბირი | 1:1 |
| ხიმკი-ფაკელი | 2:0 |
| ურალი-გაზოვიკი | 1:1 |
| მორდოვია-კამაზ | 1:0 |
| ნ. ნოვგოროდი-ტორპედო (ვ) | 2:0 |
| ალანია-გაზპრომი | 2:0 |
| ბალტიკა-ტორპედო (მ) | 0:3 |

სლოვენიის თასი

| | |
|---|---|
| ტრიგლავი-პუბლიკუმი | 0:1 |

### კალათბურთი

ამერიკა

| | |
|---|---|
| კანადა-პუერტო რიკო | 74:79 |
| ურუგვაი-დომინიკა | 76:84 |
| არგენტინა-ვენესუელა | 111:93 |

### ჩოგბურთი

აშშ-ის ღია

კაცები

ისნერი-სიმონი
იანგი-მიურეი
მიულერი-ნადალი

ქალები

კერბერი-პენეტა
სტოსური-ზვონარევა

მატჩები გადაიდო

TV პროგრამა

7 სექტემბერი. ოთხშაბათი

GMG-ფეხბურთი

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-კიოლნი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ალკმაარი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-მარსელი.
**18:00** ესპანეთის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი.
**21:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-რეალი.
**00:00** ესპანეთის სუპერთასი. ბარსელონა-რეალი. საპასუხო მატჩი.

GMG-სპორტი

**10:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კურიტიბა-კორინთიანსი.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-ოკლაჰომა.
**14:40** სპორტული ტანვარჯიში.
**18:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. გრაფსხააპი-აიაქსი.
**19:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. სუპერმატჩი. ბარსელონა-პანათინაიკოსი.
**21:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
**22:10** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-ოკლაჰომა.
**00:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

I არხი

**21:50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მეორე ჯგუფური ეტაპი. ლიტვა-სერბეთი. ლიტვა (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

**19:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. ქალები. 1/4 ფინალი. ნიუ იორკი (LIVE).
**03:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. ქალები. 1/4 ფინალი. ნიუ იორკი (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

**16:25** ევროპის ჩემპიონატი. მეორე ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ესპანეთი. ლიტვა (LIVE).
**18:40** ევროპის ჩემპიონატი. მეორე ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-საფრანგეთი. ლიტვა (LIVE).
**21:55** ევროპის ჩემპიონატი. მეორე ჯგუფური ეტაპი. სერბეთი-ლიტვა. ლიტვა (LIVE).
**03:00** WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-ვაშინგტონი (LIVE).

EUROSPORT

**07:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. IX დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**11:30** სნუკერი. მასტერსი. III დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**15:45** სნუკერი. მასტერსი. III დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**18:00** ველოსპორტი. ვუელტა. XVII ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
**19:45** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. 1/4 ფინალი. კაცები. ნიუ იორკი (LIVE).
**03:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. 1/4 ფინალი. ქალები. ნიუ იორკი (LIVE).
**05:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. 1/4 ფინალი. ქალები. ნიუ იორკი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა


იანკო ტიპსარევიჩი

# სერბებმა ისტორია გადაწერეს

მამაკაცების ბადის ზედა ნაწილში მერვედფინალური მატჩები დაიწყო და მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** კვლავ სეტის წაუგებლად ითამაშა, თუმცა უკრაინელ **ალექსანდრ დოლგოპოლოვთან** მატჩის პირველ პარტიაში ძალიან ახლოს იყო დამარცხებასთან. ამ სეტში ჯოკომ არც ისე დამაჯერებელი თამაში აჩვენა. განსაკუთრებით ეს ეხება ტაი-ბრეიკს, რომელშიც დოლგოპოლოვი 4:0 დაწინაურდა, თუმცა სერბისგან ნებისმიერ დროს შეიძლება ხიფათს ელოდო. ნოვაკმა მეტოქის გარღვევას ზედიზედ ხუთი ქულით უპასუხა და ამის შემდეგ დაიწყო ნამდვილი საჩოგბურთო ლატარია. დოლგოპოლოვს 6:5-ზე, 7:6-ზე, 10:9-სა და 14:13-ზე ჰქონდა სეტბოლები, ჯოკოვიჩმა კი ოთხი ასეთი შანსი დაკარგა - 8:7-ზე, 11:10-ზე, 12:11-სა და 13:12-ზე. ბოლოს, 14:15-ზე დოლგოპოლოვმა ფორჰენდი კორტს ააცილა და 76-წუთიანი სეტი ჯოკოვიჩმა მოიგო.

მატჩის შემდეგ უკრაინელმა აღიარა - ეს ტაი-ბრეიკი რომც მომეგო, ნოვაკი მაინც გაიმარჯვებდა, რადგან ჩემზე კარგად თამაშობდა. დოლგოპოლოვის სიტყვები მომდევნო ორ სეტში დადასტურდა. მეორე პარტიაში ჯოკოვიჩმა პირველ და მესამე გეიმებში აიღო ბრეიკი და 3:0 დაწინაურდა. შემდეგ დოლგოპოლოვმაც მოიგო მეტოქის მოწოდება და 2:3 გახადა ანგარიში, მაგრამ სერბმა შეძლო ერთბრეიკიანი უპირატესობის სეტის ბოლომდე შენარჩუნება - 6:4. ჯოკოვიჩი მესამე სეტშიც 3:0 გავიდა წინ და უკრაინელმა ამჯერად ერთი ბრეიკითაც ვერ უპასუხა - 6:2.

ნოვაკი ზედიზედ მეათედ გავიდა „დიდი სლემის" ტურნირის მეოთხედფინალში, სადაც მისი მეტოქე ასევე სერბი **იანკო ტიპსარევიჩი** იქნება, რომლისთვისაც ეს არის კარიერაში პირველი მეოთხედფინალი ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირების სერიაში. ასევე პირველად „დიდი სლემის" ტურნირების ისტორიაში მეოთხედფინალში ითამაშებს ორი სერბი. იანკოსა და ნოვაკის ურთიერთშეხვედრებში ჯოკოვიჩი 2:0-ს იგებს.

27 წლის ტიპსარევიჩი ესპანური ჩოგბურთის ვეტერანს **ხუან-კარლოს ფერეროს** ხვდებოდა. პირველი სეტის ბედი ერთადერთმა ბრეიკმა გადაწყვიტა, რომელიც სერბმა მე-12 გეიმში აიღო - 7:5. მეორე პარტიაში ფერერომ ორი ბრეიკ-პოინტი გაანიავა, თუმცა ტაი-ბრეიკზე სრული უპირატესობა მოიპოვა და „შემოკლებული გეიმი" 7:3 მოიგო. მესამე სეტშიც ყველაფერი ტაი-ბრეიკისკენ მიდიოდა, მაგრამ მე-11 გეიმში იანკომ მეორედ მატჩში აიღო მეტოქის მოწოდება და შემდეგი გეიმი ეისით დაასრულა - 7:5. ფერერო გატყდა და მეოთხე სეტში ორი საკუთარი გეიმი დაუთმო მოწინააღმდეგეს - 6:2.

ტიპსარევიჩმა სამი საათისა და 43 წუთის განმავლობაში 20 ეისი, 54 „ვინერსი" და ოთხი ბრეიკი (10 ბრეიკ-პოინტიდან) მიითვალა.

გუშინვე ტურნირს გამოეთიშა ამერიკული პუბლიკის მთავარი იმედი, ამერიკული სერიის ტურნირების გამარჯვებული **მარდი ფიში**, რომელიც ფრანგ **ჟო-ვილფრიდ ცონგას** ხვდებოდა. ამ უკანასკნელმა ნავსი გატეხა და პირველად გავიდა ამერიკის ღია პირველობის მეოთხედფინალში.

ორივე ჩოგბურთელს ძლიერი ქარი უშლიდა ხელს, რამაც თამაშის ხარისხზეც იქონია გავლენა. პირველ სეტში ყველაფერი ბოლოსკენ გაირკვა, როცა ამერიკელმა ზედიზედ ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა და საკუთარი მოწოდება დათმო. ამის შემდეგ მარდიმ ინიციატივა მოიპოვა და მცირე იღბლის წყალობით ტაი-ბრეიკი მოიგო, მესამეში კი კიდევ უფრო უკეთ ათამაშდა და ორი ბრეიკით გაიმარჯვა.

მაგრამ მეოთხე სეტში ფიშს აშკარა დაღლილობა დაეტყო - თავი იჩინა ამერიკული სერიის ტურნირების გადატვირთულმა გრაფიკმა. თანაც ცონგამ თავისი თამაში იპოვა. ფრანგს მთელი პარტიის განმავლობაში მცირე სათამაშო უპირატესობა ჰქონდა და მისი გამოყენება კვლავ ბოლოსკენ შეძლო. სეტებს შორის შესვენებისას ფიშს ექიმის დახმარება დასჭირდა, თუმცა მარჯვენა ფეხი ბოლომდე ვერ მოირჩინა. მიუხედავად ამისა, ამერიკელი ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ ცონგამ ორი ბრეიკი მიითვალა და მეოთხე მატჩბოლზე თავის სასარგებლოდ დაასრულა მატჩი.

ახლა, ფრანგი შეეცდება **როჯერ ფედერერის** ზედიზედ მესამედ დამარცხებას - წინა ორ გამარჯვებას მან ამ ზაფხულზე - უიმბლდონსა და მონრეალში მიაღწია. შვეიცარიელს გუშინ ყველაზე იოლი გასეირნება გამოუვიდა არგენტინელი **ხუან მონაკოს** წინააღმდეგ. საათ-ნახევრის განმავლობაში ფედერერმა ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მისცა მეტოქეს. არადა, ეს მატჩი შეიძლება მეორე დღისთვის გადაედოთ. ცენტრალურ კორტზე გაწელილი პროგრამის გამო ჩოგბურთელები კორტზე ადგილობრივი დროით 23 საათსა და 48 წუთზე გავიდნენ. წესების მიხედვით კი ორგანიზატორებს შუაღამის შემდეგ მოთამაშეების კორტზე გაშვების უფლება არ აქვთ. ჩოგბურთელებმაც შეიცოდეს მაყურებელი და მაქსიმალურად სწრაფად დაასრულეს შეხვედრა - ეს ფედერერის კარგი ფორმის დამსახურება იყო.

### 1/8 ფინალი

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 22) 7:6(14), 6:4, 6:2; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 20)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ) 7:5, 6:7(3), 7:5, 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ხუან მონაკო (არგ) 6:1, 6:2, 6:0; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 11)**-მარდი ფიში (აშშ, 8) 6:4, 6:7(5), 3:6, 6:4, 6:2.

# სერენა თექვსმეტამდე ავიდა

ქალებმა ამერიკის ღიაზე მერვედფინალური ეტაპი დაასრულეს. ბადის ზედა ნაწილში ამჯერად მოულოდნელი შედეგები არ დაფიქსირებულა. შესაძლოა, ბევრი არ ელოდა **ფრანჩესკა სკიავონეს** მარცხს **ანასტასია პავლიუჩენკოვასთან**, თუმცა რუსი აქ კარგ ფორმას აჩვენებს, იმ დროს, როცა იტალიელ ჩოგბურთელს პრაქტიკულად ყველა მატჩში სამსეტიანი ბრძოლების გადატანა უწევდა, რაც მის ცუდ მზადყოფნაზე მიუთითებდა.

პავლიუჩენკოვამ პირველი სეტის წაგების შემდეგ გატეხა სკიავონეს წინააღმდეგობა და მეოთხედფინალში ტურნირის მთავარ ფავორიტს **სერენა უილიამსს** შეხვდება, რომელმაც უიმბლდონის შემდეგ ზედიზედ მე-16 მატჩი მოიგო.

ამჯერად ამერიკელს ვერაფერი მოუხერხა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ანა ივანოვიჩმა**. ცალკეულ გეიმებში სერბი ახერხებდა მაღალი დონის ჩვენებას, მაგრამ საერთო ჯამში ის ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა. პირველ სეტში ანამ მოახერხა ბრეიკის დაბრუნება და 0:3-დან ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ამის შემდეგ ზედიზედ ხუთი გეიმი წააგო, რამაც გადაწყვიტა მატჩის ბედი. სერენამ მეორე სეტში მეტოქეს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მისცა და დამაჯერებლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე - 6:3, 6:4.

პავლიუჩენკოვას ვერ მიჰბაძა მეორე რუსმა **სვეტლანა კუზნეცოვამ**, რომელსაც ტრადიციად ექცა მსოფლიოს პირველ ჩოგანთან **კაროლინ ვოზნიაცკისთან** წაგება.

მიუხედავად იმისა, რომ კუზნეცოვას მთელი მატჩის განმავლობაში სტაბილურობა აკლდა, თავიდან ის თანაბრად ებრძოდა დანიელს და საფირმო შემტევ ჩოგბურთს აჩვენებდა. შედეგად, რუსმა სეტზე ჩაწოდების უფლება მიიღო, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა, ტაი-ბრეიკზე კი კრიტიკული მომენტი ჰქონდა - 2:5 ჩამორჩა, თუმცა თითქმის წაგებული გეიმი გადაარჩინა და 8:6 გაიმარჯვა.

მეორე სეტის სტარტზე ვოზნიაცკიმ ვერ გაუძლო მეტოქის შეტევებს და შეცდომებს უმატა, რამაც კუზნეცოვას 4:1 დაწინაურების საშუალება მისცა. წესით, სვეტლანას მეხუთე გეიმიც უნდა მოეგო, მაგრამ საკუთარ შეცდომებს გადააყოლა სამი გეიმბოლი და მეტოქეს ბრეიკი გააკეთებინა. ამის შემდეგ ვოზნიაცკიმ გაცილებით დამაჯერებლად იგრძნო თავი და მიუხედავად იმისა, რომ რუსი ბოლომდე იბრძოდა, სეტის გადარჩენა ველარ შეძლო.

მესამე პარტიაში კაროლინი აკონტროლებდა თამაშის მსვლელობას, კუზნეცოვას კი ეპიზოდურად გამოსდიოდა კარგი თამაში. ბოლო გეიმში მან ოთხი მატჩბოლი მოიგერია, მაგრამ ვერც გეიმისა და მით უმეტეს, ვერც სეტის გადარჩენა ვერ შეძლო - 1:6. კუზნეცოვამ ზედიზედ მეოთხედ წააგო ვოზნიაცკისთან, რომელსაც მეოთხედფინალში გერმანელი **ანდრეა პეტკოვიჩი** ელოდება.

პეტკოვიჩმა ყველაზე იოლ გამარჯვებას მიაღწია - საათსა და 24 წუთში 6:1, 6:4 მოუგო **კარლა სუარეს-ნავაროს**. ამ მოგებით გერმანელმა რევანში აუღო ესპანელს 2010 წლის ავსტრალიის ღიას მეორე წრეში წაგებისთვის.

პეტკოვიჩის გარდა, მეოთხედფინალში კიდევ ერთი გერმანელი - **ანჟელიკ კერბერი** ითამაშებს. ბოლოს ამერიკის ღიას რვა საუკეთესოს შორის ორი გერმანელი ქალი 24 წლის წინ - 1987 წელს მოხვდა.

### 1/8 ფინალი

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან,1)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 15) 6:7(6), 7:5, 6:1; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 10)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ) 6:1, 6:4; **სერენა უილიამსი (აშშ, 28)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 16) 6:3, 6:4; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 17)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 7) 5:7, 6:3, 6:4.

### 1/4 ფინალი

ვოზნიაცკი (1)-პეტკოვიჩი (10); ს. უილიამსი (28)-პავლიუჩენკოვა (17); კერბერი-პენეტა (26); სტოსური (9)-ზვონარევა (2).


სერენა უილიამსი

# ფაქტები მერვედფინალისტებზე

სანამ კაცებს შორის მერვედფინალური ეტაპი დაიწყებოდა, ATP-ის ოფიციალურმა ვებგვერდმა საინტერესო ფაქტები გამოაქვეყნა ამ რაუნდში გასული ჩოგბურთელების შესახებ.

**დარჩენილი განთესილები:** 12 (აქედან 6 წარმომადგენლია TOP-8-დან)

**დიდი სლემის ტურნირების ყოფილი ჩემპიონები - 5:** ფედერერი (16), ნადალი (10), ჯოკოვიჩი (3), ფერერო (1), როდიკი (1).

**ყველაზე დაბალი რეიტინგის მერვედფინალისტები:** ფერერო (105), იანგი (84)

**ყველაზე ახალგაზრდა მერვედფინალისტები:** იანგი (22), დოლგოპოლოვი (22)

**ყველაზე ასაკოვანი მერვედფინალისტები:** ფერერო (31), ფედერერი (30)

**დარჩენილი ცაციები:** მიულერი, ნადალი, იანგი

**ჯერ არ წაუგიათ სეტი:** ჯოკოვიჩი, ფიში, ნადალი, ცონგა

**ხუთსეტიანი მატჩები:** ფერერო (2), დოლგპოლოვი (1), მიურეი (1), სიმონი (1), იანგი (1)



დონალდ იანგი

**მოგებული ტაი-ბრეიკები:** ისნერი (3-0), მიულერი (3-0), სიმონი (2-1), ფიში (2-0), ნადალი (2-0)

### ქვეყნები (9)

**აშშ (4)** - ფიში, ისნერი, როდიკი, იანგი
**ესპანეთი (3)** - ფერერი, ფერერო, ნადალი
**საფრანგეთი (2)** - სიმონი, ცონგა
**სერბეთი (2)** - ჯოკოვიჩი, ტიპსარევიჩი
**არგენტინა (1)** - მონაკო
**ბრიტანეთი (1)** - მიურეი
**ლუქსემბურგი (1)** - მიულერი
**შვეიცარია (1)** - ფედერერი
**უკრაინა (1)** - დოლგოპოლოვი

### სხვადასხვა

- ჯოკოვიჩმა აქამდე 12 გეიმი წააგო - ყველაზე ნაკლები მერვედფინალისტებს შორის.
- 2003 წლიდან პირველად მერვედფინალში ოთხი ამერიკელი გავიდა.
- ფედერერი ზედიზედ ოცდამეათედ გავიდა „დიდი სლემის" ტურნირების მერვედფინალში.
- ნადალის იგივე სერია 22 ტურნირს უდრის.
- ნადალი ზედიზედ მეოთხედ გავიდა ამერიკის ღია პირველობის მერვედფინალში. ამ ოთხი წლის განმავლობაში მან პირველ კვირას ჩატარებულ მატჩებში 56 სეტიდან 53 მოიგო.
- დოლგოპოლოვი, სიმონი, ტიპსარევიჩი და იანგი პირველად გავიდნენ ამერიკის ღიას მერვედფინალში.
- მიულერს, ტიპსარევიჩსა და იანგს არ აქვთ მოგებული ATP-ის ტიტული.
- სიმონი ერთადერთი მერვედფინალისტია, ვინც წინა სამ მატჩში მინიმუმ ერთი სეტი წააგო. ფრანგმა ერთი ხუთსეტიანი და ორი ოთხსეტიანი მატჩი ჩაატარა.
- ეისების რაოდენობით ხუთი ლიდერიდან ოთხი მერვედფინალში გავიდა: მიულერი (65), ისნერი (51), დოლგოპოლოვი (45) და როდიკი (45). ყველაზე მეტი ეისის ავტორი ივო კარლოვიჩი (74) მერვედფინალის მიღმა დარჩა.
- ოთხმა მერვედფინალისტმა გააკეთა მინიმუმ 20 ბრეიკი. ლიდერები არიან დოლგოპოლოვი და მიურეი (22), შემდეგ მოდიან - მონაკო (21) და ჯოკოვიჩი (20).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა